საქართველოში აშშ-ს ელჩობის კანდიდატის შეხედულებები

A2

მასშტაბური ენერგოავარია მოსკოვში

A5

სამინისტროების დაფინანსება 1 მლნ ლარით იზრდება

A6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 26 მაისი, 2005 წელი. №116 (976)

ფასი 50 თეთრი

26 მაისი

ირაკლი ლეჟავა ფოტო

ერთი წელი

გუშინ ბაქოდან დაბრუნებულმა მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის მშენებარე რეზიდენციის ვერანდაზე ბრიფინგი მოაწყო და ერთი წელი - 26 მაისიდან 26 მაისამდე - შეაჯამა. პრეზიდენტი მოსახლეობას დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნისა და აღლუმზე დასწრებისკენ მოუწოდებს.

"მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე მოსიარულე პრეზიდენტმა" კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ "საქართველო საერთაშორისო დიდების ზენიტშია", რასაც, ცხადია, საქართველოში აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტი ადასტურებს.

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ ღიად გამოხატა თავისი მხარდაჭერა საგარეო საქმეთა მინისტრისა და მის მიერ აღებული საგარეო კურსის მიმართ და აღნიშნა, რომ **"სალომე ზურაბიშვილის მუშაობით ძალიან კმაყოფილია."**

"მე ხშირად ვარ მასთან ერთად საზღვარგარეთ და ვხედავ, თუ როგორი შესანიშნავი დამოკიდებულებაა მის მიმართ," - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, ზურაბ ჟვანიას სახით, მან "მეგობარი, თანამებრძოლი და მრჩეველი" დაკარგა და ამ მძიმე დარტყმის გადასატანად რამდენიმე თვე დასჭირდა.

მიხეილ სააკაშვილმა გურიის დაღუპული გუბერნატორი ჟანი კალანდაძე გაიხსენა და მას "საუკეთესო მეგობარი და გუბერნატორი" უწოდა.

"მიუხედავად ამ მძიმე დარტყმებისა, ჩვენ ცხოვრების ღირსეულად გაგრძელება შევძელით," - აღნიშნა სააკაშვილმა.

მთავარ მიღწევათა სიაში ჩაეწერა ის, რომ "საქართველო ამ ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა", რომელსაც დღეს "სულ სხვანაირად ელაპარაკებიან".

გაგრძელება A2 გვერდზე

საუკუნის პროექტი

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენში პირველი ნავთობი უკვე ჩატვირთულია.

სანგაჩალის ნავთობტერმინალზე გამართულ "საუკუნის პროექტის" გახსნის საზეიმო ცერემონიალს ოთხი ქვეყნის პრეზიდენტი დაესწრო.

აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთის და თურქეთის პრეზიდენტები "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ისტორიულ და გეოპოლიტიკურ როლზე საუბრობენ.

ილჰამ ალიევის თქმით, **"ეს ყველაზე მსხვილი ენერგეტიკული პროექტია მსოფლიოში, რომელიც დიდ სარგებელს მოუტანს აზერბაიჯანსა და მის მეზობელ ქვეყნებს და ასევე რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტად იქცევა."**

ალიევს აღნიშნული პროექტის განხორციელებაში აშშ-ს მხარდაჭერაც არ დავიწყებია. **"დღევანდელ ცერემონიალზე დასასწრებად ენერგეტიკის საკითხებში აშშ-ს ადმინისტრაციის მდივნის სამუელ ბოდმენის ჩამობრძანება იმის მანიშნებელია, რომ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" პროექტს აშშ-სთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს,"** - განაცხადა ალიევმა.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ **"მას შემდეგ, რაც მომავალი წლის ბოლოსთვის ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი ექსპლუატაციაში შევა, საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის საკითხი საბოლოოდ დაიხურება. საქართველო აღარ იქნება ენერგეტიკულად დამოკიდებული რაიმე ერთ კონკრეტულ არხზე. ეს არის ჩვენი დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი გარანტია."** საქართველოს პრეზიდენტმა ამ "უმნიშვნელოვანესი პროექტის" მხარდაჭერისთვის აშშ-ს მადლობა გადაუხადა.

გაგრძელება A2 გვერდზე

ყურადღება!

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

ამინდი

	26/05	27 /05	28 /05
თბილისი	28	27	27
ქუთაისი	28	27	30
ბათუმი	25	25	26
სოხუმი	22	23	23
ფოთი	26	26	28
თელავი	27	26	26
ზუგდიდი	29	28	29
გორი	24	23	25
ახმეტა	27	26	26
ჭიათურა	25	25	27
გაგრა	21	22	22
სამტრედია	27	27	30

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8274
ევრო	2.2983
ბირვანქა სტერლ.	3.3377
რუბლი	0.0653

A

ამბები	A2
პოლიტიკა	A3
საზოგადოება	A4
უცხოეთი	A5
ეკონომიკა	A6
სამართალი	A7
პროექტი	A8

B

რევიუ	B2
რევიუ	B3
სპორტი	B4
ტენდერი	B5
ტენდერი	B6
ტენდერი	B7
სხვადასხვა	B8

ორი დამოუკიდებლობის პარალელები

დიმიტრი შველიძე

1918 წლის 26 მაისი - გასული საუკუნის დასაწყისში მოპოვებული-აღდგენილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მისივე სამართალმემკვიდრე 1991 წლის 9 აპრილი - იმავე საუკუნის ბოლოს აღმდგარი თანამედროვე ქართული სახელმწიფო. ორი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი უახლოესი წარსულისა, პირველი - ძალით დათრგუნული, უხეში აგრესიით შემუსრული და დაცემული, მაინც ღირსეული, რომანტიკით შემოსილი სამწლეული, "პატარა ოქროს ხანა"; მეორე - ჩვენი თანამედროვე ეპოქისა და თაობების პირმშო, სისხლიანი, ცოდვიანი, ძნელბედობით სავსე, ცივი, მშიერი, უსიხარულო, მაგრამ მაინც ფეხზე მდგარი, იმედიანი, ხვალისკენ მომზირალი. ისტორიას, გარდა მოგონებისა, გამოცდილება-გაკვეთილის გათვალისწინების მისიაც აკისრია. იქნებ ღირდეს, ამ ორ მოვლენას შორის პარალელები გავავლოთ და განსხვავებებიც აღვნიშნოთ.

ის ფაქტორები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს საქართველოს ორივე დამოუკიდებლობის მოპოვებასა და მათ შემდგომ ბედში, ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დავანაწილოთ: საშინაო და საგარეო. რას ვგულისხმობთ, ადვილი გასაგებია, მაგრამ მაინც განვმარტოთ და ეს წერილის სქემადაც გამოგვადგება. საშინაო ფაქტორებია: მოსახლეობისა და საზოგადოების მზადყოფნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის; პოლიტიკური ძალების ურთიერთობის ხასიათი; ეროვნული თანხმობის ხარისხი; პოლიტიკური ელიტის პროფესიონალური და ინტელექტუალური მომზადებულობა; მისი, როგორც ერის საორგანიზაციო და ხელმძღვანელი ავანგარდის მზაობა; ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა; სოციალური ურთიერთობები; ეროვნული უმცირესობების დამოკიდებულება სახელმწიფოსა და ხელისუფლებისადმი; თავდაცვისუნარიანობა და ა. შ.

გაგრძელება A3 გვერდზე

26 მაისი საქართველოში - ჩემი სიზმარი და ოცნება

ნომრის სტუმარია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი

მაია ჭალაგანიძე

- როგორ გგონიათ, წინაპრებს სანუკვარ ოცნებას აუსრულებთ და თქვენ გააცილებთ საქართველოდან რუსის ჯარს?

- ეს არის ერთ-ერთი ნაწილი იმ მისიისა, რომელიც ვიკისრე და მინდა, რომ შევასრულო. ეს რომ მხოლოდ ჩემზე იყოს დამოკიდებული, რა თქმა უნდა, შევასრულებდი. მაგრამ ეს მისიის ერთ-ერთი ნაწილია, კიდევ სხვაც არის - ნატო, ევროკავშირი, სტაბილურობა რეგიონში... ამიტომ, აქ დიდხანს დავრჩები - დაახლოებით, ერთი საუკუნით...

იხილეთ B1 გვერდზე

"საქართველოში სეპარატისტული პრობლემების მოგვარების დრო დადგა"

საქართველოში აშშ-ს ელჩობის კანდიდატის შეხედულებები

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში ახალი ელჩების წარდგინება მოხდა. კანდიდატებს შორის ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ჯონ ტეფტიც იყო, რომელიც პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საქართველოში აშშ-ს ელჩის პოსტზე რამდენიმე დღის წინ დაასახელა.

ამჟამად ჯონ ტეფტს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში ევროპისა და ევრაზიის ქვეყნების საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანამდებობა უკავია.

ნინო გომართელი

საქართველო ამერიკის მყარი პარტნიორია და შეერთებული შტატები განაგრძობს მის მხარდაჭერას ფინანსური და ტექნიკური დახმარების კუთხით, - ხაზგასმით აღნიშნა ამერიკის ახალი ელჩების კანდიდატურების საკომიტეტო მოსმენაზე სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ რიჩარდ ლუგარმა.

"ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს პროგრესის გაფართოებაში უნდა დაეხმაროს. სხვა ქვეყნებთან ერთად, რომლებიც დემოკრატიის გამყარებისთვის იბრძვიან, ჩვენ უნდა განვაგრძოთ საქართველოს მხარდაჭერა ფინანსური და ტექნიკური დახმარების აღმოჩენის გზით. საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის მნიშვნელოვანი მეგობარი და მოკავშირე გახდა, და მზად ვართ ყველაფრისთვის, რისი მიღწევაც ერთად შეგვიძლია," - თქვა მან.

საქართველოში ახალი ელჩის კანდიდატურაზე საუბრისას კი მიუთითა, რომ ჯონ ტეფტს დიპლომატიურ სამსახურში მუშაობის 33-წლიანი გამოცდილება აქვს და უკვე წარმატებულად იმსახურა რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვან დიპლომატიურ პოსტზე.

კანდიდატურების საკომიტეტო მოსმენაზე საქართველოს შესახებ თავად ჯონ ტეფტმაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქვეყანამ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა "ვარდების რევოლუცია" შეუქცევადი გახდეს.

"საქმე ბევრია, საქართველომ, პირველ რიგში, დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნისადმი და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფისადმი თავისი ერთგულება უნდა შეინარჩუნოს - ეს ნომერ პირველი ამოცანაა იმისათვის, რომ "ვარდების რევოლუცია" შეუქცევადი გახდეს," - განაცხადა დიპლომატმა.

ტეფტმა ტერორიზმთან ბრძოლაში საქართველოს შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი მოკავშირე უწოდა და აღნიშნა, რომ ვაშინგტონმა საქართველოს აუცილებლად უნდა აღმოუჩინოს დახმარება ნატო-სა და ევროკავშირთან მჭიდრო კავშირების დამყარებისკენ სწრაფვაში.

"თუ ჩემს კანდიდატურას დაამტკიცებენ, მინდა, საქართველოს წარსული პრობლემებისგან გათავისუფლებაში დავეხმარო. მჯერა, რომ საქართველოსა და რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი, კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარებას, რაც პატივისცემაზე, საერთო ეკონომიკურ ინტერესებსა და ურთიერთუსაფრთხოებაზე იქნება დაფუძნებული," - აღნიშნა ჯონ ტეფტმა.

მისი მოსაზრებით, დღეს თბილისსა და მოსკოვს საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხთან დაკავშირებით წინსვლის შესაძლებლობა აქვს.

"იმისათვის, რომ საქართველომ წარმატებას მიაღწიოს, მან საკუთარი ტერიტორიების გაკონტროლება, საზღვრების და მოქალაქეების დაცვა უნდა შეძლოს," - მიუთითა ელჩობის კანდიდატმა.

მანვე ხაზი გაუსვა, რომ ჯორჯ ბუშმა, თბილისში სტუმრობისას, **"გასაგებად თქვა, რომ საქართველოში სეპარატისტული პრობლემების მოგვარების დრო დადგა,"** სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება კი ერთადერთი გამოსავალია.

იგი ასევე აფხაზეთიდან დევნილების თემასაც შეეხო, რომლებიც ურთულეს პირობებში ცხოვრობენ და მათი აქ ყოფნა საქართველოს ეკონომიკას დამატებით ტვირთად აწევს.

"სეპარატისტული კონფლიქტების მოგვარება პირდაპირ კავშირშია იმ ეკონომიკურ გამოწვევებთან, რომლებსაც პრეზიდენტი სააკაშვილი, პრემიერი ნოღაიდელი და მთავრობა აწყდება," - თქვა ტეფტმა და მიანიშნა, რომ აშშ-ს ადმინისტრაცია და კონგრესი უცხო ქვეყნების ფედერალური დახმარების ახალი პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას გეგმავენ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საქართველოში აშშ-ს ელჩის თანამდებობაზე ჯონ ტეფტის კანდიდატურა 18 მაისს წამოაყენა.

ამჟამად ტეფტს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში ევროპისა და ევრაზიის ქვეყნების საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანამდებობა უკავია.

ადრე იგი ნაციონალური სამხედრო კოლეჯის მეთაურის მოადგილედ მსახურობდა, 2000-2003 წლებში კი ლიტვაში აშშ-ს ელჩი იყო.

დიპლომატიური მოღვაწეობის განმავლობაში, ტეფტი 1996-1999 წლებში მოსკოვში, აშშ-ს საელჩოში "მეორე კაცის" თანამდებობაზე მუშაობდა. 1996 წლის ნოემბრიდან 1997 წლის სექტემბრამდე სსრკ-ში აშშ-ს საქმეებში დროებითი რწმუნებული იყო.

1986-1989 წლებში მუშაობდა რომში, აშშ-ს საელჩოში სამხედრო-პოლიტიკურ საკითხთა მრჩევლად, ბუდაპეშტსა და იერუსალიმში კი - სხვადასხვა დიპლომატიურ თანამდებობებზე.

ევროპისა და ევრაზიის ქვეყნების საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოადგილის თანაშემწის თანამდებობაზე მუშაობისას, ტეფტი აშშ-ს რუსეთთან, უკრაინასთან, მოლდოვასა და ბელარუსთან დიპლომატიურ კავშირებზე, ასევე ექსპორტზე კონტროლისა და რეგიონულ საკითხებზე პასუხისმგებელი იყო.

ერთი წელი

ᲘᲮᲘᲠᲔᲗᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მიხეილ სააკაშვილის თქმით, "საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა გარდაუვალია და ეს რუსეთსაც ესმის".

"ჩვენ რუსეთთან მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობების მომხრე ვართ და მის განაწყენებას არ ვაპირებთ. არც რუსეთმა და არც სხვა რომელიმე ჩვენმა მეზობელმა ქვეყანამ არ უნდა იგრძნოს რაიმე საფრთხე საქართველოს მხრიდან," - განაცხადა პრეზიდენტმა კითხვის პასუხად - აპირებს თუ არა საქართველო რუსული სამხედრო ბაზების სხვა რომელიმე ქვეყნის სამხედრო წარმომადგენლებით ჩანაცვლებას.

ენერგეტიკა შარშანდელი წლის "გამარჯვებათა" სიაში ვერ მოხვდა, თუმცა პრეზიდენტი გვპირდება, რომ სულ მალე საქართველო ენერგოდამოუკიდებელ ქვეყნად ჩამოყალიბდება. **"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომლის პრეზენტაციაზეც მე დღეს ბაქოში ვიყავი და ასევე ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, რომლის ექსპლუატაცია მომავალი წლისთვის იგეგმება, იმის საფუძველს გვაძლევს, რომ ენერგოდამოუკიდებლობაზე ვიფიქროთ. წლევანდელი წელი ჩვენი ენერგოდამოკიდებულების დასასრულის დასაწყისია,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, საქართველო საკუთარი ენერგო-სიმძლავრეების შექმნაზეც ფიქრობს. **"23 ნოემბრისთვის დაგეგმილი გვაქვს პირველი ახალი რეაბილიტირებული სადგურების გახსნა,"** - აღნიშნა მან.

პრეზიდენტი, რომელმაც დღეს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული გრანდიოზული აღლუმი უნდა ჩაიბაროს, ქართულ არმიაში მომხდარ სასწაულებზე საუბრობს.

მისი თქმით, დღევანდელ აღლუმზე ქართული არმია "იარაღის ჟღარუნისგან" თავს შეიკავებს და ერის წინაშე მხოლოდ პირადი შემადგენლობითა და "საამაყო რეზერვისტებით" წარდგება. **"ტექნიკა ჩვენ წელს გაცილებით მეტი გვაქვს, ვიდრე შარშან. ასევე, დღეს ქართულ არმიაში უფრო მეტი ჯარისკაცია, ვიდრე ოდესმე. დღეს ყველას უნდა ჯარში, რიგები დგას, "** - ამაყობს პრეზიდენტი.

საამაყოთა სიაშია, ასევე, სასწრაფო დახმარება "03"-იც. სასწრაფო მანქანები, რომელთა "აღლუმიც" პრეზიდენტმა სულ ცოტა ხნის წინ არანაკლებ საზეიმოდ ჩაიბარა თავისუფლების მოედანზე, საქართველოს ყველა რეგიონს უფასოდ მოემსახურება. პრეზიდენტმა აქვე ერთი არასასიამოვნო ისტორია გაიხსენა, როდესაც შარშან მოიწამლა და 50 წუთის განმავლობაში ელოდა, თუ როდის უშველიდა სასწრაფო დახმარება. "ამიერიდან ასე აღარ იქნება," - გვპირდება პრეზიდენტი.

გარდა ამისა, პრეზიდენტის თქმით, "მხოლოდ ბრმა თუ ვერ დაინახავს", რომ მთელს საქართველოში მიმდინარეობს გზების დაგება-შეკეთება, ფასადების გალამაზება.

პრეზიდენტის თქმით, გასული წელი ექსპერიმენტების წელი იყო და მომავალში უფრო მეტი თანმიმდევრულობა და სიმტკიცე უნდა გამოვიჩინოთ. იგი ამაყობს საკუთარი გუნდით და აცხადებს, რომ ხელისუფლებაში მოსულ არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ეყოლებოდა **"ასეთი გრძელი სათადარიგო სკამი, რომელიც ჩვენს პარტიას აღმოაჩნდა".**

წარმატებათა სიაში მოხვდა, ასევე, ბიუჯეტის ზრდა 5-ჯერ, სახელმწიფო სამსახურში მომუშავეთა მაღალი ხელფასები, განათლების უპრეცედენტო რეფორმა, ლიცენზიებისა და ნებართვების მკვეთრად შემცირება, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება.

უფრო ნაკლები სიხარულით, თუმცა ასევე დიდი ენთუზიაზმით ისაუბრა პრეზიდენტმა გუშინ ოპოზიციაზე. პრეზიდენტს არ მოსწონს, როცა "ცინიკოსები ჭკვიანი სახით" არაფრად აგდებენ ბუშის ვიზიტს საქართველოში და ხალხში უიმედობას თესავენ.

"ჯანსაღი ოპოზიციის გარეშე ვერც ერთი მთავრობა ვერ იქნება ეფექტური, მაგრამ ასეთ ოპოზიციას მე საქართველოში, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ. მე არც კრიტიკის და არც ლანძღვის მეშინია, ილაპარაკონ, რამდენიც უნდათ, მაგრამ მე ხალხში ცინიზმის დანერგვა მაშინებს... ისინი ცდილობენ, ხალხი კვლავ ცინიზმით დააავადონ," - აცხადებს პრეზიდენტი, რომელსაც იმედი აქვს, რომ "ბრძენი, ჭკვიანი და დაჩაგრული ხალხი" სიმართლეს სიცრუისგან თავად გაარჩევს.

24 საათი

საუკუნის პროექტი

ᲘᲮᲘᲠᲔᲗᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სააკაშვილის თქმით, "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ამოქმედება იმის დასტურია, რომ პოლიტიკური ნებისა და რეგიონული კონსტრუქციული თანამშრომლობის პირობებში შეიძლება განხორციელდეს ყველაზე უფრო "წარმოუდგენელი" პროექტებიც კი.

"აღნიშნული პროექტი ევროპასა და აზიას კიდევ ერთხელ დაუკავშირებს, რის შედეგადაც, საქართველო და აზერბაიჯანი მსოფლიოსგან მნიშვნელოვან ინვესტიციებს მიიღებენ. ეს პროექტი რეგიონის ენერგეტიკული განვითარების გარანტი იქნება," - აცხადებს სააკაშვილი.

ბაქოში გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სპეცწარმომადგენელმა კასპიის ენერგეტიკულ საკითხებში სტივენ მანმა, რომელიც ასევე დაესწრო პროექტის გახსნის ცერემონიალს, აღნიშნა, რომ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი" "ჯორჯ ბუშის ენერგეტიკული პოლიტიკის ნაწილია."

სტივენ მანის თქმით, მილსადენის უსაფრთხოებას თავად ის სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომელთა ტერიტორიაზეც მილსადენი გადის. ამასთან, მანმა აღნიშნა, რომ აშშ აზერბაიჯანს, საქართველოს და თურქეთს მილსადენის დაცვაში ტექნიკურ მხარდაჭერას აღმოუჩენს.

როგორც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სპეცწარმომადგენელმა აღნიშნა, მისი ქვეყანა მიესალმება იმ იდეას, რომ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" მილსადენი რუსული და კასპიის სხვა ნავთობის ტრანსპორტირებისთვისაც იქნას გამოყენებული. **"აშშ ამის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ ეს "კომერციული" ტიპის საკითხია და იგი პროექტის ოპერატორებმა უნდა გადაწყვიტონ,"** - აღნიშნა მანმა.

1773-კილომეტრიანი ნავთობსადენი აზერბაიჯანის (449კმ), საქართველოს (235კმ) და თურქეთის (1059კმ) ტერიტორიებს კვეთს. მილსადენში გუშინ გაშვებული ნავთობი საქართველოს საზღვარს ივლისის დასაწყისში გადმოკვეთს, ხოლო სექტემბრის ბოლოს კი უკვე ხმელთაშუა ზღვაში არსებულ ჯეიჰანის ტერმინალამდე მიაღწევს. საამისოდ მილსადენში 10 მილიონი ბარელი ნავთობი უნდა ჩაიტვირთოს, რისთვისაც 400 მილიონი დოლარია გათვალისწინებული. 2001 წელს დაწყებული ნავთობსადენის პროექტის მთლიანი ღირებულება კი დაახლოებით 4 მილიარდი დოლარია. მილსადენის გამტარუნარიანობა დღე-ღამეში მილიონ ბარელს, ანუ წელიწადში 50 მილიონ ტონა ნავთობს აღემატება. მილსადენში ნავთობი კასპიის ზღვის აზერბაიჯანულ სექტორში არსებული "აზერი-ჩიგარი-გიუნეშლის" საბადოებიდან მოხვდება. აღნიშნული საბადოების მარაგები 750 მილიონ ტონაზე მეტად არის შეფასებული.

ახალი ნავთობსადენის აქციონერები არიან ბრიტანული "ბრითიშ პეტროლიუმი", აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო სანავთობო კომპანია, ამერიკული "იუნოკალ კონოკო-ფილიფსი", ნორვეგიული "სტატოილი", თურქული და იტალიური კომპანიები, ფრანგული "ტოტალი", იაპონური "იტოჩუ" და "ინპექსი", ამერიკა-საუდის ალიანსი "ამერადო ჰესი".

ნავთობსადენის სრული დატვირთვის შემთხვევაში, საქართველო წელიწადში ნავთობის გატარების ტარიფს - 50 მილიონ დოლარს მიიღებს. პროექტის სრული ამუშავება კი 2-3 წელიწადშია ნავარაუდევი.

გარდა ამისა, გუშინ ბაქოში საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს სამმხრივ დეკლარაციას, რომელიც თურქეთიდან საქართველოს მიმართულებით ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს მონაკვეთზე სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას ითვალისწინებს. წინასწარი გათვლებით, აღნიშნული პროექტის ღირებულება, დაახლოებით, 400 მილიონი დოლარია.

გუშინვე მოეწერა ხელი დეკლარაციას "აღმოსავლეთი-დასავლეთის ენერგეტიკული კორიდორის გაფართოებისა და განვითარების შესახებ". დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის სამაგრეო უწყებების ხელმძღვანელებმა და, ასევე, აშშ-ს მდივანმა ენერგეტიკის საკითხებში.

ოპოზიციისა და უმრავლესობის დროებითი ზავი

ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება - საპარლამენტო უმრავლესობა და ოპოზიცია გუშინ ერთმანეთის მიმართ უჩვეულოდ კეთილგანწყობილი იყო და კონსტრუქციულად თანამშრომლობდა. "რა ხდება, ხალხო! რაღაცაზე მაინც ვიდავოთ, რაღაცაზე მაინც ვერ შევთანხმდეთ!" - უჩვეულო ატმოსფერო "დისკომფორტს უქმნიდა" საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს კოტე გაბაშვილს.

გუშინდელი განხილვა ოთხ საათს გაგრძელდა.

გიორგი ასანიშვილი

სახელისუფლებო ფრაქციისა და ოპოზიციის კონსოლიდაციის (რა თქმა უნდა, დროებითის) საფუძვლად ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია იქცა, რომლის პროექტიც გუშინ, სამი კომიტეტის (საგარეო, თავდაცვის და ევროპასთან ინტეგრაციის) გაერთიანებულ სხდომაზე იხილებოდა. დოკუმენტის მუხლობრივი განხილვა თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა და მხოლოდ იმის გამო შეწყდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარესთან კომიტეტის თავმჯდომარეების შეხვედრა იწყებოდა.

"დღეს საკმაოდ კონსტრუქციული საუბარი გამოგვივიდა. ეს ბუნებრივიც არის, რადგან მიზანშეუწონელია, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მხოლოდ სახელისუფლებო გუნდის შიგნით შეთანხმებული დოკუმენტი იყოს. მტერმაც და მოყვარემაც უნდა დაინახოს, რომ იმ საკითხებში, რომლებიც ქვეყნის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ეროვნულ ღირებულებებს შეეხება, ხელისუფლება და ოპოზიცია შეთანხმებულად მოქმედებს," - საკომიტეტო მოსმენის დასრულების შემდეგ კმაყოფილი ჩანდა "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე. თუმცა, მას არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ არ ეთანხმება ე.წ "ბოდენის დოკუმენტისა" და ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გამოთქმული ინიციატივის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მოხსენიებას.

კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი, ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი პაატა გაფრინდაშვილიც გუშინდელ შეხვედრას ნაყოფიერად მიიჩნევს. მისი განცხადებით, საკომიტეტო განხილვისას სერიოზული კონცეპტუალური წინააღმდეგობები არ ყოფილა და შენიშვნები და რეკომენდაციები, მათ შორის, ოპოზიციის მიერ გამოთქმული, აუცილებლად გათვალისწინებული იქნება.

მანქანის სანომრე ნიშნები - "თვითგამოხატვის" საშუალება

გიორგი ასანიშვილი

ავტომანქანის ე.წ "პრესტიჟული სანომრე ნიშნები" საქართველოში ლამის კულტის დონემდეა აყვანილი და მისი მფლობელის "ძლევამოსილების" მანიშნებელია. ისიც ფაქტია, რომ პრესტიჟული ნომრების ასაღებად საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდაა საჭირო, რომელიც ცალკეული ჩინოვნიკების ჯიბეებში მიემართება. ამიტომ, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ეს წაუგებელი "ბიზნესი" "გაათეთროს" და მიღებული ფულადი სახსრები სახელმწიფო ხაზინაში მიმართოს.

"სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ" კანონში ნავარაუდევია ცვლილებების შეტანა, რომელიც საბიუჯეტო შემოსავლებს მნიშვნელოვნად გაზრდის. კანონპროექტის თანახმად, 900 ლარი ეღირება ისეთი სახელმწიფო სანომრე ნიშანი, რომლის ლათინური შრიფტის სამივე ასო იდენტურია (მაგალითად, NNN, SSS, HHH და სხვა), ხოლო ციფრების კომბინაციაა 001-დან 009-ის ჩათვლით. უფრო ძვირად - 1200 ლარად - ფასობს სანომრე ნიშანი, რომლის სამივე ლათინური ასო ერთნაირია, ხოლო ციფრების კომბინაციაა 111, 222, 555, 777 და ა.შ. თუ კლიენტი შედარებით "თავმდაბალია" და აკმაყოფილებს სამი იდენტური ასო, პლუს ციფრების კომბინაცია 100, 200, 300, 400 და ა.შ. - ასეთი ლარი სანომრე ნიშნის დაპატრონება 700 ლარი დაუჯდება.

იმ შემთხვევაში, თუ სანომრე ნიშანში სამი ლათინური ასოდან მხოლოდ ორია იდენტური, იგი, ზემოთ ჩამოთვლილი ციფრული კომბინაციების მიხედვით, შესაბამისად, 800, 1000 და 500 ლარი ეღირება, ხოლო თუ სამივე ასო არაიდენტურია - 200, 300 და 100 ლარი.

პრესტიჟულობის "მწვერვალს" წარმოადგენს სანომრე ნიშანი, რომლის ლათინური შრიფტი შედგება ავტომფლობელისთვის სასურველი ასოთა კომბინაციისგან (მაგალითად, GIORGI, NODARI, MARINA და სხვა). ასეთი ნომრის დაუფლება, არც მეტი, არც ნაკლები, 50 ათასი ლარი ეღირება. ოღონდ, სუპერნომერი არ უნდა შეიცავდეს უხამსობას, გეოგრაფიული ადგილის დასახელებას ან რაიმე სახის მოწოდებას.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტში გუშინ გამართული მოსმენის დროს დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მთავრობის მიერ სანომრე ნიშნების "ბიზნესის" დაკანონებას. კანონპროექტს რაიმე წინააღმდეგობა, სავარაუდოდ, არც პლენარულ სხდომაზე შეხვდება.

სამხედრო აღლუმს მიხეილ სააკაშვილი ჩაიბარებს

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სამხედრო აღლუმი პარლამენტის შენობასთან დღეს 12.00 საათზე დაიწყება. მას სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩაიბარებს. აღლუმის სარდალი კი შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი იქნება.

როგორც თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმს თავდაცვის ეროვნული აკადემიის მედროშეთა ასეული და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ოფიცრები გახსნიან. მთლიანობაში, აღლუმში მონაწილეობას 11 500 სამხედრო მოსამსახურე მიიღებს - ორი გენერალი, 580 ოფიცერი და 1900 ჯარისკაცი, კაპრალი და ზემდეგი.

აღნიშნულ კონტინგენტში შედის ასევე საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 54 სამხედრო მოსამსახურე და ეროვნული გვარდიის 3000 რეზერვისტი, რომლებმაც საბანაკო შეკრებები ოსიაურის, ძევერის და საჩხერის რეზერვისტთა ბანაკებში გაიარეს. რეზერვისტები "კამაზის" მარკის 100 ავტომანქანაში განთავსდებიან და პრეზიდენტის ტრიბუნის წინ მწყობრი კოლონით ჩაივლიან.

საზეიმო აღლუმში 16 ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი მონაწილეობს. ღონისძიებას საფრენი აპარატები დაასრულებენ. აღლუმში მონაწილეობას მიიღებს ოთხი "როკეზის" ტიპის ვერტმფრენი, ექვსი "მი-8" ტიპის ვერტმფრენი, სამი "მი-24" ტიპის ვერტმფრენი და ექვსი მოიერიშე თვითმფრინავი "სუ-25". პარალელურად, სამხედრო ორკესტრი "პლაც-კონცერტს" შეასრულებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სამხედრო აღლუმს ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვაირა ვიკე-ფრეიბერგასი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და სხვა ოფიციალური პირები დაესწრებიან. ღონისძიება, დაახლოებით, ორი საათის განმავლობაში გაგრძელდება.

ინტერ-პრესი

მიხეილ ქუთათელაძის კომპენსაციას და მკურნალობის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს

ერაყში მძიმედ დაჭრილი ქართველი ჯარისკაცის მიხეილ ქუთათელაძის მკურნალობის ხარჯებს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფულად კომპენსაციას მთლიანად ქართული მხარე, საქართველოს სახელმწიფო გაიღებს.

ვერიკო თევზაძე

"ქართველ ჯარისკაცს მიეცემა ერთდროული დახმარება. გარდა ამისა, დაენიშნება სამხედრო პენსია. ასევე, მკურნალობის, პროტეზირების ხარჯებს თავიდან ბოლომდე სახელმწიფო იხდის," - აღნიშნა ჩვენთან საუბრისას თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა.

"24 საათის" შეკითხვაზე: **"ხომ არ გახდება სადავო საკითხი "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებები?"** - სამინისტროში უპასუხეს, რომ ქუთათელაძე ერთდროულად ხუთი წლის ხელფასს მიიღებს, ანუ იმას, რაც კონტრაქტით არის გათვალისწინებული.

საქმე ის გახლავთ, რომ მიხეილ ქუთათელაძე ერაყში ორი თვის წინ წავიდა. იმ პერიოდისათვის "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონი, ჯარისკაცის დაჭრის შემთხვევაში, ხუთი წლის ხელფასის ოდენობით ფულად კომპენსაციას ითვალისწინებდა. ქართველი ჯარისკაცის დაჭრამდე რამდენიმე დღით ადრე, ხსენებულ კანონში შეიტანეს ცვლილება. კერძოდ, დაჭრის შემთხვევაში, ჯარისკაცი ფულად ანაზღაურებას იღებს ჭრილობის ხარისხის მიხედვით, არაუმეტეს შვიდი ათასი ლარისა.

თავდაცვის სამინისტროს პოზიცია ასეთია: ჯარისკაცი კომპენსაციას კონტრაქტის პირობების მიხედვით მიიღებს. ქუთათელაძის კონტრაქტში, ბუნებრივია, ის ვალდებულებები იქნება ჩადებული, რომელსაც სტატუსის შესახებ კანონის ცვლილებამდელი ვარიანტი ითვალისწინებდა. ამ ვარიანტის ნაკლებად ლოგიკურობა (სხეულის მსუბუქი და უმძიმესი დაზიანების შემთხვევებში ჯარისკაცი თანაბარ დახმარებას იღებდა) დაჭრილი ქუთათელაძის სასარგებლოდ სულაც არ მოქმედებს: როგორც უკვე ცნობილია, შავნაბადას ბატალიონის წევრს გაუკეთეს მაჯის ამპუტაცია და ექიმები დამატებითი ოპერაციის საჭიროებასაც არ გამორიცხავენ.

ჯერჯერობით უცნობია პენსიის ოდენობა, რომელიც მიხეილ ქუთათელაძეს უნდა დაენიშნოს, ვინაიდან ეს გარკვეულ სახელფასო გაანგარიშებებს უკავშირდება. სავარაუდოდ, მას პირველი ჯგუფის ინვალიდობას მიანიჭებენ.

სამხედრო აღლუმს მიხეილ სააკაშვილი ჩაიბარებს

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სამხედრო აღლუმს პარლამენტის შენობასთან დღეს 12.00 საათზე დაიწყება. მას სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩაიბარებს. აღლუმის სარდალი კი შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი იქნება.

როგორც თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმს თავდაცვის ეროვნული აკადემიის მედროშეთა ასეული და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ოფიცრები გახსნიან. მთლიანობაში, აღლუმში მონაწილეობას 11 500 სამხედრო მოსამსახურე მიიღებს - ორი გენერალი, 580 ოფიცერი და 1900 ჯარისკაცი, კაპრალი და ზემდეგი.

აღნიშნულ კონტინგენტში შედის ასევე საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 54 სამხედრო მოსამსახურე და ეროვნული გვარდიის 3000 რეზერვისტი, რომლებმაც საბანაკო შეკრებები ოსიაურის, ძევერის და საჩხერის რეზერვისტთა ბანაკებში გაიარეს. რეზერვისტები "კამაზის" მარკის 100 ავტომანქანაში განთავსდებიან და პრეზიდენტის ტრიბუნის წინ მწყობრი კოლონით ჩაივლიან.

საზეიმო აღლუმში 16 ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი მონაწილეობს. ღონისძიებას საფრენი აპარატები დაასრულებენ. აღლუმში მონაწილეობას მიიღებს ოთხი "როკეზის" ტიპის ვერტმფრენი, ექვსი "მი-8" ტიპის ვერტმფრენი, სამი "მი-24" ტიპის ვერტმფრენი და ექვსი მოიერიშე თვითმფრინავი "სუ-25". პარალელურად, სამხედრო ორკესტრი "პლაც-კონცერტს" შეასრულებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სამხედრო აღლუმს ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვაირა ვიკე-ფრეიბერგასი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და სხვა ოფიციალური პირები დაესწრებიან. ღონისძიება, დაახლოებით, ორი საათის განმავლობაში გაგრძელდება.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ექსპლუატაციაში შესვლას უმნიშვნელოვანეს მოვლენას უწოდებს და აცხადებს, რომ აღნიშნული პროექტი საქართველოს არა მხოლოდ ენერგეტიკულ, არამედ პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც ხელს შეუწყობს. ბურჯანაძის განცხადებით, იგი ამაყია, რადგან აღნიშნული პროექტის შექმნაში იღებდა მონაწილეობას. მისივე თქმით, დიდი საექსპორტო მილსადენის ამოქმედება უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის, რადგან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი გარანტია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მთავრობა საპარლამენტო კომიტეტებს მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადასვლას სთხოვს. მთავრობის საპარლამენტო მდივნის გია ხუროშვილის განცხადებით, მთავრობას უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შეტანილი აქვს 22 სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელთა გადაწყვეტა საგაზაფხულო სესიის დამთავრებამდე აუცილებელია. ამ ინიციატივათა შორის არის ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ, სახელმწიფო ბაჟის შესახებ, გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონებში ცვლილებები. იმის გამო, რომ პარლამენტს გადაწყვეტილებების მისაღებად ორი სასესიო კვირა დარჩა, კომიტეტებს ინტენსიური მუშაობა მოუწევთ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

სოხუმი. აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ე. წ. პარლამენტის გადაწყვეტილებით, ცნობილი საურორტო დასახლება ბიჭვინთა ქალაქი გახდება. კანონმდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის ვლადიმერ ნაჩალ-ოღლის თქმით, ბიჭვინთის ქალაქად გამოცხადების გამო, ადგილობრივი თვითმმართველობა არ შეიცვლება. ამასთან, წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებსაც უფლებამოსილება არ შეუწყდებათ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

სოხუმი. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო ნაღმზე აფეთქების შედეგად ოჩამჩირის რაიონში ორი სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის ფაქტს ადასტურებს.

როგორც სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსმა გენადი ზაიცევმა განაცხადა, ოჩამჩირის რაიონის დასახლ

ორი დამოუკიდებლობის პარალელები

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

საგარეო ფაქტორები: საერთაშორისო ვითარება და მისი ხელსაყრელობა დამოუკიდებლობისათვის; შორეულ და ახლო მეზობლებთან ურთიერთობა და მათთან კონკურენტუნარიანობა; ყოფილ მეტროპოლიასთან ურთიერთობა და მასზე დამოკიდებულების ხარისხი; საერთაშორისო მხარდაჭერა და ძლიერი, ყოფილ მეტროპოლიასთან კონკურენტუნარიანი მფარველ-მოკავშირის პრობლემა და სხვ. თუ ამ და სხვა განმსაზღვრელი ფაქტორების მიხედვით, პირველ და მესამე რესპუბლიკებს შორის პარალელებს, ანალოგიებსა და განსხვავებებს გავაანალიზებთ, შემდეგ არაერთგვაროვან სურათს მივიღებთ.

1. საშინაო ფაქტორების მიხედვით, პირველი რესპუბლიკის მდგომარეობა უფრო იმედისმომცემი და მყარი უნდა ყოფილიყო. სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის საზოგადოების მომზადება, სულ ცოტა, ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა და იგი ჯერ ნარქიის დამხობა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა გახლდათ.

XX საუკუნის დასასრულს ეროვნულ-პოლიტიკურ ძალებს ამდენი შესაძლებლობები არ გააჩნდათ. თითქოს პარადოქსია, მაგრამ სრული რეალობა, რომ მონარქისტული რუსეთი ბევრად უფრო დემოკრატიულ სისტემას წარმოადგენდა, ვიდრე საბჭოთა კავშირი. 1975 წლის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტის მიღების შემდეგ საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა, დაეშვა დისიდენტური ორგანიზაციების საქმიანობა. საქართველოში ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას თავკაცობით შეიქმნა და ენერგიული ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწეობა წამოიწყო ჰელსინკის ჯგუფმა. მიუხედავად დიდი პატრიოტული ღვაწლისა, ჰელსინკის კავშირი მაინც ვერ შეედრებოდა საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს, ვერც ორგანიზაციულად, ვერც საქმიანობის მასშტაბებით, ვერც მოსახლეობის მხარდაჭერის მაჩვენებლით. ამ მხრივ, ვერც გასული საუკუნის 80-იან წლებში წარმოქმნილი მრავალრიცხოვანი, მაგრამ მცირეგავლენიანი პარტიები გაუსწორდებოდნენ საუკუნის დასაწყისის სოციალ-დემოკრატთა თუ სოციალისტ-ფედერალისტთა მძლავრ პარტიულ ორგანიზაციებს.

2. პოლიტიკურ ძალთა შორის დაპირისპირება საქართველოში, საუკუნის დასაწყისში არანაკლებად დაძაბული იყო, ვიდრე 1990 წელს. მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატებსა და ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებს შორის არასოდეს მომხდარა შეიარაღებული დაპირისპირება. პირიქით იყო. 1905 წლის ოქტომბერში სასტუმრო "პურ-ღვინოში" შედგა საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების თათბირი. მასში მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ესერები და სხვებიც, ხოლო გადაწყვეტილება ერთი იყო: ერთად ებრძოლათ რუსეთის მონარქიის წინააღმდეგ. მონარქიის დამხობის შემდეგ კი, 1917 წლის აპრილში შეიქმნა ინტერპარტიული საბჭო. მასში გაერთიანდნენ საქართველოში მოქმედი ყველა პარტიები, გარდა ბოლშევიკებისა, რომელნიც მაშინ ჩვენში უმნიშვნელო ძალას წარმოადგენდნენ. ასე მივედით დიდმნიშვნელოვან მოვლენასთან, რომელსაც პოლიტიკურ და ეროვნულ ძალთა თანხმობა და ერთიანობა ჰქვია და რომელიც საუკუნის დასაწყისში ჩვენმა წინაპრებმა მომწიფებული პროფესიონალი პოლიტიკოსებისა და შეგნებული მამულიშვილების სიბრძნით გადაწყვიტეს. ჩვენ ვგულისხმობთ 1917 წლის ნოემბერში შემდგარ პირველ ეროვნულ ყრილობას, რომელზეც ყველა პოლიტიკური და პატრიოტული ძალა გაერთიანდა - ეროვნული საბჭოს სახით. სწორედ ეროვნული საბჭო ჩაუდგა სათავეში ქართველ საზოგადოებას და ხალხს, სწორედ ეროვნულმა საბჭომ, მისი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას სახით, აუწყა ყოფილი მეფისნაცვლის სასახლის წინ შეკრებილ საზოგადოებას, საერთოდ, ქვეყნის მოსახლეობას და მსოფლიოს: "ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა." ამ ასპექტითაც, 80-90-იანი საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური სინამდვილე, საუკუნის დასაწყისისას ვერ გაეჯიბრება. ჩვენს უახლოეს წარსულშიც ბევრჯერ ჩატარდა ეროვნული ყრილობები, კრებები, იქმნებოდა ფორუმები, ალიანსები, კავშირები, რომელნიც შექმნისთანავე იშლებოდნენ, მერე კი: "მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი..." ხოლო, კიდევ მერე: "ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ღეკთა, დიდოს!" ოღონდ, ეს ყველაფერი დავით გურამიშვილისა და ვახტანგ მეექვსის ეპოქაში კი არა, არამედ გორბაჩოვ-ელცინ-შევარდნაძეებისა და კიტოვან-იოსელიან-სიგუების საქართველოსათვის მორიგ შავბნელ პერიოდში ხდებოდა. ამ დროს, ნილ არმსტრონგს უკვე აღმართული ჰქონდა მთვარეზე თავისი სახელმწიფოს დროშა; ჰემინგუეი კარგა ხნის გარდაცვლილი გახლდათ, ხოლო საქართველოში უკვე გადაღებული იყო "ნატვრის ხე" და "მონანიება."

3. 900-იანი წლების პოლიტიკური ელიტა ერუდირებული, პროფესიონალი ადამიანებისაგან შედგებოდა. მათ საკუთარი პარტიული ორგანიზაციების და მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ფენების ხელმძღვანელობის და ამოძრავების დიდი გამოცდილება გააჩნდათ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ზნეობრივი, პატრიოსანი, პრინციპული, უაღრესად განათლებული პიროვნებებისაგან შედგებოდა. XX საუკუნის დასაწყისის ქართული პოლიტიკური ელიტის პირველი ორმოცდაათეულის შემადგენლობა რომ დავახასიათოთ, შემდეგ, იმავე საუკუნის 90-იანი წლების ანალოგიური ორმოცდაათეული ჩამოვთვალოთ და პირველს შევადაროთ, თანამედროვე ქართველი სირცხვილით დაიწვება. 90-იანელების სიის შედგენა მკითხველისათვის მიგვინდია, ჩვენ კი წინა ასწლეულის პოლიტიკური ელიტის პირველ ორმოცდაათეულს პირობითად დავასახელებთ. ეროვნულ-დემოკრატები: გიორგი გვაზავა, სპირიდონ კედია, პეტრე სურგულაძე, დავით ვაჩნაძე, კოტე აფხაზი, რევაზ გაბაშვილი, შალვა ამირეჯიბი, ვასილ წერეთელი, გერონტი ქიქოძე, გრიგოლ ვეშაპელი, ივანე ზურაბიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი მაჩაბელი, გიორგი ჟურული... სოციალისტ-ფედერალისტები: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე, გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, გიორგი დეკანოზიშვილი, სამსონ ფირცხალავა, იოსებ ბარათაშვილი, ვარლამ გელოვანი, სამსონ დადიანი, შალვა ალექსი-მესხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ხუნდაძე... ანარქისტები: ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, გიორგი გოგელია... ესერები: გრიგოლ ნათაძე, კოტე მესხი, ლეო შენგელაია... სოციალ-დემოკრატები: ისიდორე რამიშვილი, ვლადიმერ დარჩიაშვილი, ივანე გომართელი, ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი, კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ვლასა მგელაძე, ნოე ხომერიკი... ბოლოს, დიდ ქართველ სამოციანელთა თაობის წარმომადგენლები, რომლებმაც XX საუკუნეში შემოაბიჯეს: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე...

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვერ მოხერხდა პირველხარისხოვანი ჯარის შექმნა. ჩვენ ვიცით, რომ პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები ვერ აღუდგნენ წინ ბევრად მრავალრიცხოვან ბოლშევიკური რუსეთის არმიებს. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყდეს, რომ უაღრესად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა რამდენიმე სამხედრო კონფლიქტში გაიმარჯვეს. რაც მთავარია, მათ შეძლეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება (სომხეთთან ომი; ფოილოს ხიდთან საბჭოთა ჯარებზე გამარჯვება და ოკუპაციის პირველი მცდელობის აღკვეთა; თურქეთთან წარმოებული შეტაკებების შედეგად ახალციხის, ახალქალაქის დაბრუნება; აჭარის შენარჩუნება; წარმატებული სამხედრო ექსპედიცია სოჭი-ტუაფსეს მიმართულებით და სხვ). ამ მხრივ, მესამე რესპუბლიკის სამხედრო ძალების მოქმედების შედეგები სახეზე გვაქვს: ტერიტორიული დანაკარგები, გამდგარი სეპარატისტული რეჟიმები.

5. ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, მიუხედავად განვლილი მსოფლიო ომის დამანგრეველი შედეგებისა და საერთო გაჭირვებისა, მეზობელ ქვეყნებთან და საბჭოთა რუსეთთან შედარებით, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სტაბილურობა და განვითარების პერსპექტივა შეინარჩუნა. 1920 წლის გაზეთ "ერთობაში" კარიკატურაა გამოქვეყნებული: საბჭოთა რუსეთიდან ახალჩამოსულ გრიგოლ ურატაძეს, რომელსაც ჭუჭყიან-ჩამოფლეთილი ტანსაცმელი აცვია, ნოე ჟორდანია და ევგენი გეგეჭკორი ტილებისაგან ასუფთავებდნენ.

6. სოციალური ურთიერთობების მოგვარებისათვის ხელისუფლება დიდ ზრუნვას იჩენდა. სოციალ-დემოკრატიული მთავრობა მუშათა და მცირემიწიანი თუ უმიწო გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებას პრიორიტეტულ პრობლემად მიიჩნევდა. ქვეყანაში სპეციალური ე. წ. სალიკვიდაციო კომისიები მოქმედებდა, რომელთა უკითხავად საწარმოების, ქარხნების, დაწესებულებების მეპატრონეებს არ შეეძლოთ მუშა-მოსამსახურეების განთავისუფლება. რამდენჯერმე გატარდა აგრარული რეფორმა, განსაზღვრული ნორმის ზემოთ კერძო პირთა მიწები სახელმწიფო სტრუქტურის - საადგილ-მამულო კომიტეტების ხელში გადავიდა: 1919 წლის 28 იანვრის კანონით კი ეს მიწები კერძო საკუთრებაში გადაეცემოდა გლეხებს. რეფორმის ბოლომდე მიყვანა, ისევე როგორც სხვა ბევრი დაწყებული საქმისა, ვერ მოესწრო. სამწუხაროდ, 90-იანი წლების საქართველო, ვერც სოციალური და ეკონომიკური პარამეტრებით შეედრება პირველი რესპუბლიკის რეალობას.

კი მაგრამ, თუ ამდენი უპირატესობა ჰქონდა პირველ რესპუბლიკას მესამესთან შედარებით, მაშ რაღატომ აღმოჩნდა ასეთი უდღეური? რატომ დაეცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა? რისი იმედი უნდა გვქონდეს ჩვენ, მესამე რესპუბლიკის მოსახლეობას, საზოგადოებას, ხელისუფლებას? 26 მაისის დამოუკიდებლობას საერთაშორისო ფაქტორმა არ გაუმართლა. მართალია, თავდაპირველად ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა მშვენივრად გამოიყენეს გერმანიის მხარდაჭერა, მაგრამ ეს უკანასკნელი დამარცხდა. 1919 წლიდან ამიერკავკასიაში შემოსულ ანტანტის სახელმწიფოებს და უპირველესად ბრიტანელებს ვერ ეპატიებინათ საქართველოს ხელისუფლებისათვის, რომ ის გერმანიის ორიენტაციის პოზიციაზე იდგა. საბოლოოდ ევროპის სახელმწიფოებმა ვეღარ გამ სტაბილურობა და განვითარების პერსპექტივა შეინარჩუნა. 1920 წლის გაზეთ "ერთობაში" კარიკატურაა გამოქვეყნებული: საბჭოთა რუსეთიდან ახალჩამოსულ გრიგოლ ურატაძეს, რომელსაც ჭუჭყიან-ჩამოფლეთილი ტანსაცმელი აცვია, ნოე ჟორდანია და ევგენი გეგეჭკორი ტილებისაგან ასუფთავებდნენ.

6. სოციალური ურთიერთობების მოგვარებისათვის ხელისუფლება დიდ ზრუნვას იჩენდა. სოციალ-დემოკრატიული მთავრობა მუშათა და მცირემიწიანი თუ უმიწო გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებას პრიორიტეტულ პრობლემად მიიჩნევდა. ქვეყანაში სპეციალური ე. წ. სალიკვიდაციო კომისიები მოქმედებდა, რომელთა უკითხავად საწარმოების, ქარხნების, დაწესებულებების მეპატრონეებს არ შეეძლოთ მუშა-მოსამსახურეების განთავისუფლება. რამდენჯერმე გატარდა აგრარული რეფორმა, განსაზღვრული ნორმის ზემოთ კერძო პირთა მიწები სახელმწიფო სტრუქტურის - საადგილ-მამულო კომიტეტების ხელში გადავიდა: 1919 წლის 28 იანვრის კანონით კი ეს მიწები კერძო საკუთრებაში გადაეცემოდა გლეხებს. რეფორმის ბოლომდე მიყვანა, ისევე როგორც სხვა ბევრი დაწყებული საქმისა, ვერ მოესწრო. სამწუხაროდ, 90-იანი წლების საქართველო, ვერც სოციალური და ეკონომიკური პარამეტრებით შეედრება პირველი რესპუბლიკის რეალობას.

კი მაგრამ, თუ ამდენი უპირატესობა ჰქონდა პირველ რესპუბლიკას მესამესთან შედარებით, მაშ რაღატომ აღმოჩნდა ასეთი უდღეური? რატომ დაეცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა? რისი იმედი უნდა გვქონდეს ჩვენ, მესამე რესპუბლიკის მოსახლეობას, საზოგადოებას, ხელისუფლებას? 26 მაისის დამოუკიდებლობას საერთაშორისო ფაქტორმა არ გაუმართლა. მართალია, თავდაპირველად ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა მშვენივრად გამოიყენეს გერმანიის მხარდაჭერა, მაგრამ ეს უკანასკნელი დამარცხდა. 1919 წლიდან ამიერკავკასიაში შემოსულ ანტანტის სახელმწიფოებს და უპირველესად ბრიტანელებს ვერ ეპატიებინათ საქართველოს ხელისუფლებისათვის, რომ ის გერმანიის ორიენტაციის პოზიციაზე იდგა. საბოლოოდ ევროპის სახელმწიფოებმა ვეღარ გამ უწიეს საბჭოთა რუსეთს წინააღმდეგობა, მასთან მორიგება ამჯობინეს და საქართველოს დამოუკიდებლობა, ისევე როგორც სომხეთი და აზერბაიჯანი, რუსეთის წითელ იმპერიას შეატოვეს. საერთაშორისო ვითარება, რომელიც 80-90-იანი წლების მიჯნაზე შეიქმნა, საქართველოსთვის უფრო ხელსაყრელად გამოიყურებოდა. მაგრამ მთავარი მოვლენები ჯერ აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთში მიმდინარეობდა. ხელსაყრელი საერთაშორისო მდგომარეობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს ძლიერი მოკავშირე ჰყავდა, რომელიც ყოფილ მეტროპოლიასთან ურთიერთობის მოგვარებაში დაეხმარებოდა. მიუხედავად ამისა, ქართულ პოლიტიკაში პატრიოტულმა რადიკალიზმმა იმძლავრა. ამითაც განსხვავდებოდა მესამე რესპუბლიკა პირველისაგან, რომლის პოლიტიკური ელიტა რეალიზმით გამოირჩეოდა და რეალიზმით ხელმძღვანელობდა. ეროვნული საბჭო 1918 წლის მაისამდე თავს იკავებდა დამოუკიდებლობის გამოცხადებისაგან, ერთი მიზეზით - ჯერჯერობით არ ჩანდა ძლიერი მოკავშირე. ასეთი მოკავშირე მხოლოდ მაისში გამოჩნდა და დამოუკიდებლობის აქტმაც არ დააყოვნა. 90-იან წლები ამ ასპექტითაც ანტიპოდური აღმოჩნდა. დამოუკიდებლობის გამოცხადება და ამ საფუძველზე ყოფილ მეტროპოლიასთან დაპირისპირება ძლიერი მოკავშირის მხარდაჭერის გარეშე მოხდა. მიუხედავად ყველაფრისა, საერთაშორისო მოვლენების ლოგიკა საქართველოს სასარგებლოდ უფრო ვითარდებოდა. ამ მოვლენების ფონზე სულ უფრო რელიეფურად იკვეთებოდა ახალი მოკავშირის მომძლავრება რეგიონში. უკანასკნელ პერიოდში მომხდარ მოვლენებს აღარ შევეხებით. უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ ის, რაც ვერც ჟორდანიას მთავრობამ შეძლო, ვერც გამსახურდიას ხელისუფლებამ იზრუნა და ვერც შევარდნაძის დიპლომატიამ გადაჭრა, - 2003 წლის ნოემბრის მოვლენებმა გადაწყვიტეს - ძლიერი მოკავშირის პრობლემა. ეს თარიღი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, როცა ორ დამოუკიდებლობას ვადარებთ ერთმანეთთან. პირველი დამოუკიდებლობა, რომელიც მაისის 26-ში გამოცხადდა, ფაქტობრივად მიუღწეველი აღმოჩნდა მხოლოდ ერთი მიზეზის - ყოფილ მეტროპოლიასთან პოტენციურად დაპირისპირებული მოკავშირის არარსებობის გამო. 1991 წლის 9 აპრილს დეკლარირებული თავისუფლებაც, ფაქტობრივად დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის კიდევ ერთი ეტაპი იყო, რომელიც სრულად დღესაც არ დამთავრებულა. 23 ნოემბრის მოვლენების ძირითადი დეტონატორი საგარეო ორიენტაციისა და ახალი მოკავშირე-პარტნიორის საბოლოო არჩევანი გახლდათ. ამ მოვლენასთან ბევრი რამაა დაკავშირებული: დაიწყო რეალური სვლა დამოუკიდებლობისაკენ; გადამწყვეტ ფაზაში შევიდა ყოფილი მეტროპოლიის სამხედრო ზეწოლისაგან თავდაღწევის პროცესი, რაც გამოიხატება რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანაში.

ყველაზე მთავარი კი, რაც XX საუკუნის ორივე დამოუკიდებლობას ჰქონდა - ქართველი ხალხის მუდმივი მისწრაფებაა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ. ორიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიცია, გასული საუკუნის განმავლობაში ხან ფარულად, ხან პირდაპირ, ხან სახეცვლილი მოძრაობისა თუ პოლიტიკური იდეის სახით იჩენდა ხოლმე თავს, მაგრამ არასოდეს არ ჩამკვდარა და გამქრალა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და წევრების კანდიდატურების სია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის შესარჩევ კონკურსში მონაწილე პირთა მონაცემები

1 გორგიჯანიძე ნიკოლოზი - (მწერალი, კალმოსანი) დროებით უმუშევარი
2 ნანიტაშვილი ხათუნა - თბილისის სულხან-საბა-ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების კათედრის ლაბორანტი
3 ყიფიანი მარინა - შპს "სანო" ექიმი-კონსულტანტი, სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი "ჯანმრთელი სკოლა" - ექიმი-ენდოკრინოლოგი, ჟურნალი "ელიტარული ქრონიკა" მედიცინის გვერდის წამყვანი
4 კიკნაძე ნუგზარი - დროებით უმუშევარი
5 დარბაიძე კობა - მარნეულის რაიონის გამგეობის მოსაკრებლებისა და გადასახადების ანალიტიკურ შემსწავლელი სამსახურის ინსპექტორი
6 ბალავაძე ნინო - თბილისის მრავალპროფილიანი სკოლა "ივერიის" პედაგოგი
7 გოგიშვილი ტარიელი - დროებით უმუშევარი
8 ფარცვანია ვახუშტი - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის სამსახურის მთავარი მრჩეველი
9 ჭარიაა ოთარი - დროებით უმუშევარი
10 შიშნიაშვილი იოსები - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
11 ცერცვაძე შალვა - დროებით უმუშევარი
12 ჭყოიძე ნადია - დროებით უმუშევარი
13 ბაგანაშვილი გიორგი - შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში" უსაფრთხოების დაცვის სამსახურის უფროსი
14 წულაია მაია - აფხაზეთის მთავრობის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების მთავარი სპეციალისტი
15 ჯანჯღიბუხაშვილი ეკა - თბილისის გრ. კობახიძის სახელობის მე-5 გიმნაზიის ინფორმატიკის მასწავლებელი
16 საბაიაშვილი ავთანდილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელერადიოჟურნალისტიკის კათედრის მასწავლებელი
17 ცხოვრებაძე მზია - დროებით უმუშევარი
18 მანჯგალაძე არჩილი - დროებით უმუშევარი (კერძო მეწარმე)
19 დავითაშვილი ვახტანგი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიისა და მარკეტინგის საფუძვლების კათედრის გამგის მოადგილე
20 დავითაშვილი ოთარი - საწარმოო გაერთიანება "მაუდის" აღმასრულებელი დირექტორი
21 ქასრაძე თენგიზი - საქართველოს ომის ინვალიდთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა კოორდინატორი
22 წიკლაური შალვა - შპს "სიონის თევზის ფერმერული მეურნეობის" დირექტორის მოადგილე
23 ჭკადუა ირმა - თბილისის მთაწმინდის რაიონის ადვოკატურის ადვოკატი
24 ხაფავა დავითი - თბილისის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟის საფონდო განყოფილების უფროსი
25 ბაიდოშვილი ალექსანდრე - ჯორჯიან ეარვეისის საპრეტეზიო ჯგუფის უფროსი, საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე
26 დეკონი ირმა - შპს საგამომცემლო სახლის ჟურნალ "ფენომენის" რედაქტორის მოადგილე
27 ქავთარაძე გია - საქართველოს იუსტიციის საბჭოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურე, შპს "ქავთარაძე და პარტნიორები" მმართველი პარტნიორი
28 ყალაბეგიშვილი ელენე - საქართველოს პარლამენტის აპარატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი
29 გოგუა ზურაბი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი ფიზიკისა და ზოგადი ტექნიკის ფაკულტეტის დოცენტი
30 შარვაძე კახაბერი - სპორტსაზოგადოება "შევარდენის" ძიუდოს სპორტული სკოლის მეთოდისტი
31 ტუღუში მალვინა - იურიდიულ და ფიზიკურ პირთა დაცვა ანტიკორუფციულ კავშირში-"სამთავრობო, არასამთავრობო და დიპლომატიურ კორპუსთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე
32 გელაშვილი ცარო - დროებით უმუშევარი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების კანდიდატურების შესარჩევ კონკურსში მონაწილე პირთა მონაცემები

1. ხიდირბეგოვიშვილი არნო - ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ექსპერიმენტული სკოლა-პედაგოგი
კავშირი "იტერნაცი-ონალური საქართველო - მშვიდობისა და გარემოს დაცვისათვის", მთავარი ექსპერტი ეროვნული უმცირესობის დარგში
2. დავითაშვილი ლეკა - დროებით უმუშევარი
3 იმნაძე ავთანდილი "აი-სი-ტი ინთერნეშენალ გრუპ" - ის საქართველოს წარმომადგენლობა- სამსახურის უფროსი
4 სარიდაროვი ლერი საქართველოს საბაჟო აკადემია, საბაჟო საქმის კათედრის სპეციალურ დისციპლინათა პედაგოგი
5 გერლიანი ბადრი - საქართველოს ომის ინვალიდთა სამინისტროს სასაზღვრო დეპარტამენტის N 11 რეგიონა-ლური სამმართველო, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის განყოფილების უფროსი ოფიცერი
6 ხუციშვილი ინგა -სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგო-გიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრა, პედაგოგი
7 სილაგაძე თეიმურაზი - სააქციო საზოგადოება "ქიმპოლიმერი"- გენერალური დირექტორის მოადგილე
8 ფაჟავა ემზარი - საქართველოს პრეზიდენტის სახელმწი-ფო რწმუნებულის მოად-გილე სამეგრელო-ზემო სვანეთში
9 გოგიჩაიშვილი ცირა - თბილისის მერიის განათ-ლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური, იურისტი
10 მელიქიშვილი გიორგი - დროებით უმუშევარი
11 ჭიპაშვილი იზოლდა - დროებით უმუშევარი
12 შარიქაძე გაიოზი - გაზეთი "კრიმინალი და პოლიცია" - მთავარი რედაქტორი. ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი
13 გამხიტაშვილი გურამი - კერძო მეწარმე
14 ხორაბალაძე თამაზი - სამოქალაქო საწყისზე თბილისის საკრებულოს ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში ექსპერტ-კონსულტანტი
15 ესავნაჯია ელდარი - დროებით უმუშევარი
16 სამსონიძე ცისანა -- დამოუკიდებელი უნივერსიტეტი "იბერია", იურიდიული ფაკულტეტი- პედაგოგი, მიჰყავს სასამართლო მედიცინის და სასამართლო ლიკლინიკის ექიმი-ინფექციონისტი
44 ბუძიშვილი თამარი - ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო დარგში, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრი-აკადემიკოსი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი
45 გორგიშვილი გივი - დროებით უმუშევარი
46 მელაძე ჯამბული - სს "თბილმრეწმშენ-3"-ის ფინანსური დირექტორი
47 დარსაველიძე ქეთევანი - საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბიუროს მრჩეველი მოქალაქეებთან ურთიერთობის საკითხებში
48 გიშჩუკი გიორგი - თბილისის მეტროპოლიტენის №2 ექსკალატორების ოსტატი
49 მექვრეშვილი გურამი - დროებით უმუშევარი
50 წიკლაური მანანა - თბილისის ვაკის რაიონის №101-ე საშუალო სკოლის საქმეთა მმართველი
51 ბეგიაშვილი მაყვალა - დროებით უმუშევარი
52 იჩქითი ნინო - დროებით უმუშევარი
53 ლუტიძე მაია - დროებით უმუშევარი
54 ქომეთიანი ვარლამი - დროებით უმუშევარი (ლტოლვილი)
55 ციხვხვაია ნინო - დროებით უმუშევარი
56 ცინცაძე ზოსიმე - დროებით უმუშევარი
57 დამენია ანჯელინა - დროებით უმუშევარი. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი
58 ოქროპირიძე გიორგი - დროებით უმუშევარი
59 მიროტაძე თამაზი - დროებით უმუშევარი
60 რურუა თამაზი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იაპონური ენის კათედრის პედაგოგი
61 გოგორიშვილი ირაკლი - გაზეთი "ახალი თაობის" საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში აკრედიტებული კორესპონდენტი
62 ბუბუტეიშვილი ლევანი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო ტრანსპორტის კათედრის დოცენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
63 ნიკოლეიშვილი ოლეგი - დროებით უმუშევარი
64 ბერიძე თამაზი - დროებით უმუშევარი
65 ფარცვანია კახაბერი - დროებით უმუშევარი
66 ჯიქურაძე ზვიადი - საქართველოს "სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დახმარების ფონდის" თავმჯდომარის მოადგილე და ერთ-ერთი დამფუძნებელი
67 ბოლქვაძე ანა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის № 129-ე კათედრის უფროსი ლაბორანტი
68 ნიკოლაიშვილი ნანა - შპს "მკურნალი -2002"-ის ექიმი-გინეკოლოგი
69 ივანიძე მაია - დროებით უმუშევარი
70 ულუმბელაშვილი რევაზი - დროებით უმუშევარი კერძოდ განაკვეთებში
71 მემარნიშვილი ავთანდილი - სრულიად საქართველოს გია აბესაძის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარე
72 გოგიტაძე რევაზი - დროებით უმუშევარი
73 მიქავა ირმა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის გაზეთ "სოხუმის სადროშოს" კორესპონდენტი
74 ფურცხვანიძე რევაზი - დროებით უმუშევარი
75 ჩიხლაძე მარინა - თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის უფროსი მეთოდისტი და მუსიკის კათედრაზე პედაგოგი
76 მამულაძე არჩილი - ადამიანის უფლებათა დაცვისა და დახმარების საერთაშორისო კაუშირ "ნდობის" ადვოკატი
77 ნოროძე ოთარი - დროებით უმუშევარი
78 კაპანაძე-მახარაშვილი ლია - დროებით უმუშევარი
79 ქიტოშვილი მაია - თბილისის ნაძალადევის რაიონის სატელეფონო განყოფილების ასს 63/64 სადგურის ინჟინერი
80 გულმამედოვი მამედ - აზერბაიჯანული კულტურის ცენტრის დირექტორი
81 ზექალაშვილი რონინ - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. თავაძის სახელობის მეტალურგიისა და სამართალმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი
82 ჭავჭავაძე ნინო - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი
83 პაჭკორია ვილი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინოს უნივერსიტეტის ტოპოლოგიური ანატომიის კათედრის ასისტენტი
84 კუჭაიძე ვიქტორი - დროებით უმუშევარი
85 ბოლქვაძე ნატო - თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტის პედაგოგი
86 ყარალაშვილი დალი - დროებით უმუშევარი
87 გოგოლაური მედეა - დროებით უმუშევარი
88 კოკრიკაძე მაგდანა - თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის იურისტი, ქალთა "საერთაშორისო ასოციაციის" პრეზიდენტი
89 ჯანდიერი გიორგი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, კემბრიჯის (ინგლისი) უნივერსიტეტთან არსებული საზოგადოების "ვინ ვინ არის მსოფლიოში" ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში
90 ფავლენიშვილი ნატო - დროებით უმუშევარი
91 ივანიძე თამარი - ქ. რუსთავის №3-ე პროფესიული ლიცეუმის სპეციტექნოლოგიის (კომპიუტერის) მასწავლებელი
92 გიგინეიშვილი დავითი - თბილისის ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო-საინფორმაციო სამსახურის ცენტრის სწავლული მდივანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ნევროლოგიური კათედრის დოცენტი
93 მეტრეველი ელენე - დროებით უმუშევარი
94 ლომსაძე ქეთევანი - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის და დ. უზნაძის სახელობის თბილისის სასწავლო ინსტიტუტების ფსიქოლოგიის მასწავლებელი
95 ლაცაბიძე იმედო - № 35-ე ბაშურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
96 წულუკიძე ლია - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი
97 ლომსაძე ნონა - ა.დ. ვირსაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის პედაგოგი
98 დოროყაშვილი საბა - დროებით უმუშევარი
99 ჩილაჩავა ლევანი - დროებით უმუშევარი
100 ავალიანი ბესარიონ - დროებით უმუშევარი
101 ნიორაძე დავითი - გაზეთ "ხვალინდელი დღის" რედაქციის ხელოვნების განყოფილებაში ჟურნალისტი
102 ბერიშვილი დალი - დროებით უმუშევარი
103 კიკაბაძე ცირა - დროებით უმუშევარი
104 პატიაშვილი ეკატერინე - შპს "ჯუსტება-xxi"-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
105 ტყებუჩავა ნაზი- - დროებით უმუშევარი
106 გოგებაშვილი ელენე - დროებით უმუშევარი
107 წერეთელი ირმა - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომელი, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომელი
108 ნიკლაური ირაკლი - საქართველოს კონტროლის პალატის სამართალდაცვის, თავდაცვისა და სასამართლო სექტორის დეპარტამენტის კონტროლიორი
109 ანდრიაშვილი ფატმანი - დროებით უმუშევარი
110 ლეკვეიშვილი ომარი - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის საფინანსო-ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
111 სოხაძე გულნარა - დროებით უმუშევარი
112 ჩიკვატია ვახტანგი - დროებით უმუშევარი
113 მღებრიშვილი თამარი - დროებით უმუშევარი
114 ცხადაძე ბადრი - თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტი, ქართული ენების მკვლევარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
115 გოგლაძე გოჩა - დროებით უმუშევარი
116 ხორგუაანი გოჩა - დროებით უმუშევარი
117 ჯორბენაძე მიხეილი - დროებით უმუშევარი
118 ჯოხარიძე ნანული - გაზეთი "24 საათის" სტილისტი
119 აფციაური ნაზიკო - დროებით უმუშევარი
120 მანგოშვილი ბეჟანი - ქ. რუსთავის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სპეციალისტი
121 გველესიანი როზა - სააქციო საზოგადოება "სოკოს" ეკონომისტი
122 დვალი ლალი - დროებით უმუშევარი
123 სულხანიშვილი მიხეილი - მდგრადი განვითარების კავშირის "ეკოხედვის" დირექტორის თანაშემწე
124 ოყროშიძე ლუიზა - დროებით უმუშევარი
125 ცხოვრებაძე ირმა - დროებით უმუშევარი
126 ახალაძე ვაჟა - პენსიონერი
127 ირემაძე მარიამი - დროებით უმუშევარი
128 ახალაძე ალექსანდრე - შპს "კროტის" შადრევანაუზების ოპერატორ-პროგრამისტი
129 სამხარაული ჯაბა - დროებით უმუშევარი
130 მანჯგალაძე პაატა - საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის ასპირანტი
131 მაზმიშვილი რუსუდანი - კასპის რაიონის საფინანსო განყოფილების უფროსის მოადგილე
132 მაჭარაშვილი დავითი - დროებით უმუშევარი
133 მაჭარაშვილი ზურაბი - შპს "მარსის" დირექტორი
134 გაბედავა ნინო - დროებით უმუშევარი
135 ქავთარაძე თამარი - შპს "კროკოს" მოლარე-ოპერატორი
136 აბრამიშვილი გიორგი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო ტრანსპორტის კათედრის პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი
137 დემეტრაშვილი თამარი - საქართველოს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის "ოქროს ფრთა" მენეჯერი
138 მეტრეველი იოსები - შპს "შშენაღდგენის" გენერალური დირექტორის მოადგილე ეკონომიკის საკითხებში
139 ჯღებისაშვილი კონსტანტინე - დროებით უმუშევარი (კადრების განკარგულებაში)
140 მახარაძე-ხევსურიანი ეკატერინე - დროებით უმუშევარი
141 თოთლაძე ლაშა - დროებით უმუშევარი
142 ლორთქიფანიძე მაია - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ მუშაკი
143 ოდოშაშვილი ნიკოლოზი - დროებით უმუშევარი
144 ლომთაძე გიორგი - საქართველოს დიზაინფოდის ეკონომისტი
145 მუმლაძე ნიკოლოზ - მ. თოიძის სამხატვრო პროფესიული ლიცეუმის სამეწარმეო ბიზნესის მხატვრული და სამხედრო საქმის პედაგოგი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
146 რაზმაძე მარინა - შპს "საქართველოს ფოსტა" გეოგრაფიულ პროფკომიტეტის თავმჯდომარე
147 მირცხულავა გოჩა - დემოკრატიული განვითარების ანალიზისა და პროგნოზების ცენტრის თავმჯდომარე საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "მაჟორიტარების" აპარატის უფროსი
148 ჩხეიძე ნატო - საქართველოს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კოორდინატორი არჩევნების საკითხებზე
149 დანელია ნუნუ - დროებით უმუშევარი
150 სპარსიაშვილი მერი - შპს "თბილმეტროშენის" სარწმოო-ტექნიკურ განყოფილების წამყვანი ინჟინერი
151 ჯანელიძე დავითი - დროებით უმუშევარი
152 მაჭარაძე ნინა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახევარგამგმარული მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის წამყვანი ინჟინერი
153 კვირკველია ბელა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიის წამყვანი ინჟინერი
154 მარტიაშვილი როინი - დროებით უმუშევარი
155 გოგესაშვილი ნანა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჰეტეროჯაჭვური პოლიმერების სინთეზისა და პოლიმერული კომპოზიციების სამეცნიერო -კვლევითი ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი
156 ბიბიაშვილი ოლეგი - შპს "მარგანეცი-2000"-ის დირექტორი
157 ალადაშვილი ხათუნა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიკლინიკის ექიმი-ინფექციონისტი
158 ლობჟანიძე გივი - დროებით უმუშევარი
159 ალავიძე თინა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაორგანული და ზოგადი ქიმიის კათედრის უფროსი ლაბორანტი, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი
160 გურუშიძე ლევანი - დროებით უმუშევარი
161 აბრამია ციცინათელა - დროებით უმუშევარი
162 სოხაძე კობა - თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის მართვის კათედრის დოცენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
163 თუმანიშვილი გიორგი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა დაცვის საქართველოს ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
164 ცქიფურიშვილი ომარი - დროებით უმუშევარი
165 საბაშვილი მაია - დროებით უმუშევარი
166 სამადაშვილი ნიკოლოზი - სააქციო საზოგადოება "თბილავიამშენის" იურიდიულ სამართლებრივი სამმართველოს უფროსი
167 ჯოჯუა რაჟდენი - დროებით უმუშევარი
168 ფორცხვაია არინა - თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი
169 ხაინდრავა ვლადიმერი - მრავალპროფილიან სკოლა-ლიცეუმ "საუნჯის" ისტორიის პედაგოგი
170 ხოსიტაშვილი თინათინ - დროებით უმუშევარი
171 პაპალაშვილი ნუნუ - დროებით უმუშევარი
172 ყურაშვილი პეტრე - დროებით უმუშევარი
173 კრავეიშვილი თამაზი - საქართველოს გეოლოგიის და სამთოქიმიის ეროვნული კომპანიის პირველი კატეგორიის გეოლოგი
174 ხინგავა ქეთევანი - სააქციო საზოგადოება "გორგასალის" სახარჯთაღრიცხვო ჯგუფის ინჟინერი
175 მდივანი ალექსანდრე - ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადგენის მშენებლობის ჯანდარის უბნის ზედამხედველი
176 ცხოვრებაძე ბეჟანი - დროებით უმუშევარი
177 ბერიკაშვილი გიორგი - დროებით უმუშევარი
178 შელაია რევაზი - შპს "მშენებლის" დირექტორი
179 კილაძე არჩილი - შპს "პირამიდის" საინფორმაციო სამსახურის უფროსი
180 იაქაშვილი ჯემალი - დროებით უმუშევარი
181 ჩხიკვაძე თენგიზ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
182 მაისურაძე ესმა - დროებით უმუშევარი
183 ვარადაშვილი კახაბერი - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი
184 ხანიაშვილი თენგიზი - დროებით უმუშევარი
185 ჩალაგანეიშვილი გურამი - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურისტი, მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი "მომავლის სახლის" სოციოლოგი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის თ. წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი
186 ჩაველაშვილი ეკა - შპს "თელავის რაისაავადმყოფოს" იურისტი
187 ბარამაძე მაგდა - შპს სკოლა-გიმნაზია "მარიამის" დირექტორი
188 ლუღუნიშვილი თამარი - თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგობის მთავარი სპეციალისტი
189 კომახიძე ინა - დროებით უმუშევარი
190 გაბინაშვილი ლალი - დროებით უმუშევარი
191 ზუბაშვილი ნაზი - დროებით უმუშევარი
192 დვალი თამაზი - დროებით უმუშევარი
193 ლეკაშვილი გიორგი - არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატიული პრინციპების და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის" თბილისის ოფისის თავმჯდომარე
194 აბაზაძე როლანდი - თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა აუდიტის სამმართველოს კამერული შემოწმების განყოფილების მთავარი ინსპექტორი
195 გელაშვილი ავთანდილი - დროებით უმუშევარი
196 დოლიძე მანანა - თბილისის უნივერსიტეტ "იბერია" ისტორიის პედაგოგი
197 გოგოლაძე ვლადიმერი - დროებით უმუშევარი
198 გურუშიძე გიორგი - შპს № 4 კლინიკური საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილების უმცროსი ექიმი
199 ჩხაძაძე ნუგზარი - დროებით უმუშევარი
200 ბაბუხადია ვლადიმერი - ინდივიდუალური საწარმო "მარინა აბულაძის სტომატოლოგიური კაბინეტის" ექიმ-სტომატოლოგ-ქირურგი
201 კვანტალიანი ჯუმბერი - თბილისის ინფორმატიკის პროფილის № 41-ე საშუალო სკოლის ისტორიისა და საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებელი
202 კალმახელიძე დუდანა - ქ. რუსთავის პროფესიული ლიცეუმის დირექტორი
203 ქორიძე თეიმურაზ - ჟურნალისტური კვლევის ცენტრის დირექტორი
204 ბერიშვილი გიორგი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
205 ზარნაძე მურადი - დროებით უმუშევარი
206 მაჭარაძე თენგიზ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის საფუძვლებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის დოცენტი
207 ცხაკაია ნათელა - დროებით უმუშევარი
208 ბახტაძე ეკა - დროებით უმუშევარი
209 მემარნიშვილი მამუკა - დროებით უმუშევარი
210 მეტრეველი თამაზი - მწერალი, დრამატურგი
211 კინწურაშვილი ლაშა - დროებით უმუშევარი
212 გიორგობაძინი ლეილა - დროებით უმუშევარი
213 ქვარცხავა ნუგზარი - საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაციის მდივანი
214 პეტრიაშვილი ოლეგი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის დოცენტი
215 ხოშტარია გელა - ქ. აბაშის არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლის "სწავლის ძირი" პედაგოგი
216 ბაკურაძე თამაზი - დროებით უმუშევარი
217 ქიქავა ლეონილოზი - დროებით უმუშევარი
218 ქურდაძე ბონდო - გაზეთ "შანსის" მთავარი რედაქტორი
219 ბოჯგუა ლელა - შპს "რადიოიმედის" საინფორმაციო წამყვანი
220 ხუროშვილი ჯიმშერი - საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის მასწავლებელი
221 აბაშიძე აკაკი - პენსიონერი
222 ბეროშვილი ავთანდილი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოს საინფორმაციო სამისამართო განყოფილების მრჩეველი მრჩეველი
223 ხაჭაპურიძე ვლადიმერი - დროებით უმუშევარი
224 მათიაშვილი ჯონი - დროებით უმუშევარი
225 კახიანი თამაზი - დროებით უმუშევარი
226 დოლიძე თამარი - საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგი
227 კელენჯერიძე ინგა - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ზესტაფონის რაიონის კოორდინატორი
228 ჩხაიძე ავთანდილი - სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მონიტორინგის განყოფილების გამგე, არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდობის უფლებათა დაცვისა და კავშირის" დამფუძნებელი
229 სანიკიძე მანანა - დროებით უმუშევარი
230 ონიკაშვილი ვახტანგი - თბილისის № 3-ე პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, საზოგადოება "ფერეიდანის" თავმჯდომარე
231 ასათიანი ოთარი - საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის ტექნიკური ფაკულტეტის დოცენტი
232 კოხია მზია - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
233 ოსეფაშვილი მაყვალა (მაკა) - დროებით უმუშევარი
234 ვასაძე გიორგი - დროებით უმუშევარი
235 ბერიანიძე მაყვალა - "საქმორო გაზეთის" გამომცემელი და მთავარი რედაქტორი, "საავტორო გაზეთის" დამატებების, გაზეთების: "უკვდავება", "სამშობლოს დამცველის", "არჩევანის" გაერთიანებული რედაქციების მთავარი რედაქტორი, ჟ. შარტავას ფონდის მზრუნველთა საბჭოს წევრი
236 მიქელაძე ნანული - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის მასწავლებელი
237 მურაჩაშვილი ეთერი - სს "ინფოჯორჯია-XXI"-ს სინფორმაციო ცენტრის 09-ის ოპერატორი
238 სიგუა ვახტანგი - ფეხსაცმელების ფაბრიკა "ნარიყალას" საამქროს უფროსი
239 ზაალიშვილი ზაალი - სს "ეი-ი-ეს თელასის" ქონების დეპარტამენტის უძრავი ქონების აღრიცხვის ადმინისტრატორი
240 მასურაშვილი იოსები - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმოების, მომსახურების და ბიზნესის ორგანიზაციის კათედრის დოცენტი
241 ლონდარიძე შალვა - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მინისტრის აპარატის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (ჟურნალისტი)
242 სიმონიშვილი გურამი - შპს "გუმათეს" გამგეობის თავმჯდომარე
243 თედორაძე რუსუდანი - დროებით უმუშევარი
244 ტურძელაძე თამარი - წალკის რაიონის სოფელ არსარგანის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
245 ბახსოლიანი ალექსანდრე - დროებით უმუშევარი
246 შერგელაშვილი გიორგი - პენსიონერი
247 მალაციძე ნატო - თბილისის № 161-ე საშუალო სკოლის ისტორიის შემსვლელი მასწავლებელი
248 მაისურაძე თამაზი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის ინჟინერი
249 მუხიაშვილი ბიჭიკო - დროებით უმუშევარი
250 მინდელი ბელა - თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტის მდივანი
251 ღაჭაჯა პეტრე - თბილისის საგადასახადო ინსპექციის ვაკე-საბურთალოს რაიონის განყოფილების ინსპექტორი
252 ტყემალაძე ნათია - დროებით უმუშევარი
253 სახლთხუციშვილი ელდარი - დროებით უმუშევარი
254 ედილაშვილი ვახტანგი - კიბერნეტიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი
255 კოპაძე ემზარი - თბილისის საგადასახადო ინსპექციის, ადმინისტრირების სამმართველოს ვაკე-საბურთალოს რაიონის განყოფილების ინსპექტორი
256 შერაზადიშვილი ვახტანგი - ტრანსნაციონალური კორპორაცია "ტაისნის" კომპანიის მენეჯერ-კონსულტანტი
257 ჩაკვეტაძე ლევანი - დროებით უმუშევარი
258 ჩეჩელაშვილი იუზა - თბილისის № 130-ე საშუალო სკოლის დირექტორი
259 გაიორგაძე სოფიო - დროებით უმუშევარი
260 გვაზავა ელგუჯა - დროებით უმუშევარი
261 ბენიძე გრიგოლი - დროებით უმუშევარი
262 ქარსელაძე ვასილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი, ეროვნული სააგენტოს "საქსტანდრტის" გენერალური დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი
263 ლომთაძე თამარი - მედიცინის და სოციალურ მუშაკთა თავისუფალი პროფკავშირ "ერთობას" თავმჯდომარე
264 გაიორგაძე გრიგოლი - თბილისის ეკონომიკურ-ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის ლექტორი, ქართულ-ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტის დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი
265 დემეტრაძე მაია - დროებით უმუშევარი
266 კახიანი მაია - დროებით უმუშევარი
267 ზიმბლიცკაია-ლეჟავა ხათუნა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სასწავლო განყოფილების ინსპექტორი
268 მჭედლიძე გიზო - დროებით უმუშევარი
269 გაკაშვილი დავითი - შპს საქართველოს რკინიგზის ფილიალ თბილისის საკვანძო-სალიანდაგო დისტანციის დირექტორის მოადგილე
270 მიქელაძე თენგიზი - თელეთის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის

აფეთქება მადრიდში

"ეტას" გამაფრთხილებელი ზარის შემდეგ დანაღმული ავტომანქანა აფეთქდა

გუშინ ესპანეთის დედაქალაქის ჩრდილოეთით ავტომობილში დამონტაჟებული ნაღმი აფეთქდა. ამ ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე ბასკურ გაზეთში "Gara" დარეკა ანონიმურმა პირმა და მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ ამცნო რედაქციას. მიუხედავად იმისა, რომ აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ბასკურ ექსტრემისტულ ორგანიზაციას არ აუღია, მინიშნებები მისი ბრალეულობის შესახებ უკვე გაკეთდა. **"როგორც წესი, გამაფრთხილებელი ზარები ბასკი ტერორისტებისთვისაა დამახასიათებელი!"** - აღნიშნავენ ესპანეთის სამართალდამცავები. უცნობის თქმით, ასაფეთქებელი მოწყობილობა რუფინო გონსალესისა და ალკალას ქუჩის კუთხეში "რენო ექსპრესის" საბარგულში, ზურგჩანთაში იდო. როგორც შემდგომში გაირკვა, ეს მანქანა გუშინწინ მადრიდის ახლომდებარე სოფლიდან მოუპარავთ.

"Gara"-ს ოფიციალური ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით, ანონიმური ზარი რედაქციაში ადგილობრივი დროით დილის 8:45 სთ-ზე გაისმა; აფეთქება კი 45 წუთის შემდეგ მოხდა. აფეთქებამდე პოლიციამ მოახერხა თითქმის მთლიანი რაიონის ევაკუაცია.

CNN-ისა და BBC-ის ცნობით, აფეთქების შედეგად სამი ადამიანი მსუბუქად დაშავდა. ამერიკული გამოცემა დამატებით აცხადებს, რომ თხუთმეტი ადამიანი აფეთქების ძლიერი ხმის გამო დაყრუვდა. დაზარალებულთა გაცილებით მეტ რაოდენობას ასახელებს ესპანეთის წამყვანი მედიაჯგუფი EITB. წყარო მადრიდის მერის განცხადებაზე დაყრდნობით იტყობინება, რომ დაზარალებულთა რიცხვი ორმოცდაოთხს აღწევს.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ესპანეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა გეგმას, რომელიც ბასკურ ექსტრემისტულ-სეპარატისტულ დაჯგუფება "ეტა"-სთან მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყებას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ ის იარაღის ჩაბარებაზე იქნება თანახმა.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ხოსე ლუის როდრიგეს საპატერო აფეთქების შემდეგ სენატში სიტყვით გამოვიდა. მან დაგმო მომხდარი და განაცხადა, რომ მთავრობა ტერორიზმთან ბრძოლას მანამდე გააგრძელებს, სანამ საბოლოო გამარჯვებას არ მიაღწევს.

"მინდა ჩემი აზრი გაგიზიარო და დავგმო ძალადობისა და ტერორიზმის ის აქტი, რომელიც ახლახან განხორციელდა. ვფიქრობ, რომ "ეტა"-ს წევრების მხრიდან გონივრული იქნება, თუ ისინი იარაღს ჩააბარებენ და დაიშლებიან," - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა ხოსე ანტონიო ალონსომ,

რომელმაც ამ ინციდენტს "ეტა"-ს "ტერორისტული თავდასხმა" უწოდა, ესპანეთის სენატში განაცხადა, რომ 18-20კგ ასაფეთქებელი ნივთიერებისგან დამზადებული ნაღმმა "სერიოზული აფეთქება" გამოიწვია.

ოპოზიციური ეროვნული პარტიის წარმომადგენელმა პიო გარსია ესკუდერომ მხარდაჭერა აღუთქვა მთავრობას და აღნიშნა, რომ ეს უკანასკნელი თავდასხმა "ტერორისტთა მხრიდან მოლაპარაკებაზე წამოსვლის სურვილის არქონის დამადასტურებელია. მეტიც, ისინი ქვეყნის ხელისუფლებაზე ზეწოლის მოხდენას ცდილობენ".

ესპანეთმა, ამერიკამ და ევროკავშირმა "ეტა" ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარა. მათ საქმიანობას 1968 წლიდან 800-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. უკანასკნელ წლებში ტერორისტული ორგანიზაციის აქტიურობა შემსამჩნევად შენელდა. გარკვეული პერიოდის მანძილზე მათ მორატორიუმიც ჰქონდათ გამოცხადებული. ამის მიზეზი პოლიციის მიერ პერმანენტულად გადადგმული სერიოზული ნაბიჯებია. თუმცა, ეს ორგანიზაცია დროდადრო აფეთქებებს მაინც ახორციელებს. 2003 წლის მაისში ესპანეთის ჩრდილოეთით მომხდარმა აფეთქებამ პოლიციის ორი ოფიცრის სიცოცხლე შეიწირა.

24 საათი

საფრანგეთი ევროპის ძიებაში

მიშელ როკარი

ათი ახალი წევრის მიღების შემდეგ ევროკავშირი 25 სახელმწიფოსა და 453 მილიონ მოქალაქეს ითვლის. თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ გასული ათასწლეული ევროპის ქვეყნებმა ერთმანეთთან ომს მოანდომეს, ასევე, ცივი ომის გამო, ევროპა 45 წლის მანძილზე ორ მტრულ ბანაკად იყო გახლეჩილი - დღევანდელი ევროპა, უდავოდ, უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული წარმატებაა.

მართლაც, ევროკავშირი ერთდროულად რამდენიმე სიმბოლოს განასახიერებს. პირველ რიგში, იგი მშვიდობის გარანტია: გაერთიანების წევრ-სახელმწიფოებს შორის ომი დღეს, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

უფრო მეტიც, ევროკავშირი საერთაშორისო შერიგების გრანდიოზულ მექანიზმს წარმოადგენს; მაგალითად, გერმანელები და ფრანგები, რომლებიც ერთმანეთის მიმართ 60 წლის წინ ისეთ დამოკიდებულებაში იყვნენ, როგორც ახლა - სერბები და ბოსნიელები, დღეს ცოლ-ქმრული წყვილის ურთიერთობას შეიძლება შევადაროთ. ირლანდიის კათოლიკეები და პროტესტანტები მთელი საუკუნე ხოცავდნენ ერთმანეთს, მაგრამ ევროკავშირში შესვლის შემდეგ გააცნობიერეს ამ კონფლიქტის იდიოტიზმი და შერიგების გარდაუვალობა. ანალოგიური პროცესი იწყება უნგრელებსა და რუმინელებს შორის ომებისა და სიძულვილის, თითქმის, ცხრასაუკუნოვანი ისტორიის შემდეგ. საბერძნეთმა ახლახან მიიღო გადაწყვეტილება, მხარი დაუჭიროს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დაწყებას, რომელიც, ალბათ, 12 წლის შემდეგ დასრულდება.

კავშირი, ასევე, კეთილდღეობის სიმბოლოდ გვევლინება, რამეთუ მისი ეკონომიკურად ჩამორჩენილი წევრებისთვის პრობლემების დაძლევის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს. ირლანდია და საბერძნეთი - ერთ დროს ევროპის უღარიბესი ქვეყნები, სწრაფი ეკონომიკური აღმავლობის მაგალითად გამოდგება. შედეგად - დღეს საბერძნეთი საშუალო ევროპულ მაჩვენებელს უახლოვდება, ხოლო ირლანდია მდიდარ ქვეყნებს შორისაა.

სწორედ ამ მიზეზების გამოა, რომ სხვა ქვეყნებს კავშირში გაერთიანების სურვილი ამოძრავებთ. ორი წელიც არ არის დარჩენილი, რაც ამ მიზანს ბულგარეთი და რუმინეთი მიაღწევენ; იწყება მოლაპარაკებები თურქეთთან და ხორვატიასთანაც. ასევე, საუბარია სერბეთისა და უკრაინის გაწევრიანებაზეც. თითოეული ამ ქვეყნისთვის ევროკავშირის წევრობა მეზობლებთან მშვიდობიან თანაცხოვრებასა და ქვეყნის შიგნით შერიგებას ნიშნავს. გარდა ამისა, იგი დაჩქარებულ ეკონომიკურ განვითარებასაც გულისხმობს.

რა თქმა უნდა, ეს გარკვეულ არასტაბილურობას იწვევს, განსაკუთრებით, თუ გაფართოების პროცესის მამოძრავებლად მთავრობათა შორის მოლაპარაკებები გვევლინება და არა - დემოკრატიული არჩევანი. ევროპის ახალი კონსტიტუციის პროექტი იმისთვის შეიქმნა, რომ ეს პრობლემა მოეგვარებინა. თუმცა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საფრანგეთში 29 მაისს დაგეგმილ რეფერენდუმზე კონსტიტუციის რატიფიკაციის წინააღმდეგ აპირებენ ხმის მიცემას. თუ ეს მოხდა, შედეგს მიწისძვრის ეფექტი ექნება.

მართალია, ევროკავშირის ყველა წევრმა ქვეყანამ საკუთარი როლი შეასრულა ევროპულ ინტეგრაციაში, მაგრამ საფრანგეთი, უდავოდ, ის სახელმწიფოა, რომელსაც უზარმაზარი იდეოლოგიური და პრაქტიკული წვლილი მიუძღვის ამ პროცესში.

მაშინ რა ხდება? - საფრანგეთში, ისევე, როგორც მთელ ევროპაში, ყოველთვის იყვნენ დაუოკებელი ნაციონალისტები, რომლებიც, ეროვნული ინტერესების დაცვის საბაბით, ევროპას "არას" ეუბნებიან. იმისგან დამოუკიდებლად, რადიკალი მემარჯვენეები არიან, თუ - კომუნისტი მემარცხენეები, მათი რიცხვი ელექტორატის 20 პროცენტს არ აჭარბებს. გარდა ზემოთ დასახელებული ორი ფაქტორისა, ამ უცნაურ მოვლენას ცოტა ხნის წინ საფრანგეთში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებიც ხსნის.

პირველი ისაა, რომ ფრანგებს სურთ, საკუთარ პრეზიდენტსა და მთავრობაზე იძიონ შური. ჟაკ შირაკი ხმების 82 პროცენტით აირჩიეს პრეზიდენტად, რათა ქვეყნის სათავეში რადიკალი მემარჯვენეების მოსვლა არ დაეშვათ. ყველა მონაცემებით, ამ ხმების ნახევარზე მეტი მემარცხენე შეხედულებების ელექტორატს ეკუთვნის. მაგრამ, შირაკმა უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ყველაზე კონსერვატიული მთავრობა შექმნა. "ღარიბებს ვაიძულებთ, გადაიხადონ", - ასე შეიძლება ორი სიტყვით შეფასდეს საფრანგეთში დღეს არსებული ფინანსური წესრიგი. ეს უზურპაციას ჰგავს და ბევრ ფრანგს უბიძგებს, რომ აღშფოთება საარჩევნო урნებთან მისვლისას გამოხატონ.

მეორე ფაქტორი ისაა, რომ საფრანგეთი, ისევე, როგორც დანარჩენი მსოფლიო, ზარალდება გლობალიზაციის ცუდად მართული ფორმით. შედეგად, საფრანგეთში იზრდება უთანასწორობა, უმუშევრობის დონე; განუწყვეტლივ ხორციელდება კორპორატიული რესტრუქტურიზაცია, რომელიც მასობრივ შემცირებებს იწვევს; საფრთხე ექმნება სახელწიფო სექტორსა და სოცუზრუნველყოფის პროგრამებს. დაბოლოს, ყველაფერი ეს საყოველთაო არასტაბილურობისა და უიმედობის განცდას ბადებს.

მსოფლიომ უზარმაზარი ეკონომიკური დერეგულაცია განიცადა, რომელიც ამერიკის, ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის განვითარებულ ქვეყნებში მმართველი კონსერვატორული ძალების მიერ შექმნილი მონეტარისტული დოქტრინით არის გამოწვეული. ეს "ეკონომიკური ცუნამი" ჩვენში ამერიკიდან წამოვიდა - მასში არაფერია ევროპისთვის სასარგებლო, თუმცა მემარჯვენე ძალები ყველა ქვეყანაში (ისინი კი ევროპის მმართველ უმრავლესობას შეადგენენ) მას ემხრობიან.

სწორედ ასეთი ვითარების წინააღმდეგ გამოსვლის სურვილი ამოძრავებთ მათ, ვინც ევროპულ კონსტიტუციას "არას" ეუბნება. თუმცა, ეს უდიდესი შეცდომა იქნება. მხოლოდ პოლიტიკურად უკეთესი რეგულირების იდეით აღჭურვილ, ერთიან ევროპას შეუძლია, წინ აღუდგეს "ნეოლიბერალურ ცუნამის". მაგრამ, ამისთვის მკაფიო დოქტრინა, მტკიცე პოლიტიკური ნება და კონსტიტუციაა საჭირო. მართლაც, ევროპის კონსტიტუციაზე უარის თქმა უეჭველი გზაა ევროპული დინამიზმისა და ევროპის თავდაცვის შესაძლებლობის დასაღუპად.

საფრანგეთში ჯერ კიდევ არ დასრულებულა ცხარე დებატები, ჯერ კიდევ არაფერია დაკარგული. ფრანგ ხალხს ჯერ კიდევ შეუძლია თავის ხელში აყვანა. სხვათა შორის, ამ პროცესის დასაწყისს ბოლოდროინდელი სოციოლოგიური გამოკითხვებიც ცხადჰყოფს. ევროპა იმსახურებს ამას.

მიშელ როკარი - საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი; იგი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ლიდერი და ევროპარლამენტის წევრია.
პროექტი სინდიკატი, 2005წ.

მასშტაბური ენერგოავარია მოსკოვში

25 მაისს მოსკოვის რამდენიმე რაიონს მოულოდნელად ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. უშუქოდ დარჩა მეტროს რამდენიმე სადგური, ადმინისტრაციული და საცხოვრებელი შენობები. ელექტროენერგიის გარეშე დარჩა მოსკოვის სამხრეთი რაიონები და მოსკოვის, კალუგისა და ტულის ოლქების რამდენიმე დასახლებული პუნქტი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მასშტაბური ენერგოავარიის მიზეზი ჩაგინოს ქვესადგურზე მომხდარი აფეთქება იყო. რუსეთის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრის ვიქტორ ხრისტენკოს თქმით, ჩაგინოს ქვესადგურზე მომხდარი აფეთქების შედეგად, მწყობრიდან გამოვიდა რამდენიმე ტრანსფორმატორი. ზოგიერთი წყაროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ელექტროენერგიის მასშტაბური გამორთვის მიზეზი კოპიტნატის მიკრორაიონში "ჩიგინოს" ქვესადგურზე 24 მაისს მომხდარი ხანძარი გახდა.

ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას პრობლემები მოჰყვა ტულის ოლქში.

"ინტერფაქსის" ცნობით, ტულის ოლქის ქარხანა "ნოვომოსკოვსკი აზოტში" ელექტრომომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო აფეთქება და ტოქსიკური ნივთიერებების გაფრქვევა მოხდა.

საინფორმაციო სააგენტო "რიანოვოსტ"-ის ინფორმაციით, ავარიას გავლენა არ მოუხდენია "გაზპრომ"-ის მუშაობაზე.

"როსატომ"-ის ხელმძღვანელის ალექსანდრ რუმიანცევის თქმით, ენერგოავარიას გავლენა არც მის უწყებაში შემავალ ობიექტებზე მოუხდენია.

"პრეზიდენტისათვის მომზადებულ მოხსენებაში მე აღვნიშნე, რომ "როსატომ"-ის ობიექტებზე შეფერხებას ადგილი არ ჰქონია შექმნილი ენერგოკრიზისის გამო. სამუშაო ციკლი არც შეწყვეტილა და უპრობლემოდ გრძელდება," - განაცხადა რუმიანცევმა.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მოსკოვის ელექტროსისტემაში მომხდარი ავარიისთვის პასუხისმგებლობა "რაო ეეს"-ის ხელმძღვანელობას დააკისრა. მისი თქმით, კომპანია "მიმდინარე სამუშაოებს საკმარის ყურადღებას არ უთმობს". პრეზიდენტის ბრალდების შემდეგ მოსახლეობისთვის ბოდიშის მოუხდა მოუწია "რაო ეეს"-ის ხელმძღვანელს ანატოლი ჩუბაისს.

"აუცილებლად მიმაჩნია ბოდიში მოვუხადო მოსკოვისა და ტულის ოლქების მოსახლეობას, როგორც "რაო ეეს"-ის, ასევე პირადად ჩემი სახელით ენერგოკრიზისის გამო. ეს ჩვენი შეცდომების გამო მოხდა, ამიტომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა კვლავ არ განმეორდეს მსგავსი მდგომარეობა," - განაცხადა საგანგებო სათავრობო შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ანატოლი ჩუბაისმა.

საღამოს კი ანატოლი ჩუბაისი გენერალურ პროკურატურაში დაიბარეს დაკითხვაზე ენერგოავარიის მიზეზების დადგენის მიზნით.

"გასაგებია, რომ ჩუბაისი ავარიის შედეგების ლიკვიდაციით არის დაკავებული, რასაც უცილობლად უნდა მოჰყვეს ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენა. თუმცა, ეს არ იხსნის მას პასუხის გაცემისაგან," - განაცხადა ჩუბაისის გენპროკურატურაში მისვლამდე ამავე ორგანოს წარმომადგენელმა ნატალია ვეშნიაკოვამ.

გენერალური პროკურატურის წარმომადგენლის განცხადებას რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში რამდენიმე დეპუტატის მიერ დღის წესრიგში ჩუბაისის გადადგომის საკითხის დაყენების ინიციატივა მოჰყვა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანატოლი ჩუბაისის თანამდებობიდან გადაყენების მცდელობას სახელმწიფო სათათბიროში ადრეც ჰქონია ადგილი, თუმცა წარუმატებლად. მაგრამ როგორი იქნება ამჯერად ჩუბაისის "წყლიდან მშრალად გამოსვლის" შანსები, ძნელი სათქმელია. მით უფრო, რომ ქვეყნის პირველმა პირმა "რაო ეეს"-ის არაეფექტური მუშაობის გამო უკმაყოფილება უკვე გამოთქვა.

რამდენიმე საათიანი კრიზისის შემდეგ თანდათანობით დაიწყო მოსკოვში სასიცოცხლო ობიექტების ელექტროენერგიით მომარაგება, თუმცა ელექტროენერგიის მიწოდების მთლიანად აღდგენა იმავე დღეს ვერ მოხერხდა. როგორც აცხადებენ, ელექტროენერგიის სრული მიწოდების აღდგენა დღეს მხოლოდ შუადღისთვის მოხერხდება.

24 საათი

ორი სიტყვით

რუსეთი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვისა და ინფორმაციის დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთისა და საფრანგეთის საგარეო უწყებათა წარმომადგენლებმა ეუთო-ს რეფორმირების საკითხები განიხილეს.

რუსეთის მხარეს ევროპის დეპარტამენტის დირექტორი ალექსანდრ გრუშკო, ხოლო საფრანგეთის მხარეს სტრატეგიის, უსაფრთხოებისა და განიარაღების საკითხების დეპარტამენტის დირექტორი ფილიპ კარე წარმოადგენდა. მათი შეხვედრა მოსკოვში 25 მაისს შედგა.

"შეხვედრისას მხარეებმა განიხილეს ეუთო-ს რეფორმირების საკითხები. ევროპის სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, მისი შესაძლებლობებისთვის მაქსიმალური ეფექტიანობის დამატების გზები, რაც გამოვლენილი იქნება სამხედრო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში," - განაცხადეს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

შეხვედრისას მხარეებმა ასევე აღნიშნეს, რომ დაუშვებელია "ორმაგი სტანდარტების" პრაქტიკაში განხორციელება. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

რუსეთი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, უახლოეს მომავალში მოსკოვში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოფიციალური წარმომადგენლის ვიზიტისთვის ემზადებიან. ამის შესახებ ლავროვმა ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილესთან ლი გუისიანთან მოლაპარაკებების დაწყებისას განაცხადა.

"მოსკოვში ჩვენი შეხვედრა რუსეთ-ჩინეთის მეგობრობის, მშვიდობისა და განვითარების კომიტეტის მეექვსე სესიის ჩარჩოებში მიმდინარეობს. ჩვენი ურთიერთობა სტრატეგიული პარტნიორობის ჭრილში მეტად ნაყოფიერია. თანაც ჩვენ ვემზადებით ჩინეთის უმაღლესი წარმომადგენლის ჰუ ძინტაოს ვიზიტისათვის, რომელიც მოსკოვში ივლისის დასაწყისში ჩამოვა," - აღნიშნა სერგეი ლავროვმა.

მისივე თქმით, უკვე რატიფიცირებულია რუსეთ-ჩინეთის საზღვრის შესახებ დამატებითი ხელშეკრულება.

თავის მხრივ, რუსეთის მხარის მიმართ მადლიერება ლი გუისიანმაც გამოხატა.

"სასაზღვრო საკითხებში შეთანხმება კარგია სიახლეა," - განაცხადა ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს წარმომადგენელმა. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

აღმოსავლეთი ევროპა. კოსოვოს ოპოზიციურმა დემოკრატიულმა პარტიამ, რომლის ლიდერიც "კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის" ყოფილი ხელმძღვანელი ჰაშიმ ტაჩია, ჩრდილოვანი კაბინეტის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო. ჩრდილოვანი კაბინეტის მიზანი საზოგადოებისათვის ბაირამ კოსუმის მოქმედი ხელისუფლების ალტერნატივის შეთავაზებაა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კაბინეტის შემადგენლობა პრიშტინაში, კოსოვოს ტელეარხის "კოხავიჟნ"-ის მეშვეობით, დღეს გამოცხადდება. წინასწარი ინფორმაციით, ჩრდილოვანი კაბინეტი, რომელსაც საკმაოდ თამამი სახელწოდება აქვს - "ხარისხიანი მმართველობის კაბინეტი", 13 სამინისტროსაგან შედგება. ჩრდილოვანი კაბინეტის შემადგენლობაში შედიან კოსოვოს პარლამენტში დემოკრატიული პარტიის სიით წარმოდგენილი დეპუტატები, ექსპერტები და აგრეთვე სხვადასხვა სფეროდან. ჩრდილოვანი ხელისუფლების კაბინეტს თავად ჰაშიმ ტაჩი უხელმძღვანელებს.

რაც შეეხება თავად ზემოაღნიშნული კაბინეტის ფორმირების ინიციატივას, ამგვარი წინადადებით ტაჩი ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს გამოვიდა. იმ დროს საპარლამენტო არჩევნების შედეგად სამთავრობო კოალიცია "კოსოვოს დემოკრატიული კავშირისა" და "კოსოვოს მომავლისათვის ალიანსისაგან" შეიქმნა, რომელსაც სათავეში ყოფილი პრემიერ-მინისტრი მეტოჰი რამუშ ხარადინი ჩაუდგა. ამ უკანასკნელის საქმეს ახლა ჰააგის ტრიბუნალი განიხილავს. **24 საათი**

■ ■ ■

ირანი. "ევროპის სამეულმა" (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია) ურანის გამდიდრების პროგრამასთან დაკავშირებით ირანთან შეთანხმებას მიაღწია, რომლის თანახმადაც ოფიციალური თეირანი ვალდებულია, გასული წლის პარიზის ხელშეკრულებით საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებები შეასრულოს. ამ ხელშეკრულებით ირანი ვალდებული იყო, შეეჩერებინა ურანის გამდიდრების პროგრამაზე მუშაობა. პრობლემას ოფიციალური თეირანის ჭირვეულობა ქმნიდა, რაც თავის მხრივ, არამარტო "ევროპის სამეულის", არამედ აშშ-ს გაღიზიანებასაც იწვევდა.

საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა ჟენევაში 25 მაისს გაიმართა. მოლაპარაკებები მოლოდინის საწინააღმდეგოდ შედეგიანი აღმოჩნდა. მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს "ევროპის სამეულის" მიერ წარმოდგენილი იქნება ირანის ბირთვული პროგრამის სამშვიდობო ვარიანტის დეტალური სქემა. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

ევროპა. ესტონეთის პრეზიდენტი არნოლდ რიუტელი ოფიციალური ვიზიტით ბულგარეთს ეწვია. პრეზიდენტის კანცელარიის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ვიზიტის პროგრამა რიუტელის ბულგარელ კოლეგასთან გეორგი პირვანოვთან, პარლამენტის სპიკერთან ბორისლავ ველიკოვსა და პრემიერთან სიმეონ საქსენკობურგოტსკთან შეხვედრას ითვალისწინებს.

მოლაპარაკებებზე განხილული იქნება ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში კავშირების გაღრმავების პერსპექტივები, ევროკავშირის სამომავლო გაფართოების პრობლემები, ბალკანეთში შექმნილი მდგომარეობა და ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის საკითხები.

ესტონეთის პრეზიდენტს თან ახლავს თავდაცვის ძალების მეთაური, ვიცე-ადმირალი ტარმო კიუტსი, ეკონომიკის მინისტრი ედგარ სავისაარი, ფინანსთა მინისტრი აივარ სიერდი და გარემოს დაცვის მინისტრი ვილუ რეილიანი. **24 საათი**

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი რუსეთს ინვესტორების გაქცევას უწინასწარმეტყველებს

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ყოველ ექვს თვეში ერთხელ გამოქვეყნებული ანალიტიკური მოხსენების თანახმად, 2005 წელს რუსეთში ეკონომიკური ზრდა 5,2 პროცენტს არ გადააჭარბებს. მაშინ, როცა რუსეთის ხელისუფლება წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 6,5 პროცენტით ზრდას და ინვესტიციების ბუმს ელის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ "იუკოსის" ისტორიით გამოწვეული უნდობლობა რუსეთიდან კაპიტალის გადინების საფუძველი გახდება.

დიანა ჩაჩუა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, 2005 წელს რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი 5,2 პროცენტი იქნება, მაშინ, როცა გასულ წელს იგივე მაჩვენებელი 7,1 პროცენტს შეადგენდა.

გამოქვეყნებულ მოხსენებაში ბანკი რუსეთს ხელისუფლების ქმედებების გამჭვირვალობისკენ და საბიუჯეტო დისციპლინების გამკაცრებისაკენ მოუწოდებს. **"საშუალოვადიანი პროგნოზი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა ინვესტორების ნდობის შენარჩუნებას და რეფორმების გაგრძელებას,"** - ნათქვამია მოხსენებაში.

"რუსეთში ბიზნეს-კლიმატი ერთპიროვნულად დამძიმებულია. ურთიერთგამომრიცხავი მესიჯები მოდის ქვეყნის სხვადასხვა სტრუქტურების მხრიდან. ნათელია, რომ ამ ქვეყანას უდიდესი პოტენციალი გააჩნია, თუმცა მან აუცილებელად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რა ტიპის საბაზრო ეკონომიკის შექმნა სურს," - აცხადებს ბანკის მთავარი ეკონომისტი უილემა ბუიტერა.

რუსეთის ეკონომიკის ზრდის შენელების მიზეზებად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი გლობალური ეკონომიკური პროგნოზის გაუარესებას და რეგიონში კაპიტალის შემოდინების მოცულობის შემცირებას ასახელებს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროგნოზებით, ეკონომიკური ზრდის შემცირება არა მარტო რუსეთს ელის. საშუალოდ, დსთ-ს ქვეყნების ეკონომიკა 2005 წელს 5,7 პროცენტით გაიზრდება. გასულ წელს ეს მაჩვენებელი 7,8 პროცენტს შეადგენდა.

ებრაელი ინვესტორების ინტერესი საქართველოს მიმართ გაიზარდა

საქართველო-ისრაელის ბიზნეს-პალატა 26 მაისს, ახალი პროექტების პრეზენტაციასთან ერთად, ახალ ვებ-გვერდსაც წარმოადგენს.

როგორც ბიზნეს-პალატის პრეზიდენტმა იციკ მოშემ განაცხადა, ინგლისური და ქართულენოვანი ვებ-გვერდის მეშვეობით, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ, პალატაში გაერთიანებულ წევრთა და კომპანიათა საქმიანობის შესახებ ყოველგვარი ინფორმაცია მოიპოვონ.

"საიტზე განთავსდება ინფორმაცია საქართველოში არსებული მაკროეკონომიკური ვითარების შესახებ, ასევე ინფორმაცია საქართველო-ისრაელის ურთიერთობების შესახებ. ეს შეიძლება ბევრი ქართველისათვის ტრივიალურიც იყოს, მაგრამ ყველაფერი გათვლილია იმ ადამიანებისათვის, ვინც პირველად გაეცნობა საქართველოს," - განაცხადა იციკ მოშემ.

მისი თქმით, ვებ-გვერდზე განთავსდება 10 რჩევა ბიზნესმენებისათვის, რომლებიც საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესდებიან. **"საქართველოში ჩამოსულმა ბიზნესმენებმა უნდა იცოდნენ, რისი ცოდნაა საჭირო წარმატებული ბიზნესის განსახორციელებლად, და უნდა შეისწავლონ ადგილობრივი ბიზნესკულტურა. წარსულში ძირითად პრობლემას სწორედ ბიზნესკულტურათა შორის განსხვავება წარმოადგენდა,"** - განაცხადა ბიზნეს-პალატის პრეზიდენტმა.

საქართველო-ისრაელის ბიზნეს-პალატამ ჩაატარა გამოკვლევა ინვესტორთა შორის, თემაზე, თუ რა ბიუროკრატიული ბარიერები ხვდებათ მათ და როგორ შეიძლება მომავალში მათი თავიდან აცილება, უკეთესი ბიზნეს გარემოს შექმნის მიზნით. გამოკვლევის შედეგები 26 მაისის პრეზენტაციაზე გამოცხადდება.

დღევანდელი ინფორმაციით, ებრაელი ინვესტორების ინტერესი საქართველოს მიმართ 2005 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა. მოიმატა იმ ქართულ კომპანიათა რიცხვმაც, რომლებსაც ებრაულ კომპანიებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება სურთ.

საქართველო-ისრაელის ბიზნეს-პალატის პრეზიდენტის იციკ მოშეს განცხადებით, 2005 წელს ბიზნეს-პალატაში საქართველო-ისრაელს შორის ორმხრივი საქმიანი კავშირებით დაინტერესებული 30 ახალი ორგანიზაცია გაწევრიანდა.

"საქართველოში ინვესტიციის განხორციელების მსურველ ინვესტორთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ისინი, ძირითადად, სადაზღვევო, საფინანსო, ლოგისტიკის და უძრავი ქონების ბიზნესით არიან დაინტერესებულნი," - განაცხადა იციკ მოშემ.

მისი აზრით, საქართველოს მიმართ ინვესტორთა ინტერესის ზრდა განაპირობა საქართველოს პრეზიდენტის უცხოეთის ქვეყნებში ვიზიტების დროს ბიზნესმენებთან შეხვედრებმა, ქვეყანაში კრიმინოგენული მდგომარეობის გამოსწორებამ, მაკროეკონომიკური პარამეტრებისა და საბანკო სექტორის სტაბილურობამ.

"უცხოელმა ინვესტორებმა საქართველოში მუშაობის სტილი შეცვალეს, ისინი საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში საკუთრების მართვას ახალგაზრდა ქართველ სპეციალისტებს ანდობენ. რევოლუციამდე ინვესტორები, ძირითადად, საქართველოს სახელისუფლებო წრეებში გავლენიანი პარტნიორის მოძიებით და მისთვის ბიზნესის გაყოფით იყვნენ დაკავებულნი," - განაცხადა ბიზნეს-პალატის პრეზიდენტმა.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. ოთხშაბათიდან აჭარის რეგიონს, ბარტერის სახით, ელექტროენერგიას თურქეთი მიაწვდის. როგორც პრაიმ-ნიუსს აჭარის მთავრობიდან აცნობეს, აჭარის რეგიონის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის თაობაზე მემორანდუმს მიმდინარე წლის თებერვალში აჭარის დელეგაციის თურქეთში ვიზიტის დროს, თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ მეჰმეთ ჰილმი გიულერისა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ლევან ვარშალომიძის მიერ მოეწერა ხელი. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, აჭარა თურქეთიდან თვეში 45 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიას მიიღებს. ელექტროენერგიის იმპორტი მაისში, ივნისში, აგვისტოსა და დეკემბერში - 65 მლნ კვტ/სთ ოდენობით, ხოლო 2006 წლის იანვარ-მაისში, მაქსიმუმ, 180 კვტ/სთ ოდენობით განხორციელდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ემბრაერის ორი თვითმფრინავის ლიზინგით აღების თაობაზე ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" გენერალური დირექტორი გიორგი კოდუა ბრაზილიურ კომპანია "ემბრაერის" კომერციულ დირექტორთან, ორლანდო ფერესთან ოთხშაბათს ხელშეკრულებას გააფორმებს. როგორც გიორგი კოდუამ განაცხადა, უმაღლესი კლასის ემბრაერის 50-ადგილიანი თვითმფრინავებით ავიაკომპანია რეისებს მოსკოვის, დნეპროპეტროვსკის, კიევის, ალმა-ათას, დუბაის, თეირანის და მილანის მიმართულებით შეასრულებს. თვითმფრინავი 10,5 კმ სიმაღლეზე საათში 850 კილომეტრს ავითარებს და, შესვენების გარეშე, 3000 კმ რადიუსზე გადაადგილდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. როგორც გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ განაცხადა, კომიტეტის ინიციატივით, 4 და 5 ივნისს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტები პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრებს გუდაურში სემინარებს ჩაუტარებენ. **ინტერ-პრესი**

სამინისტროების და სახელმწიფო უწყებების დაფინანსება 1 მლნ ლარით იზრდება

თამარ ივანიძე

სამინისტროების და სახელმწიფო უწყებების დაფინანსება 1 მლნ ლარით იზრდება.

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ვალერი ჩეჩელაშვილმა ოთხშაბათს გამართული, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა და დასძინა, რომ თანხა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა.

ფინანსთა მინისტრის განმარტებით, გამყოფილი თანხიდან 500 ათას ლარს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი მიიღებს. თანხის ნაწილი ხელფასების გასტუმრებას, ნაწილი კი - ქვეყნის ჩრდილოეთის და სანაპირო საზღვრის დაცვის გაძლიერების ღონისძიებებს მოხმარდება.

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 150 ათას ლარს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიიღებს. აღნიშნული თანხა უცხოეთში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების დაფინანსებას მოხმარდება. კერძოდ, 90 ათას ლარს მიიღებს საქართველოს საელჩო რუსეთში, 35 ათას ლარს - საქართველოს საელჩო იტალიაში, 25 ათას ლარს - საქართველოს საელჩო საფრანგეთში.

ჩეჩელაშვილის განმარტებით, საფრანგეთში არსებული საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა აღნიშნულ თანხას ლევილში საქართველოსთვის უძრავი ქონების გადმოცემის ღონისძიებებს მოახმარს.

110 ათასი ლარით გაიზრდება იუსტიციის სამინისტროს დაფინანსება.

კონფლიქტების დარგში სახელმწიფო მინისტრის აპარატი დამატებითი კადრების ასაყვანად 150 ათას ლარს მიიღებს.

კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დასაფინანსებლად სარეზერვო ფონდიდან 157 ათას ლარს მიიღებს.

ჩეჩელაშვილის თქმით, უწყებები გამოყოფილ თანხებს ბიუჯეტიდან 2-3 დღეში მიიღებენ.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ფონდ "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" სპეციალური სამეთვალყურეო საბჭო გააკონტროლებს. ეს გადაწყვეტილება მთავრობის სხდომაზე მიიღეს.

ვალერი ჩეჩელაშვილის განცხადებით, სპეციალურად შექმნილ სამეთვალყურეო საბჭოს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი უხელმძღვანელებს. საბჭოში საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალექსი ალექსიშვილი, ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი, იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია, დეპუტატები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიან. ახლად შექმნილი საბჭო "ათასწლეულის გამოწვევის" პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგს განახორციელებს.

"ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის" ფარგლებში, საქართველოს მთავრობა ამერიკიდან 200 მილიონი დოლარის გრანტის მიღებას გეგმავს, რომელიც ოთხ პროექტზე დაიხარჯება. ეს პროექტებია - სამცხე-ჯავახეთის რაიონებთან და თურქეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, საქართველოს განვითარების ფონდისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ფონდის ჩამოყალიბება და მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაცია.

"ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა", რომელიც გარდამავალი ქვეყნებისთვის გრანტებისა და ინვესტიციების გამოყოფას ითვალისწინებს, ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დააარსა.

ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ თანხა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა.

ფოტო ლელა მელაშვილის

საპარლამენტო კომიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტების დაზარალების წინააღმდეგია

თამარ ივანიძე

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში გუშინ სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს მოგების გადასახადით მიღებული თანხების ცენტრალურ ბიუჯეტში მიმართვის შესახებ.

როგორც გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ განაცხადა, ამ ინიციატივას კომიტეტი მხარს არ დაუჭერს, რადგან რაიონები უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება.

"ერთადერთი კომპრომისი, რაზეც შეიძლება წავიდეთ, ის არის, რომ თანხა, რომელიც თბილისის ბიუჯეტმა შეიძლება მოგების გადასახადის სახით მიიღოს, უნდა გაიყოს. რაიონებს კი მოგების გადასახადის გარეშე ვერ დავტოვებთ," - აღნიშნა კოვზანაძემ.

"მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლის ზურაბ ტყემალაძის თქმით კი, დაუშვებელია ამ ცვლილების განხორციელება, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

"ზოგიერთი კომპანია ოფშორულ ზონაში რეგისტრირდება, რადგან იქ კარგი პირობები აქვს შექმნილი. კომპანიები, სადაც კარგი და ლაღი პირობები აქვთ, იქ რეგისტრირდებიან და, შესაბამისად, მოგების გადასახადსაც იქ იხდიან. მეწარმისთვის მთავარია, რომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიდან ჰქონდეს ნაკლები პრობლემები და არავინ აჯდეს კისერზე. ასეთი მაგალითები კი საქართველოში ძალზედ ბევრია," - განაცხადა ტყემალაძემ, რომელიც მიიჩნევს, რომ მეწარმეს სადაც უნდა, იქ დარეგისტრირდება და გადასახადსაც, შესაბამისად, იმ რაიონში გადაიხდის.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარლამენტში წარდგენილია საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს "საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს.

კანონპროექტის მიხედვით, ქონების იჯარიდან და პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების 65 პროცენტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს დარჩება, ხოლო 35 პროცენტი სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხება.

როგორც გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ კახა დამენიამ განაცხადა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას ცენტრალურმა ხელისუფლებამ საკუთრებაში 252 ობიექტი გადასცა. ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებაში კი აჭარაში მხოლოდ 25 ობიექტი დარჩება.

"ობიექტების გადაცემის შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან შევთანხმდით, რომ ქონების პრივატიზაციიდან და იჯარიდან მიღებული შემოსავლები ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის გაიყოფა," - განაცხადა დამენიამ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა ეკონომიკის სამინისტროს წინადადებას მხარი დაუჭირა, თუმცა ობიექტების ღირებულების გაანგარიშება მოითხოვა, რათა გაირკვეს, ამ ცვლილებებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი ხომ არ ზარალდება.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ტერიტორიული ერთეულის სარგებლობაში მყოფი ქონების პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლის 35 პროცენტი ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხება, ხოლო 65 - სახელმწიფო ბიუჯეტში.

პარლამენტში 2006-2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად მიმართულებებზე იმსჯელეს

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 2006-2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ წარადგინა.

პროცედურის მიხედვით, დოკუმენტი პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტებმა 1 ივნისამდე უნდა განიხილონ და შენიშვნები ფინანსთა სამინისტროს გააცნონ.

თავის მხრივ, ფინანსთა სამინისტრომ ეს შენიშვნები 15 ივნისამდე უნდა გაითვალისწინოს, რის შემდეგაც ფინანსთა სამინისტროში უკვე ბიუჯეტზე მუშაობა უნდა დაიწყოს.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, 2006-2009 წლებში მთავრობის ძირითადი ამოცანა ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა იქნება; ასევე პრიორიტეტულია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპისა და ინფლაციის დაბალი მაჩვენებლის უზრუნველყოფა, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ზრდა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება და კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება.

მთავრობა ვარაუდობს, რომ 2006-2009 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი 6-7 პროცენტს მიაღწევს. ამავე პერიოდში დაგეგმილია, რომ ქვეყნის ექსპორტის ზრდის ტემპებმა იმპორტის ზრდის ტემპებს გადააჭარბოს. ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა კი ინფლაციის ერთნიშნა რიცხვის დონეზე შენარჩუნება იქნება. ასევე - მთავრობის ფისკალური პოლიტიკის ძირითად ინვესტირებაში ხარჯების უპირატესი ზრდა, 2008 წლისათვის მთავრობის ვალის შემცირება არანაკლებ მთლიანი შიდა პროდუქტის 33 პროცენტისა.

წარმოდგენილი დოკუმენტით, 2006 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები და ხარჯები განსაზღვრულია 2 მილიარდ 7 ათასი ლარის ოდენობით. 2009 წლისთვის კი ამ ციფრმა 3 მილიარდ 300 ათასს უნდა გადააჭარბოს. მთავრობის გაანგარიშებით, 2006-2009 წლებში ეტაპობრივად შემცირდება ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა: 2006 წლისთვის 526 მილიონი იქნება, 2008 წლისათვის კი - 198 მილიონამდე.

24 საათი

ნავთობპროდუქტების წარმოება შემცირდა

საქართველოში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა იზრდება. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, იანვარ-აპრილში ამ მაჩვენებელმა 574.4 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2004 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 8.7 პროცენტით მეტია. ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის მაჩვენებლები ასეთია: გადამამუშავებელი მრეწველობა - 353.4 მლნ ლარი. ზრდამ ამ კუთხით 12.4 პროცენტი შეადგინა; ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება 179.9 მლნ ლარი. ზრდამ 8.5 პროცენტი შეადგინა. სამთო-მოპოვებითი მრეწველობა - 41.1 მლნ ლარი, ზრდა 14.8 პროცენტი. მიუხედავად იმისა, რომ სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზარდა, გადამამუშავებელი მრეწველობის ზოგიერთ დარგში ადგილი ჰქონდა წარმოების შემცირების ტენდენციას, კერძოდ, ნავთობპროდუქტების წარმოება იანვარ-აპრილის პერიოდში 74 პროცენტით შემცირდა, თამბაქოს - 26 პროცენტით, კირის - 75 პროცენტით, საიუველირო ნაწარმის - 15 პროცენტით.

ქვეყანაში წარმოებული პროდუქციიდან თითქმის ნახევარი თბილისზე მოდის, მეორე ადგილზეა ქვემო ქართლი, მესამეზე კი იმერეთის რეგიონი.

მედიანიუსი

დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრი შპს "ვექტორი"

დამოუკიდებელი არასაუწყებო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრი შპს "ვექტორი" დაარსდა 2005 წლის 7 თებერვალს. მის შექმნას არსებითად ხელი შეუწყო ადამიანის უფლებათა დაცვაში სახელმწიფოს მიერ დეკლარირებულმა გარანტიებმა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებამ და დროის მოთხოვნამ. ცენტრი ლიცენზირებულია, შექმნილი აქვს ყველა სხვა პირობა სრულყოფილი მუშაობისათვის და ორიენტირებულია როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების მომსახურებაზე.

გთავაზობთ შემდეგი სახის საექსპერტო მომსახურებას:

I. ცოცხალი პირის სასამართლო-სამედიცინო შემოწმება-ექსპერტიზა

ა) ჯანმრთელობის ზიანის (სხეულის დაზიანება) ხარისხის, ხასიათის და ხანდაზმულობის განსაზღვრა;

ბ) ტრავმის შემდგომი გამოსავლის, ანუ საერთო შრომის უნარის მყარი დაკარგვის რაოდენობის გათვალისწინებით ჯანმრთელობის ზიანის (სხეულის დაზიანების) ხარისხის განსაზღვრა;

გ) არასაწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევაში, ანუ როდესაც დაზიანების მიღება არ არის დაკავშირებული მოქალაქის შრომითი მოვალეობის შესრულებასთან, საერთო და პროფესიული შრომის უნარის მყარი დაკარგვის რაოდენობის განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა გარეშე მომვლელი, დამატებითი კვება, მკურნალობის საჭიროება და ა.შ.;

დ) ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა და მასთან დაკავშირებული სამედიცინო ხასიათის რეკომენდაციები (მკურნალობის საჭიროება და ა.შ.);

ე) საქალწულე აპკის მთლიანობის და შეუღლების ფაქტის დადგენა;

ვ) გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირის დადგენა (მამათმავლობა);

ზ) ორსულობის, ყოფილი მშობიარობის, თვითნებური აბორტის დადგენა და სხვა;

თ) ადამიანის რეპროდუქციული ფუნქციის, კერძოდ სქესობრივი შეუღლების, განაყოფიერებას, ჩასახვის უნარის დადგენა და სხვა;

ი) საეჭვო სქესობრივი მდგომარეობის დადგენა;

კ) სხვა სახის ცოცხალ პირთა შემოწმება-ექსპერტიზა.

II. გვამების სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევა-ექსპერტიზა.

III. კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმის მასალებით (მაგ., ექსპერტიზა ე.წ. საექიმო საქმეების, ანუ არაჯეროვნად გაწეულ სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებით; ტრავმის განვითარების შესაძლო მექანიზმების განსაზღვრა და სხვ.).

IV. პრაქტიკული ხასიათის კონსულტაციები, მათ შორის წერილობითი ფორმით, ზოგადად სასამართლო მედიცინაში და კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით.

ცენტრი იძლევა საქმიანობის მაღალი პროფესიონალური ხარისხის გარანტიას და პასუხისმგებელია შესრულებულ სამუშაოზე.

ცენტრის მისამართი:

ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №16. სამკურნალო კომბინატის შენობა (ყოფილი "ლეჩკომბინატი").

ტელ/ფაქსი: 30-00-22

ელ.ფოსტა: veqtor2005@rambler.ru

ხელისუფლება ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშის გამოქვეყნებას აჭიანურებს

არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ, დაუყოვნებლივ გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2004 წლის ანგარიშის გამოქვეყნებისთვის თანხმობის მისაცემად.

ანა დოლიძე სახელისუფლებო სტრუქტურებს არაკოორდინირებულ მუშაობაში ადანაშაულებს.

ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაცია საქართველოში ადამიანების წამებასთან დაკავშირებული მდგომარეობის შესასწავლად 2003 წლის ნოემბერსა და 2004 წლის მაისში იმყოფებოდა, 2005 წლის დასაწყისში კი საქართველოს სახელმწიფოს ვიზიტის შესახებ ანგარიში და საქართველოში წამების ფაქტებთან დაკავშირებით რეკომენდაციები წარუდგინა. საჯაროდ კი ეს ანგარიში არ გამოქვეყნებულა, რადგანაც თავად კომიტეტი მსგავს ინფორმაციას მხოლოდ მას შემდეგ ხდის საჯაროს, რაც შესაბამის თანხმობას მიიღებს კონკრეტული ქვეყნის ხელისუფლებისგან. საქართველოს ხელისუფლებისგან ასეთ თანხმობას ის ჯერ კიდევ ელის.

რის დამალვას ცდილობს საქართველოს ხელისუფლება? ამ კითხვის პასუხად ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ანა დოლიძე ვარაუდობს, რომ მიზეზი ინფორმაციის დამალვაში კი არა, სახელისუფლებო სტრუქტურების არაკოორდინირებულ მუშაობაში უნდა იყოს.

"საქმე ის გახლავთ, რომ ამ ანგარიშისა და რეკომენდაციების შინაარსი ჩვენ არ ვიცით, რადგანაც მას დღემდე სახელმწიფო საიდუმლოს სტატუსი აქვს, თუმცა, დაახლოებით შეიძლება ვივარაუდოთ, რას შეიცავს იგი, - აცხადებს ანა დოლიძე, - **ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაციამ საქართველოში ვიზიტისას წინასწარი დაკავების საკნები, ციხეები და ფსიქიატრიული საავადმყოფოები, ანუ თავისუფლების აღკვეთის ადგილები მოინახულა. ის, რაც მათ იქ შეიძლებოდა ენახათ, შეუძლებელია, ცნობილი არ იყოს საქართველოში არსებული სამოქალაქო საზოგადოებისთვის და შესაბამისად - გახმაურებული. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ანგარიშის გამოქვეყნებაზე ხელისუფლების თანხმობის დღემდე არ არსებობა ინფორმაციის დაფარვის სურვილით კი არ უნდა იყოს განპირობებული, არამედ იმ ორგანოების არაკოორდინირებული მუშაობით, რომლებიც ამ ანგარიშისა და რეკომენდაციების უშუალო ადრესატები არიან."**

ასეთები კი იუსტიციის სამინისტრო, გენერალური პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტროა. სწორედ ამ უწყებების პირველ პირებს გაუგზავნეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ", "ადამიანის უფლებათა ინფორმაციის და დოკუმენტაციის ცენტრმა" და "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრმა" მიმართვა, რომელშიც საუბარია საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან კომიტეტის წინაშე ანგარიშის საჯაროდ გამოქვეყნებასა და საზოგადოებისთვის გაცნობაზე თანხმობის მიცემის აუცილებლობაზე.

არასამთავრობო სექტორი მიიჩნევს, რომ ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშის გამოქვეყნებისთვის თანხმობის მიცემა გამოხატავს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ნებას, რათა აღიაროს წამების წინააღმდეგ ბრძოლა მისი საქმიანობის პრიორიტეტად და მზადყოფნას, ითანამშრომლოს საერთაშორისო თანამეგობრობასთან მის აღმოსაფხვრელად.

ანა დოლიძის თქმით: **"ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინება ძალზე მნიშვნელოვანია. მაგალითად, წლების მანძილზე შევარდნაძის ხელისუფლებას ისინი მოუწოდებდნენ, რომ საქართველოს კანონმდებლობაში შეეცვალათ წამების დეფინიცია. მაშინ ეს რეკომენდაციები, მართალია, ქვეყნდებოდა, სამაგიეროდ, შესრულების თვალსაზრისით, არაფერი კეთდებოდა. ამდენი ხნის შემდეგ ახალგაზრდა იურისტთა ინიციატივით შესაძლებელი გახდა დღის წესრიგში სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანისა და წამების დეფინიციის საკითხის დაყენება, რაც მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია წამების წინააღმდეგ ბრძოლაში."**

ცნობისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში წამების ახალი განმარტების შესახებ ცვლილებათა პროექტი საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში გუშინ შევიდა. პროექტის ავტორის, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ლალი ფაფიაშვილის თქმით, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, წამების დეფინცია არ იყო ფართო, ამიტომ, ხშირ შემთხვევაში მოქალაქეები ვერ მიმართავდნენ სასამართლოს, მიუხედავად იმისა, რომ მათი უფლებები უხეშად ირღვეოდა.

საკანონმდებლო ცვლილების პროექტის თანახმად კი, წამების დეფინიცია ფართოვდება. კერძოდ, წამება განმარტებულია, როგორც პირისადმი, მისი ახლო ნათესავებისადმი ან მატერიალურად სხვაგვარად დამოკიდებული პირისადმი ისეთი მოპყრობა, ან ისეთი დასჯა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით გამოიწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფიზიკურ ტანჯვას, რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, ან პირის დასჯა მისი ან მესამე პირის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისთვის.

ამ ცვლილებების მიხედვით, ადამიანის წამება შეიძლება დაისაჯოს თავისუფლების აღვეთით - ვადით 3-დან 7 წლამდე, ან ჯარიმით. თუკი იგივე ქმედება ჩადენილია საჯარო მოხელის მიერ სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის არის ჩადენილი, ჩადენილია ორი ან მეტი პირის მიერ ან ჩადენილია ჯგუფურად, ამ შემთხვევაში აღნიშნული ქმედებები ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3-დან 6 წლამდე - ჯარიმის დაკისრებით. თუმცა, კანონპროექტზე საუბრისას იურიდიულ საკითხთა კომიტეტში გამოითქვა აზრი, რომ ადამიანის წამებისთვის სისხლის სამართლის კოდექსში სანქციები კიდევ უფრო უნდა გამკაცრდეს, რადგანაც ევროპული კანონმდებლობა ამ დანაშაულისთვის 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დაბოლოს, კვლავაც ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშის შესახებ. ანა დოლიძის თქმით, ხელისუფლებამ დაჩქარებული წესით უნდა უზრუნველყოს ამ ანგარიშის გამოქვეყნება, რისთვისაც საჭირო იქნება მთავრობის ან უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა, სადაც ყველა ის ხელმძღვანელი პირი, ვისაც ეს ანგარიში ეხება, თანხმობას გამოთქვამს მის გამოქვეყნებაზე.

24 საათი

"უშიშროების სამსახური მოქალაქეებს უკანონოდ აკავებს"

"ბოლო პერიოდში ხელისუფლების მხრიდან მოქალაქეებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდება, რათა ხალხმა საკუთარი მოსაზრება მიტინგების საშუალებით არ გამოხატოს", - აცხადებენ "ახალგაზრდა იუტისტთა ასოციაციაში" და უშიშროების სამსახურის მიერ მოქალაქეების უკანონოდ დაკავების ფაქტს ახმაურებენ.

ასოციაციის თავმჯდომარის ანა დოლიძისა და ამავე ორგანიზაციის იურიდიული დახმარების ცენტრის დირექტორის ბესიკ აბაშიძის განმარტებებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამი დღის წინ ქალაქ გორიდან მოტყუებით ჩამოიყვანეს სამი მოქალაქე - ჯაბა მურაზაშვილი, ვასილ ღოლეჯაშვილი და მამუკა მეზვრიშვილი და სამივე უშიშროების სამსახურში მთელი დღის განმავლობაში, ყველანაირი სამართლებრივი პროცედურის დარღვევით ჰყავდათ დაკავებული.

"ამ პირებისთვის არც წინასწარ გაუგზავნიათ უწყება და არც მოგვიანებით განუმარტავს ვინმეს, თუ რა სტატუსით იყვნენ დაკავებულნი. მათი გათავისუფლება მხოლოდ ჩვენი ჩარევის შემდეგ მოხერხდა," - აცხადებს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" იურიდიული დახმარების ცენტრის დირექტორი.

არასამთავრობო ორგანიზაციის წევრების დახმარებით უშიშროების სამსახურიდან გამოხსნილი დაზარალებულების განმარტებებით, გამომძიებლები მათ შეკითხვებს იმ აქციასთან დაკავშირებით უსვამდნენ, რომლის გამართვასაც გორის რაიონის მოსახლეობა თბილისში, სახელმწიფო კანცელარიის შენობის წინ, ამერიკული ბიზნეს-ჯგუფის "იუტას" მხარდასაჭერად გეგმავდა.

"გამომძიებლებს აინტერესებდათ, იყო თუ არა შესაძლებელი, დაგეგმილ აქციას პოლიტიკური ხასიათი მისცემოდა," - ასე იხსენებენ გორიდან თბილისში, უშიშროების სამსახურში იძულებით მიყვანილები მათთან ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებას.

"თუ ამ პიროვნებების მიმართ დევნის ელემენტები კიდევ ერთხელ დაფიქსირდება, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მათ დასაცავად ყველა სამართლებრივ საშუალებას მიმართავს," - ასეთ პირობას იძლევა ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრის ხელმძღვანელი.

24 საათი

შს სამინისტროს ხელმძღვანელებს უკანონო ქმედებებში ადანაშაულებენ

"ლეიბორისტული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი ჯონდი ბაღათურია შს სამინისტროს მაღალჩინოსნებს ყაჩაღობის მცდელობაში ადანაშაულებს. ჯონდი ბაღათურიამ გუშინ შს სამინისტროში, გენერალურ პროკურატურაში, პრეზიდენტის აპარატში, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში განცხადებები შეიტანა, რომლის თანახმადაც, შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა 12 მაისს თბილისის რამდენიმე ავტოსადგომზე უცხოეთიდან შემოყვანილი ავტომანქანების დათვალიერება-დალუქვა სრული კანონდარღვევით ჩაატარეს. ბაღათურიას განცხადებით, 12 მაისს თბილისში მარშალ გელოვანის გამზირზე არსებულ შპს "ავტოსადგომ მტკვარის" ტერიტორიაზე შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ღონისძიება სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩაატარეს და ავტომანქანები დალუქეს. "ამ ღონისძიების დროს შედგა ავტომანქანების დათვალიერება-დალუქვა სრული კანონდარღვევით ჩაატარეს. ბაღათურიას განცხადებით, 12 მაისს თბილისში მარშალ გელოვანის გამზირზე არსებულ შპს "ავტოსადგომ მტკვარის" ტერიტორიაზე შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ღონისძიება სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩაატარეს და ავტომანქანები დალუქეს. "ამ ღონისძიების დროს შედგა ავტომანქანების დათვალიერების ოქმი, რომელშიც მითითებულია ერთ-ერთი მოქალაქის ჯუმბერ ბუზალაძის კუთვნილი ავტომანქანა - "ტოიოტას" მარკის "ჯიპი", ხოლო მისივე კუთვნილი კიდევ ორი ავტომანქანა დათვალიერების ოქმში საერთოდ არ არის დაფიქსირებული. ავტომანქანების ჩამორთმევა კანონის ნორმათა იგნორირებით მოხდა, რაც მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს აყენებს ბუზალაძის ოჯახს, რადგან მათ თავის დროზე ავტომანქანის შესაძენად საცხოვრებელი ბინა იპოთეკით დატვირთეს და ბანკიდან კრედიტი გამოიტანეს," - აცხადებს ბაღათურია. მისივე განმარტებით, რიგ ავტომანქანებზე ძარაზე ამოტვიფრული საიდენტიფიკაციო კოდის დამცავი ქარხნული, ერთჯერადი გამჭვირვალე ფირების განადგურება მოხდა, რაც ავტომანქანების კანონიერ მფლობელებს მათ დასაბრუნებლად პრობლემებს უქმნის. ბაღათურია აღნიშნულ უკანონობაში ბრალს შს მინისტრს ვანო მერაბიშვილს, მის მოადგილეს ბიძინა ბერეგაძეს და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ხელმძღვანელს ირაკლი კოდუას სდებს და სამართლიანობის დაუყოვნებლივ აღდგენას მოითხოვს.

ინტერ-პრესი

სოლიდური ჯარიმა - ცრუ ანონიმური ზარისთვის

მეცხრე კლასის მოსწავლის გოგიტა მიქაძის ოჯახის წევრებს უშიშროების სამინისტროსთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად საკამოდ სოლიდური თანხის გადახდა მოუწევთ. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად (331-ე მუხლი), ტერორისტული აქტის შესახებ ცრუ ანონიმური ზარი სასჯელის ზომად ხულიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ან ფულად ჯარიმას ითვალისწინებს.

საქმე ისაა, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის უშიშროების სამსახურის თანამშრომლების განცხადებით, №36 სკოლის მოსწავლე გოგიტა მიქაძე ნაღმის არსებობის შესახებ ცრუ ანონიმური სატელეფონო შეტყობინებების ავტორია. მიქაძე დაკითხვაზე მშობლების თანხლებით წარადგინეს. მეცხრეკლასელმა ჩადენილი დანაშაული აღიარა.

"ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლენილია ცრუ ანონიმური ზარის ავტორი გოგიტა მიქაძე. მიქაძემ მაისის თვეში N36-ე და N23-ე სკოლებში ნაღმის არსებობის შესახებ ცრუ ინფორმაციის მიწოდების მიზნით რამდენჯერმე დარეკა, რის გამოც გაწგაში ატყდა და უშიშროების სამსახურის გამმნაღმველებმა დრო და ენერგია სულ ტყუილად დაკარგეს. განაღმვითი სამუშაოები კი არც ისე მცირედ თანხას მოითხოვს," - აცხადებენ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის უშიშროების სამსახურში. როგორც გაირკვა, გოგიტა მიქაძე სკოლებში არსებული ნაღმების შესახებ დადიანისა და მარჯანიშვილის ქუჩებზე არსებული სატელეფონო ჯიხურებიდან იტყობინებოდა.

24 საათი

დაუსწრებლად გასამართლებულები კვლავ ძებნილები არიან

მარტვილის რაიონის რამდენიმე სოფლის მოსახლეობამ გუშინ თბილისი-მარტვილის ცენტრალური ავტომაგისტრალი გადაკეტა. აქციის მონაწილეები რამდენიმე დღის წინათ ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ სამი პოლიციელისთვის თავისუფლების აღკვეთის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ.

პოლიციელები გოგა ხარებავა, ილია ნაჭყებია და პლატონ ჯღარკავა სასამართლომ დაუსწრებლად გაასამართლა და მათზე ძებნა გამოაცხადა. გარდა ამისა, განსასჯელთა დაუსწრებლად მართლმსაჯულებამ ერთ-ერთ პოლიციელს 5-წლიანი პატიმრობა, დანარჩენ ორს კი - 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

შეგახსენებთ, რომ მარტვილის რაიონის კრიმინალური პოლიციის სამძებრო განყოფილებისა და ქვეგანყოფილების უფროსების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე მოქალაქეთა ცემისა და პატიმრის წამების გამო იყო აღძრული. უკვე მსჯავრდებული პოლიციელები კვლავ მიმალვაში იმყოფებიან. მათი ოჯახის წევრები და ახლობლები კი გუშინ საქმის ხელახალ გამოძიებას და მათთვის ძებნილის სტატუსის ჩამოშორებას მოითხოვდნენ. ძებნაში მყოფი პოლიციელთა ახლობლები ქუთაისის საოქრო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში აპირებენ.

24 საათი

"გალში ადამიანის უფლებების დაცვის ოფისის გახსნა აუცილებელია"

"ბოლო დროს გალის რაიონში ქართველი მშვიდობიანი მოსახლეების გამოსყიდვის მიზნით გატაცების ფაქტები გახშირდა. ასეთი შემთხვევები უკიდურესად ძაბავს ისედაც რთულ ვითარებას რეგიონში და ხელს უშლის ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენას, სამშვიდობო პროცესის შენარჩუნება და განვითარება კი არა მხოლოდ ქართული, არამედ აფხაზური მოსახლეობის ინტერესებში შედის," - აცხადებს კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა. მან ოფიციალური წერილით მიმართა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარ ქვეყანათა ჯგუფს, ადამიანის უფლებების საკითხებში გაეროს უმაღლეს კომისარს.

მიმართვაში ხაზგასმულია, რომ სამშვიდობო პროცესს უნდა დაემატოს საერთაშორისო ქმედითი პოლიტიკური კომპონენტი და გალში გაიხსნას ადამიანის უფლებებათა დაცვის ოფისი, რომელიც ხელს შეუწყობს გალის რაიონში და საერთოდ, კონფლიქტის ზონაში ვითარების მნიშვნელოვნად გამოსწორებას. სახელმწიფო მინისტრი გამოთქვამს იმედს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები მეტად მიაქცევენ აღნიშნულ ფაქტებს ყურადღებას და ხელს შეუწყობენ გალის რაიონში მშვიდობიანი მოსახლეობისათვის უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნას.

მედიანიუსი

სახალხო დამცველის რწმუნებული აქციის მონაწილეებს დახმარებას დაჰპირდა

გუშინ ქუთაისში, სახალხო დამცველის ოფისის წინ, ავტოქარხნის დასახლების 150-მდე მცხოვრებმა აქცია გამართა.

აქციის მონაწილეები 43 წლის გიორგი ჭეიშვილის პატიმრობას აპროტესტებდნენ და მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვდნენ. როგორც დაკავებულის ადვოკატი ალექსანდრე კახაძე აცხადებს, გამოძიება მისი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობას ვერ ამტკიცებს.

"გიორგი ჭეიშვილს წინასწარი პატიმრობის სამთვიანი ვადაც ამოეწურა და იგი ქუთაისის ციხიდან დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს," - ასეთია ადვოკატის პოზიცია.

გიორგი ჭეიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით არის აღძრული. მას მეზობლის, 58 წლის ამირან დევიძის მკვლელობა ედება ბრალად. თუმცა, დაკავებულის ახლობლები, ისევე, როგორც მისი ადვოკატი, აცხადებენ, რომ გამოძიებას ალექსანდრე კახაძის მიერ ჩადენილი დანაშაულის მამტკიცებელი არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია და ის სხვის, ნამდვილი მკვლელის ნაცვლად არის დაპატიმრებული.

აქციის მონაწილეებს გუშინ სახალხო დამცველის რწმუნებული ქუთაისში გიორგი მშვენიერაძე შეხვდა და საქმის გარკვევას დაჰპირდა. დაკავებულის ნათესავები კი იმუქრებიან, რომ გიორგი ჭეიშვილის გათავისუფლებამდე საპროტესტო აქციებს არ შეწყვეტენ.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები ერევანში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციას დაესწრნენ. კონფერენციას UNESCO-ს ეგიდით სომხეთის ადამიანის უფლებათა დამცველის ოფისი მართავს. კონფერენციის თემა იყო "ტოლერანტობა და დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის კონტექსტში". კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სომხეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და რუსეთის ომბუდსმენთა დელეგაციებმა, ასევე სომხეთის საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა. კონფერენციის ორგანიზატორთა აზრით, მსგავსი ღონისძიება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს დაეხმარება, წარმართონ დიალოგი მშვიდობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ახმეტის რაიონის სატყეო მეურნეობის თანამშრომლებმა სამი სატვირთო ავტომანქანა დააკავეს, რომლითაც არალეგალურად მოჭრილი წიფლის ჯიშის 25 კუბური მეტრი სამასალე მერქანი გადაჰქონდათ. ავტომანქანის მძღოლებს ტყის ჭრის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ აღმოაჩნდათ. აღნიშნული ფაქტის გამოძიებისთვის მასალები ახმეტის რაიონულ პოლიციას გადაეგზავნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

რუსთავი. რუსთავის საპატრულო პოლიციამ ს/ს "აზოტის" მიმდებარე ტერიტორიაზე მორებით დატვირთული 5 ავტომანქანა დააკავა. როგორც რუსთავის პოლიციაში აცხადებენ, ავტომანქანები მუხისა და წიფლის მორებით იყო დატვირთული. მანქანების მძღოლების თქმით, მათ ხის მასალა გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში შეეიძინეს და სარეალიზაციოდ გადაჰქონდათ. პოლიციის ინფორმაციით, დაკავებული ულიცენზიო ტვირთი მის მეპატრონეებს ჩამოერთვათ და მას უახლოეს სატყეო მეურნეობაში ჩამოტვირთავენ. "ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირება ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლით ისჯება, ამიტომ, კონფისკაციის გარდა, მეპატრონეს 500 ლარის გადახდაც მოუწევს," - აცხადებენ ქვემო ქართლის პოლიციაში. **ინტერ-პრესი**

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი .....

საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge



გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქუთრის საშუალებით, ამოჭრის მას და წაიგზავნის თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (შეიძლება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ჭერილობები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ასევე თბილისში მეტრო ვაგზლის რამოთხილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ცენტრი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "საბურთალო II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გლდანის II".
(ყოფილი მეტროს სადგური "ფელიცი");
8. მეტროს სადგური "ვაჟას მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ცენტრალურ 45 "სოფმარკეტ" შუბანის ხალ სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვა, შეუძლია გამოაგზავნოს ფურცელ ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

1

იურიდიული ოფისი **„გაპი"** და გაზეთი **"24 საათი"**

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც ნარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთებში განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთხსენებულ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური ,,ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური ,,მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური ,,თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური ,,წერეთელი";
5. მეტროს სადგური ,,სამგორი II";
6. მეტროს სადგური ,,ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური ,,გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური ,,დელისი");
8. მეტროს სადგური ,,ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური ,,დიდუბე";
10. ვაჟაფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

უფასო იურიდიული კონსულტაცია

"24 საათის" მკითხველისთვის

ნათელა მეტრეველი

მოგახსენებთ, რომ ვარ დიდ სამამულო ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულის შვილი, მესამე ჯგუფის ინვალიდი, ავადმყოფი და დაბეჩავებული ოთხი წლის ასაკიდან (ავარიაში ტრამვის შედეგად - უშაქრო დიაბეტით). ვარ მარტოხელა პენსიონერი, ჩემი დამხმარე არავინ არ არის, დედაც მომიკვდა 3 წლია, არც და მყავს, არც ძმა. ა.შ.შ.-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (იუსაიდი) და მერილენდის უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით სოციალურად დაუცველ ადამიანებს 2005 წლის იანვრიდან, კანონის 49-ე მუხლის საფუძველზე, მოქალაქეებს, რომლებთაც კანონით დადგენილი აქვთ ელექტროენერგიის შეღავათი, განესაზღვრათ ფულადი კომპენსაცია. ორი თვე მივიღე 16 ლარი, შემდეგ შეწყვიტეს. რატომ? გთხოვთ, მიპასუხოთ რამდენად სწორია მათი თვალსაზრისი?

ქალბატონო ნათელა,

მითითებული ა.შ.შ.-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო და მერილენდის უნივერსიტეტი არიან უცხოური ორგანიზაციები, რომელთა გადასაწყვეტია თუ ვის, როდის და რა ვადით დაეხმარებიან. თქვენ კი ინფორმაცია იმის შესახებ თუ როდიდან შეწყდა მათი დახმარება ან შეწყვიტეს თუ არა, შეგიძლიათ, გაიგოთ ადგილობრივ სოც.უზრუნველყოფის ორგანოში, რომელიც, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, მოქალაქის განცხადების საფუძველზე ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია.

არჩილ გიორგაძე

... წელს საქართველოს მოქალაქე ნ.ჯ. კანონის სრული დაცვით ცოლად გაჰყვა დ.მ.-ს. 2004 წელს ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა დ.მ. მათ დარჩათ ორი არასრულწლოვანი შვილი. დედამთილმა ოჯახში მომხდარი ვითარებით ისარგებლა და რძალი შვილებთან ერთად ოჯახიდან გააგდო. თანაც, სახლი სანოტარო წესით ანდერძის საფუძველზე დაუტოვა გათხოვილ ერთ-ერთ შვილს. დედამთილი თავისი მძიმე ხასიათის გამო ყოველთვის ნეგატიურად აფასებდა რძალს და ის არასასურველ პიროვნებად მიაჩნდა ოჯახში. მისი სახლიდან გაგდების შემდეგ კი მას გაუცხადა, რომ არანაირი უფლება არ ჰქონდა ოჯახში, რადგანაც სახლი თავის დროზე სანოტარო წესით დამოწმებული გახლდათ სწორედ მასზე. სინამდვილე ასეთია: 1979 წელს, როცა გარდაიცვალა დ.მ.-ს მამა, დედამთილმა (ანუ მეუღლემ) ისარგებლა იმითაც, რომ თავისი შვილი დ.მ. მიეცა სამართალში (არა მამის გარდაცვალების გამო), რომელსაც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება უწევდა 1989 წლისათვის, 1988 წელს კი გამოცემულმა ახალმა კანონმა დედამთილს ნება დართო, ოჯახი ანუ მთელი მემკვიდრეობა სანოტარო წესით გადაეფორმა საკუთარ თავზე და მემკვიდრეობის სიიდან ამოეშალა ერთადადერთი ვაჟიშვილი, როგორც აღმოჩნდა კანონი ამის საშუალებას მაშინ მას აძლევდა, მაგრამ დედამთილმა ეს ყველაფერი განახორციელა სრული გასაიდუმლოებით ისე, რომ არც არავინ იცოდა და გახმაურდა, როცა გარდაიცვალა დ.მ. და რძალი გააგდეს სახლიდან. გთხოვთ, მისცეთ სამართლებრივი შეფასება: 1. ბათილია თუ არა გასაიდუმლოებულ ვითარებაში გადაფორმებული მემკვიდრეობა? 2. ბათილია თუ არა ქალიშვილისათვის დატოვებული მთელი მემკვიდრეობა? 3. რა ერგება რძალს ქმრის ქონებიდან, მის შვილებს? 4. აქვს თუ არა დედამთილს სახლის გაყიდვის უფლება?

ბატონო არჩილ,

1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 544-ე მუხლის თანახმად, კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად ითვლებოდნენ: გარდაცვლილის შვილები (მათ შორის შვილობილები), მეუღლე და მშობლები (მშვილებლები). ამრიგად, დედამთილი და მისი შვილები მიიღებდნენ თანაბრად სამკვიდრო ქონებას. სამკვიდრო ქონების მისაღებად მემკვიდრეებს ექვსი თვის ვადაში სამკვიდროს გახსნის დღიდან უნდა მიემართათ სანოტარო ორგანოსთვის ან ფაქტობრივად განეხორციელებინათ მისი ფლობა ან მართვა, რის შემდეგაც ისინი ჩაითვლებოდნენ სამკვიდრო ქონების მიმღებად (მუხ.556-ე).

რაც შეეხება მთელი სამკვიდრო ქონების საიდუმლოდ გადაფორმებას ეს კანონით შეუძლებელია, რადგან მის გადასაფორმებლად საჭირო იქნებოდა იმ მემკვიდრეთა მხრიდან სამკვიდროს დათმობა, რომელთაც სამკვიდრო ქონებიდან ეკუთვნოდათ წილი. ეს კი უნდა განხორციელებულიყო სანოტარო ორგანოში სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის ვადაში სამკვიდროს დათმობის მიერ განცხადების წარდგენით (მუხ.560-ე). უნდა აღინიშნოს, რომ გაიფორმა რა მთელი სამკვიდრო ქონება დედამთილმა საკუთარ თავზე, იგი გახდა მისი მესაკუთრე და მისი უფლებაა, თუ ვის აჩუქებს თუ დაუტოვებს ანდერძით ქონებას, აგრეთვე მას როგორც მესაკუთრეს შეუძლია, დამოუკიდებლად განკარგოს საკუთარი ქონება. დ.მ.-ს შვილებს და მეუღლეს ეკუთვნოდათ ქონების ის ნაწილი, რომელიც მემკვიდრეობით ერგებოდა გარდაცვლილ მეუღლეს ანუ სამკვიდრო ქონების მესამედი, თუ ოჯახში იყვნენ დედა და ორი შვილი, თუ მეტნი იყვნენ, შესაბამისად სამკვიდრო ქონება გაიყოფოდა მათ რაოდენობაზე. ამასთან მითითებული კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადა გახლდათ სამი წელი, რომლის დენა იწყება იმ დროიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ე.ი გარდაცვლილ მეუღლეს სარჩელი უნდა შეეტანა სასამართლოში სამი წლის ვადაში იმ დღიდან, რაც დედამთილმა ხელყო მისი უფლებები. გავიდა რა ხანდაზმულობის ვადა, შესაბამისად აღარც მოთხოვნის უფლება არსებობს.

არჩილ გიორგაძე

საქ. მოქალაქე ი.კ.-მ 1995 წელს, საბავშვო მუსიკალური სკოლის შექმნის მიზნით, ისესხა მოქალაქე ი.ბ.-საგან ინვენტარის შეძენისათვის საჭირო 500 ამერიკული დოლარი. ი.ბ.-მ ი.კ.-ს ერთი პროცენტიანი ვალის დაფარვა სხვა ახალი პროცენტიანი ვალის აღებით უხდებოდა, რადგანაც მას ამის მატერიალური საშუალება არ გააჩნდა. სიტუაცია მას შემდეგ გართულდა, როცა პირებმა, ლომბარდმა და ბანკმაც მას უარი უთხრეს პროცენტიანი თანხის გაცემაზე. ი.კ. ისე ჰყიდის თავის საცხოვრებელ ბინას, რომ არ უთანხმდება თავის ღვიძლ დისშვილს, რომლისთვისაც თავიდანვე დათქმული ჰქონდა აღნიშნული ბინის ჩუქებას ანდერძით. ი.კ აღებულ თანხას ანაწილებს რამდენიმე მევალის დაკმაყოფილებისათვის და აქედან 3000 ათასს დოლარს მოვალეობის მიზნით ჩუქნის დისშვილს, თვითონ კი საცხოვრებლად გადადის საკუთარი დის საცხოვრებელლ სახლში. მიუხედავად ყველაფრისა, მას დაუკმაყოფილებელი დარჩა რამდენიმე მევალე, რომლის დაკმაყოფილების არანაირი სახსარი აღარ გააჩნია. ამჟამად ი.კ. ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, რომლის შრომითი ანაზღაურება 25 ლარია. არის მარტოხელა. არ ცდილობს თავი აარიდოს პასუხისმგებლობას. ყოველთვის გამოირჩეოდა მევალეების მიმართ კეთილსინდისიერებით. არსებული მდგომარეობის გამო ის დღეს აწყდება მევალეების მხრიდან ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, რომელიც აყენებს აფექტისა და თვითმკვლელობის მდგომარეობამდე. გთხოვთ, მისცეთ სამართლებრივი შეფასება: 1. ემუქრება ი.კ.-ს თუ არა დაპატიმრება? 2. იმ შემთხვევაში თუ თავისი სიცოცხლის მანძილზე ვერ გადაიხდის მევალეებისათვის კუთვნილ თანხას, როგორ მოხდება საკითხის ამოწურვა.

ბატონო არჩილ,

საქართველოს კანონის "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, სააღსრულებო საბუთი, რომლითაც არ მოხდა ან ნაწილობრივ მოხდა გადახდევინება უბრუნდება კრედიტორს, თუ მოვალეს არ გააჩნია ქონება ან შემოსავალი, რომლიდანაც შეიძლება მოხდეს გადახდევინება. ამრიგად, თუ ვინმე პირის მიმართ შეიტანს სარჩელს სასამართლოში, იგი პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ პირს კიდევ დარჩება ვინმეს ვალი, მას კი ვალის დასაფარავად არ აღმოაჩნდება საკმარისი ქონება, სხვა არავინ იქნება პასუხისმგებელი კრედიტორის წინაშე და კრედიტორი უნდა დაელოდოს იმ დროს, როცა მოვალე რაიმეს შეიძენს. ასევე აღნიშნული შემთხვევა კრედიტორს არ აძლევს უფლებას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენოს მოვალეს, კრედიტორს მხოლოდ კანონის ფარგლებში მოქმედების უფლება აქვს. ხოლო რაც შეეხება დაპატიმრებას, ვალის ქონა არ წარმოადგენს "სისხლის სამართლის კოდექსის" თანახმად დანაშაულს, პირი კი მიეცემა პასუხისგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩაიდენს "სისხლის სამართლის კოდექსით" გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებას.

ინგა ფოჩხუა

საერთაშორისო ორგანიზაციამ სავალ გზაზე (ტროტუარზე) დადგა ჯიხური მობინადრეების თანხმობის გარეშე, რამდენად სწორია ორგანიზაციის მოქმედება? რა შეღავათები ეკუთვნის ოთხი შვილის დედას?

ქალბატონო ინგა,

სამოქალაქო კოდექსის 161-ე მუხლის თანხმად, ნივთის (ქონების) მფლობელს თუ მესაკუთრეს უფლება აქვთ, რომ თუ ხელი ეშლებათ ნივთით (ქონებით) სარგებლობაში, ხელშემშლელს მოსთხოვონ ამ ქმედების აღკვეთა. მათ ასევე შეუძლიათ, აღნიშნული მოთხოვნით ხელშემშლელის წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანონ სარჩელი:

მუხლი 161. კეთილსინდისიერ მფლობელის მიერ უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა

თუ კეთილსინდისიერ მფლობელს არ ჩამოერთმევა ნივთი, მაგრამ სხვაგვარად შეეშლება ხელი მისი მფლობელობის განხორციელებაში, მაშინ მას, მსგავსად მესაკუთრისა, შეუძლია მოითხოვოს ხელის შეშლის აღკვეთა. ამასთანავე, მას შეუძლია მოითხოვოს მფლობელობის ხელყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა შეუძლებელია ხელის შეშლის აღკვეთის მოთხოვნა.

რაც შეეხება, თუ რა შეღავათები ეკუთვნის ოთხი შვილის დედას, მოქმედი კანონმდებლობა რაიმე შეღავათს არ ითვალისწინებს აღნიშნული შემთხვევისათვის. ხოლო 2004 წლის თბილისის ბიუჯეტით დაწესებულია შემდეგი სოციალური დახმარება: სამი, ოთხი, ხუთი და ექვსი არასრულწლოვან შვილიანი და მარტოხელა დედების დახმარება თვეში თითოეულ ბავშვზე 5 ლარის ოდენობით.

დოდო შონია

ვარ 55 წლის 3 შვილის დედა. ვარ აყვანილი და გადმოცემით ვიცი, რომ მყავს და-ძმა, რომლებიც ცხოვრებენ ამავე ქალაქში. ვშიშობ არ მოხდეს სისხლის აღრევა. გამზრდელები გარდაცვლილი არიან. ნათესავები ღვიძლი დედ-მამის გვარს არ ასახელებენ. 1. როდის იხსნება ანუ რა ასაკის უნდა იყოს ნაშვილები ბავშვი, რომ მისთვის კანონიერად მოიხსნას აყვანის საიდუმლო. ელემენტურ დონეზე იყოს შესაძლებელი გაარკვიოს თავის შთამომავლობა. 2. სად შეიძლება,

მივმართო, რომ ჩემი თხოვნა დააკმაყოფილონ?

ქალბატონო დოდო,

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება, გარდა III თავისა, არ ვრცელდება შემდეგი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე: დ) საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზე. ეს ნიშნავს, რომ ამ კოდექსის მესამე თავით გათვალისწინებული ნორმები, ეხება რა ინფორმაციის თავისუფლებას, ვრცელდება სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზეც. ამ თავის თანახმად კი ნებისმიერ პირს შეუძლია, მოითხოვოს საჯარო დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია, კერძოდ 31-ე, 37-ე, 39-ე, 44-ე მუხლების თანახმად:

"მუხლი 31. საჯარო ინფორმაციის განსაიდუმლოების ვადა

1. ... პირადი საიდუმლოება დახურულია პირის სიცოცხლის მანძილზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

2. საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონიით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას.

მუხლი 39. პერსონალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ამ კოდექსის თანახმად სხვა პირებისათვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. პირს აქვს უფლება გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები.

მუხლი 44. პერსონალური მონაცემების საიდუმლოება

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში - სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.

2. პირს უფლება აქვს პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობაზეწ უარის თქმის შესახებ საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილება გაასაჩივროს ერთი თვის ვადაში.

3. სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება პერსონალური მონაცემების განსაიუდუმლოების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სხვა მტკიცებულებით საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და ამოიწურა სხვა წყაროდან ამ ინფორმაციის მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა."

ცისანა გერმისაშვილი

ვარ 64 წლის მარტოხელა პენსიონერი. გთხოვთ, გამარკვიოთ, რა სახის დახმარება მეკუთვნის პენსიის გარდა? 2. მეკუთვნის თუ არა კომუნალურ გადასახადებზე შეღავათები?

ქალბატონო ცისანა,

2005 წლის კანონი "სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" ადგენს 2005 წლის განმავლობაში უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა სოციალური დახმარების ოდენობას, კერძოდ: მარტოხელა, არა მომუშავე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისათვის-22 ლარით, ხოლო არამომუშავე პენსიონერთა ორ და მეტსულიანი ოჯახებისათვის-35 ლარით. ხოლო გეკუთვნით თუ არა კომუნალურ გადასახადებძე რაიმე შეღავათი, ამის გარკვევა შეგიძლიათ ადგილობრივ სოც.უზრუნველყოფის ორგანოში, რომელიც, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, განცხადების წარდგენისას ვალდებულია, გასცეს ამ განცხადებაში მითითებული საკითხის ირგვლივ ინფორმაცია.

ილამაზ მიწიშვილი

1. ითვლება თუ არა დეპუტატის გამოსვლა პარლამენტის ღია სხდომაზე არასაიდუმლო ინფორმაციად? 2. აქვს თუ არა რიგით მოქალაქეს ასეთი გამოსვლის სტენოგრაფიული ჩანაწერის მიღების უფლება? 3. აქვს თუ არა პარლამენტის კანცელარიას უფლება უარი უთხრას მოქალაქეს ასეთი ჩანაწერის ასლის გაცემაზე?

პატივცემულო ილამაზ,

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება, გარდა მესამე თავისა, არ ვრცელდება შემდეგი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე: ა) საქართველოს პარლამენტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ კოდექსის მესამე თავის მოქმედება ვრცელდეება პარლამენტზეც. ამ კოდექსის 36-ე და 37-ე და 38 მუხლების მიხედვით:

მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

"საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

2. საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონიით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას.

მუხლი 38. საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა."

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

მუხლი 60

"1. პარლამენტის სხდომები საჯაროა. დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით პარლამენტს შეუძლია ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს. "

ამრიგად, პარლამენტის ღია სხდომაზე განხილული საკითხი წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას. განმცხადებელს ინფორმაცია უნდა წარედგინოს ან დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს ათი დღისა, ხოლო თუ საჯარო დაწესებულება უარს ეტყვის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, ვალდებული აღნიშნული გადაწყვეტილება აცნობოს განმცხადებელს დაუყოვნებლივ(მუხ. 40-41).

ილამაზ მიწიშვილი

მარტოხელა და გარდამეცვალა 1998 წელს. სამსახურიდან მიღებული სააგარაკო ნაკვეთის პრივატიზაცია მან 1997 წელს მოახდინა, თუმცა იქ არაფერი აუშენებია. პირველი რიგის მემკვიდრეებიდან დარჩენილი ვარ მარტო მე. გთხოვთ, მიპასუხოთ, როგორი წესით უნდა მოხდეს აღნიშნული ნაკვეთის მიკუთვნება ჩემი ერთ-ერთი შვილისათვის, რომელიც იმავე სამსახურში მუშაობს, სადაც მუშაობდა ჩემი და.

პატივცემულო ილამაზ,

თავდაპირველად საჭირო იქნება, თუ თქვენ გადაფორმებული არა გაქვთ მიწის ნაკვეთი, მისი თქვენს სახელზე გადაფორმება, ანუ ნოტარიუსთან სამკვიდრო მოწმობის აღება და შემდეგ მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. ამის შემდეგ

უფლება გაქვთ, დადოთ ჩუქების ხელშეკრულება თქვენს შვილთან, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 524-ე და 525-ე მუხლების თანახმად:

მუხლი 524. ცნება

ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით.

მუხლი 525. ჩუქების ხელშეკრულების დადება. საჩუქრის დაპირება

1. ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან.

2. თუ ჩუქების საგანს წარმოადგენს ისეთი ქონება, რომელზედაც საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, ჩუქების ხელშეკრულებისათვის საჭიროა ამ ფორმის დაცვა.

3. საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი სანოტარო წესითაა დადასტურებული.

ამრიგად, გააფორმებთ რა ჩუქების ხელშეკრულებას, საჭირო იქნება მისი სანოტარო წესით დამოწმება და შემდეგ საჯარო რეესტრში მისი რეგისტრაცია.

აგრეთვე თქვენ შეგიძლიათ აღნიშნული მიწის ნაკვეთი თქვენს შვილს გადასცეთ ანდერძის მეშვეობით. ამ შემთხვევაში თქვენი შვილი მას საკუთრებაში მიიღებს მხოლოდ სამკვიდროს გახსნის შემდეგ.

ილამაზ მიწიშვილი

გაზეთ "24 საათის" ნომერში (ნომერი 292 2004 წლის 9 დეკემბერი) მოწოდებულია იმ კატეგორიის პირთა ჩამონათვალი, ვინც სარგებლობს სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლებით მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირებისას. ჩამონათვალში არ არიან მოხსენიებულნი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლნი და მათი შვილები, არადა საქართველოს კანონიი "მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" პირდაპირ ანიჭებს მათ უფლებას (მუხლი მე-12, პუნქტი "ე"). როგორ აიხსნება ეს შეუსაბამობა?

პატივცემულო ილამაზ,

საქართველოს 1996 წლის კანონის "ნორმატიული აქტების შესახებ" 25-ე მუხლის თანახმად:

მუხლი 25

1. ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას უპირატესობა ეძლევა იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს.

2. იერარქიის ერთი და იგივე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას მოქმედებს უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) აქტით დადგენილი ნორმა.

რადგან კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ" მიღებულია 1997 წლის 31 ოქტომბერს, ხოლო კანონი "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" 1997 წლის 12 დეკემბერს, ამიტომ იმოქმედებს ამ უკანასკნელის მიერ დადგენილი ნორმები.

იზოლდა ჩუბინიძე

ამჟამად მოქმედი "საქართველოს კანონი რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ"-მუხლი მე-12, აგრეთვე დებულება "საპატიო რკინიგზელის შესახებ"-მუხლი მე-4 ითვალისწინებს მთელ რიგ შეღავათებს (რკინიგზის ტრანსპორტით მგზავრობა, მკურნალობა და სხვა) ვეტერანებისათვის (მით უმეტეს "საპატიო რკინიგზელისათვის"). ჩვენც ვსარგებლობდით ამ შეღავათებით და გვეძლეოდა საგარეუბნო მატარებელზე მგზავრობისათვის ბილეთი ფორმა ნომერი-4. 2005 წელს ამ ბილეთის გაცემაზე უარი გვითხრეს იმ მოტივით, რომ არსებობს რკინიგზის ხელმძღვანელობის ბრძანება ნომერი 155 27.10.046., რომლითაც ყოველგვარი შეღავათი და მათ შორის ბილეთი ფორმა ნომერი-4 გაუქმებულია. გთხოვთ, დამეხმაროთ, გაგვარკვიოთ: 1. ვის აქვს უფლება გააუქმოს კანონი ან მისგან გამომდინარე დებულება? 2. არის თუ არა ეს ადამიანის უფლებათა დარღვევა? 3. როგორ მოვიქცეთ, როგორ დავიცვათ ჩვენი კანონიერი უფლებები?

ქალბატონო იზოლდა,

"საქართველოს სარკინიგზო კოდექსი", რომელიც მიღებულია 2002 წელს, არ ითვალისწინებს თქვენს მიერ მითითებულ უფლებებს, ამავე დროს ამ კანონით ძალადაკარგულადაა ცნობილი კანონი "სარკინიგზო ტრანსპორტის შესახებ."

გურამ გოგაძე

ოც წელზე მეტი ვიმუშავე ადმინისტრაციულ ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1973-1976წ.წ. ავაშენე ევროპაში უდიდესი კომბინატი (72 ათასი ტ. ტევადობის). შემდგომ თბილისის, გორის, ქუთაისის, სოხუმის მაცივრები (10 ათასი ტ. ტევადობით თითო). მთელს ამ პერიოდში როგორც დირექტორი ვხელმძღვანელობდი სამიდან ხუთ ათასამდე ადამიანს, მაქვს მუშაობის 28 წლის სტაჟი (უწყვეტი). დამენიშნა პენსია 28 ლარი ისე, როგორც ჩვეულებრივ მოხუცს, რომელსაც არასდროს უმუშავია და არც არაფერი უშენებია. გთხოვთ, დამეხმაროთ და გამარკვიოთ, რამდენად სწორად მაქვს დანიშნული პენსია და მეკუთვნის თუ არა რაიმე პრივილეგია-ფულად გამოხატულებაში იმისათვის, რომ 28 წელი ვიმუშავე და მრავალი საქმე ვაკეთე?

ბატონო გურამ,

ჩამოთვლის რა 2005 წლის კანონი "სახელმწიფო ბიჯეტის შესახებ" იმ პირებს, რომელთაც ეკუთვნით 28 ლარისაგან განსხვავებული-მომატებული პენსია, არ არის მითითება აღნიშნულ შემთხვევაზე.

მანანა მექვაბიშვილი

მაინტერესებს: რამდენი წელი და სად (სამშობიაროს სახლში, არქივში და ა.შ.) ინახება სიმართლის წიგნი (ანუ ფიზიოლოგიური და ობსერვატიული სამეანო ბლოკეს სიმართლის წიგნები, ანუ მშობიარეთა და ახალშობილთა სარეგისტრაციო წიგნი და სხვა), მისი შენახვის და განადგურების წესები (თუ არ ვცდები შენახვის ვადაა 80-100 წელი). სიმართლის წიგნის ვადაზე ადრე განადგურების შემთხვევაში ვინ უნდა აგოს პასუხი და რა სახით? არის თუ არა აუცილებელი სიმართლის წიგნის განადგურების დროს შედგეს განადგურების აქტი და თუ აუცილებელია აქტის შედგენის წესები. სიმართლის წიგნის ვადაზე ადრე განადგურებისას და განდგურების აქტის არ არსებობის შემთხვევაში ვის ეკისრება პასუხისმგებლობა და რა სახით?

ქალბატონო მანანა,

საქართველოს კანონებით არ არის დარეგულირებული მითითებული საკითხი, კერძოდ 1997 წლის კანონი "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" და 2000 წლის კანონი "პაციენტის უფლებების შესახებ" არ არეგულირებენ აღნიშნულ საკითხს.

ზონა ლუქსი

B2

ხავერდოვანი ხმა თბილისს ესტუმრება

B3

მილანი - ლივერპული 3:3 (2:3-ით)

B4

26 მაისი საქართველოში - ჩემი სიზმარი და ოცნება

სსრკ-ს მაშინდელი პირველი მდივანი ხრუშჩოვი პარიზში ჩადიოდა. ეშინოდათ, ვინმეს ბომბი არ ესროლა. ერთ დილით, ლევან ზურაბიშვილი და რამდენიმე "საშიში" ქართველი პარიზს გაარიდეს და ცოტა ხნით, კორსიკაზე გადაასახლეს. შვილები, პატარა სალომე და ოთარი დაბღვერილები უყურებდნენ, როგორ მიჰყავდათ მამიკო. იმავე დილას დედამ ბავშვები სკოლაში წაიყვანა. სკოლა მოშორებით იყო და ავტობუსით უნდა ემგზავრათ. ავტობუსებზე საბჭოთა დროშები იყო დამაგრებული. ბავშვებმა ეს რომ დაინახეს, არ ავალთო - გამოაცხადეს. დედამ უთხრა, ხრუშჩოვის გულისთვის ტაქსში ფულს არ დავხარჯავ, თვალებზე ხელები ავიფაროთ და ისე ვიმგზავროთო...
დღეს ეს პატარა სალომე, პატარა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრია და იმ დროს ქართველ ემიგრანტთა შვილი ამ პოსტზე ვერც იოცნებებდა.

მაია ჭალაგანიძე

ინტრიგებისა და შეტევისას დიდი ემოციური რეაქცია, მაგრამ გამოხატვის სხვა ფორმა მაქვს და გრძელ ვადაზე გათვლილ გადაწყვეტილებას ვიღებ.

- რას ნიშნავდა და როგორ აღნიშნავდნენ ემიგრანტთა პირველი და შემდგომი თაობები 26 მაისს?

- შემიძლია მხოლოდ იმის შესახებ გითხრათ, რაც მახსოვს. ყოველ 26 მაისს ძალიან დიდი ზეიმი იმართებოდა, რომელზეც არა მხოლოდ მთელ ემიგრაციას ეპატიჟებოდნენ, არამედ ფრანგ პოლიტიკოსებს, სხვა ემიგრაციებს, საბჭოთა კავშირის ერების წარმომადგენლებს. ეს ერთდროულად პოლიტიკური შეხვედრაც იყო და ზეიმიც, სადაც ჯერ სიტყვით გამოდიოდნენ და შემდეგ ცეკვა-სიმღერა იმართებოდა.

- თქვენს ძმას პატარა ჯგუფი ჰყავდა, ვისთან ერთადაც ქართულ სიმღერებს მღეროდა. თქვენ?

- ამ ზეიმებზე ერთ დროს მეც ვცეკვავდი და ახლგაზრდების ჯგუფთან ერთად ვმღეროდი კიდეც ქართულ სიმღერებს.

მამაჩემი, დაახლოებით, 15 წლის განმავლობაში იდგა ქართული სათვისტომოს სათავეში და ყოველთვის სიტყვით გამოდიოდა. ამ გამოსვლების ძირითადი მესიჯი იმ დამოუკიდებლობის აღნიშვნა იყო, რომელიც 1918 წელს ყველა ქვეყნის მიერ იყო აღიარებული. ამ გამოსვლებში იმედს გამოთქვამდა, რომ დამოუკიდებლობის დრო ისევ დადგებოდა.

- წელს როგორ ხვდებიან საფრანგეთში ამ დღეს?

- დიდი ხნის მანძილზე ჯერ საელჩო არ იყო საფრანგეთში და მერე საელჩო და სათვისტომო გაყოფილი იყვნენ. ჩვენი საელჩოს ინიციატივით, თუ არ ვცდები, შაბათს ამ დღეს ერთად იზეიმებენ.

- კომუნისტები - როგორ წარმოგედგინათ ისინი ბავშვობიდან?

- ზუსტად ისე, როგორც ჩემს მშობლებს.

როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის წერითი ნაწილი გავიარე და ზეპირიც უნდა ჩამებარებინა, სწორედ ამ დროს საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელი მოვიდა და ჩემი სიაში ყოფნა მინისტრთან გააპროტესტა. მითხრეს - ამ პროტესტის გამო შეიძლება, ვერ მიგიღოთო. საბჭოთა მხარის არგუმენტით წარმოადგენდი ოჯახს, რომელსაც მძიმე ანტიბოლშევიკური წარსული ჰქონდა. მერე ამაში ჩაერია ჩვენი ოჯახის ახლობელი, წარმოშობით ქართველი ანდრონიკოვი, რომელიც იმ დროს დე გოლის თარჯიმანი იყო და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამის წყალობით მოვხვდი დიპლომატიურ სამსახურში.

- როგორ ფიქრობთ, დღევანდელი ქართველები მთელი სულით და გულით გრძნობენ ამ დღის მნიშვნელობას? არის ეს მათთვის ნამდვილი დღესასწაული?

- მე მგონი, რომ არის. ჩემთვის ეს არაჩვეულებრივი დღეა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ 26 მაისს საქართველოში ვესწრები და რომ აღლუმზე ქართული ჯარი გამოდის. ეს ჩემთვის სიზმარი, წარმოუდგენელი ოცნება იყო.

- მეორედ დამოუკიდებლობა საქართველომ 9 აპრილს გამოაცხადა. ფიქრობთ, რომ ეს იყო ზემოდან, რუსეთიდან დაშვებული დამოუკიდებლობა და ამიტომ არ ზეიმობენ ამ დღეს?

- 9 აპრილი გლოვასთან დაკავშირებული თარიღია და ამდენად, ჯობია, რომ დღესასწაული ორმაგი მნიშვნელობის მატარებელი არ იყოს.

ამ ორივე თარიღს მეტ-ნაკლებად ჰქონდა ის ნიშანი, რაც თქვენ თქვით - რუსეთისგან დათმობილი დამოუკიდებლობა. არც ერთი არ ყოფილა მოპოვებული. მაგრამ, პირველმა დამოუკიდებლობამ 3 წელი გაძლო და სწორედ ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასაწყისი.

- "რისთვის წამოვედით, თუ ისევ დაპყრობილ საქართველოში უნდა ჩავიდეო" - თქვა მამათქვენმა 1974 წელს, როდესაც აქ ჩამოსვლის საშუალება მიეცა. ისე გარდაიცვალა, რომ არ ჩამოსულა. პარადოქსია, მაგრამ დამოუკიდებლობის მიუხედავად, რუსის ჯარები ისევ აქ დგანან. ბაზების გაყვანის საკითხზე მოლაპარაკებების პროცესში რუსებს ეტყობათ გაღიზიანება იმ ცვლილებების გამო, რაც საქართველოში, უკრაინაში მოხდა და რასაც უკვე ვეღარაფერი შეაჩერებს?

- მგონია, რომ რუსები ერთდროულად ორმხრივად გაღიზიანებულები არიან და არა იმდენად უკანასკნელი მოვლენების გამო, არამედ იმის გამო, რომ ამას საქართველოს დაკარგვად აფასებენ. თუმცა, შეხვედრების დროს ეს ნაკლებად იგრძნობა, რადგან მოლაპარაკებები პროფესიონალურ დონეზე მიმდინარეობს. მეტადრე ლავროვთან, რომელიც ტიპური პროფესიონალი დიპლომატია და თუ ის რამეს გამოხატავს, ეს კარგად არის აწონილ-დაწონილი და არ არის ემოციური, პირადი გაღიზიანება. ლავროვი კარგად ფლობს მოლაპარაკებების ინსტრუმენტებს და ამ ცოდნას იყენებს. გაღიზიანების ფონი, უდაოდ არსებობს და რუსებთან ნებისმიერ მოლაპარაკებაში ეს არის არსებითი პრობლემა. ისინი ვერ აღგვიქვამენ, როგორც მეზობელს, რომელთანაც შეიძლება საერთო ინტერესები გვქონდეს. ეს ყველაფერი ემოციურ, არარაციონალურ ფონზეა, რაც მოლაპარაკებებში სირთულეებს ქმნის.

- რუსეთის მხრიდან ამ ეტაპზე რა არის ვაჭრობის მთავარი თემა?

- მთავარი არგუმენტი ჯარების გაყვანის ტექნიკური სირთულეებია. რაც ამ მოლაპარაკებებში ჩავერთე, ჯარების არგაყვანის საკითხი არ დასმულა და ეს საკითხი სტამბულში მოიხსნა, როდესაც რუსებმა ბაზების გაყვანაზე თანხმობა განაცხადეს. თუ ზოგიერთი რუსი სამხედროს და დუმის წევრის განცხადებებს არ ჩავთვლით, ოფიციალური პირებისგან არასდროს არ არის დავა ბაზების გაყვანის პრინციპის შესახებ. პუტინის უკანასკნელი განცხადება, როდესაც მან თქვა, რომ თუ მოსახლეობას შენი იქ ყოფნა არ სურს, იქ არ უნდა იყოო, სწორედ ამაზე მეტყველებს. ამდენად, მთელი მათი არგუმენტაცია მხოლოდ ტექნიკური ხასიათის არის - რა ვუყოთ ჩვენს ჯარისკაცებს, მათ მოწყობას ბევრი ფული უნდა, სად გადავიყვანოთო და სხვა.

- და, რა თქმა უნდა, ქართული მხარე გაყვანის პროცესში რუსეთს ყოველგვარ ტექნიკურ დახმარებას პირდება...

- ეს მზადყოფნა ყოველთვის არსებობს, ოღონდ ზომიერების ფარგლებში. მათი მხრიდან 500 მილიონის მოთხოვნა იყო არგუმენტი, რათა არ წამოსულიყვნენ მოლაპარაკებაზე.

- ჩვენთან ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანეთ, რომ რუსეთში "ძალიან გარკვევით უნდა იცოდნენ, სად არის ჩვენი წითელი ხაზი. უნდა იცოდნენ, რომ ამ წითელი ხაზის გადაკვეთის შემთხვევაში ჩვენგან მწვავე რეაქციას მიიღებენ". მოლაპარაკებების პროცესში ეს ზღვარი დააწესეთ?

- ზღვარი მაშინ დადგება, როდესაც განვუცხადებთ, რომ მათთან მოლაპარაკებები აღარ გვაინტერესებს. მაგრამ, ეს მომენტი არათუ არ დამდგარა, არამედ პროგრესისკენაც მივდივართ. მოლაპარაკებებს ძალიან დიდი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა და ყველა ჩვენმა პარტნიორმა ზუსტად იცის, რომელ ეტაპზე რაზე ვლაპარაკობთ და რაზე შევთანხმდით. ეს ყველაფერი სრული გამჭვირვალობით ჩატარდება. არ არსებობს, მათ რაიმე პუნქტი დაარღვიონ და ჩვენ ამაზე გავჩუმდეთ.

- გამჭვირვალობა ახსენეთ. რა არის ის საიდუმლო დოკუმენტი, რომელზეც პარლამენტში საუბრობენ?

- არავითარი საიდომლო დოკუმენტი არ არსებობს. როდესაც მოლაპარაკების ერთ რაუნდს ვამთავრებთ, დოკუმენტებს ვცვლით - ჩვენ მათ ვერსიას ვეცნობით და ისინი ჩვენსას, მერე ვაგზავნით პასუხებს და გადავდივართ შემდეგ რაუნდზე. ამ პროცესში არაფერი საიდუმლო არ არის. უბრალოდ, რადგანაც სამუშაო რეჟიმია, ეს დოკუმენტები არ ქვეყნდება. ნებისმიერ მოლაპარაკებაში პირველი ძირითადი წესი ის არის, რომ სანამ შეთანხმებული არ არის, არაფერი არ არის შეთანხმებული. ასე რომ, მე ვერ დავარქმევ შეთანხმებულს დოკუმენტის რომელიმე ნაწილს. დოკუმენტი სრულყოფილი მაშინ გახდება, როდესაც ყველაფერი შეთანხმდება და ტექსტის პარაფირება მოხდება.

- ამ დღემდე როდის მივალთ?

- წესით, მალე უნდა მივიდეთ, რადგან დღეს ღიად მხოლოდ ორი, თარიღებთან დაკავშირებული საკითხი რჩება, თუმცა, ამაზე კიდევ დიდხანს შეხვედრებს და ლაპარაკს არ ვაპირებთ. ყველა არგუმენტი მოყვანილია, ყველაფერი ზეპირად ვიცით - შემიძლია მე ლავროვის ადგილზე დავჯდე, ის - ჩემს ადგილზე და ამ არგუმენტებზე ვილაპარაკოთ, ყველაფერი ნათქვამია. ახლა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა მისაღები.

- ქართული მხარის მიერ შეთავაზებული ბოლო ვადა რა არის?

- 2008 წელი. მიმაჩნია, რომ ეს პროცესი ბოლომდე გაგებული არ არის და საიდუმლო დოკუმენტზე საუბარი არასწორი იყო. სანამ ამ მოლაპარაკებების ბოლო ეტაპზე გავალთ, პარლამენტში მოლაპარაკების მთელი ისტორია, შედეგები უნდა იყოს განხილული და ეს საკითხი ნორმალურია. მეტადრე - დახურულ ბიუროზე, რადგან რთულია ამის საჯაროდ გამოტანა, კომენტარებმა შეიძლება ხელი შეუშალოს მოლაპარაკებების პროცესს. ამაში არც საგანგაშოა რამე და არც არანორმალური - ეს პროცესის შემადგენელი ნაწილია და ქმნის საიმისო პირობებს, რომ შემდეგ პრობლემები არ იყოს და პარლამენტს პრეტენზიები არ გაუჩნდეს.

არ გამკვირვებია, როდესაც ამ ბოლო დროს, საკითხები ნორმალური კითხვები დაისვა. ყველაზე მეტად გამაკვირვა პრეტენზიებმა და კრიტიკამ იმის შესახებ, თუ რომ რატომ არ დავთმე და არ შევთანხმდით. დათმობაზე და შეთანხმებაზე ადვილი არაფერია...

- რა დათმობაზე იყო საუბარი?

- მეც არ ვიცი. საუბარი იყო 9 მაისამდე დაძაბულ სიტუაციაზე და იმაზე, რომ პრეზიდენტი მოსკოვში არ ჩავიდა. თუ არ არის მიღწეული ის, რაც ჩვენ ყველას, კოლექტიურად მიგვაჩნია საჭიროდ, რატომ უნდა წავიდე დათმობაზე, არ მესმის. ისიც უნდა ითქვას, რომ ძირითადი პოზიციები მხოლოდ ჩემი პოზიცია არ არის, მე მოლაპარაკებებს წარვმართავ. პოზიციები კი უშიშროების საბჭოსთან არის შეთანხმებული. ყველა დოკუმენტი ოთხჯერ განვიხილეთ და ნებისმიერი ახალი კომპრომისული ვარიანტი ამ ფორმატშია შეთანხმებული.

- თქვენ, პროფესიონალი დიპლომატი, როგორ აფასებთ თქვენი მოადგილის, გომიაშვილის დემარშს? იყო ეს თქვენთან შეთანხმებული?

- შეთანხმება სხვა რამეს ნიშნავს. პირადი არჩევანისას ჩემი თანხმობა არავის სჭირდება. ეს შედის თავისუფალ არჩევანში და არ არსებობს, რომ ვინმეს ავუკრძალო, ან ჩემი აზრი მოვახვიო თავზე. ფაქტია, რომ ამ გადადგომის შესახებ წინასწარ გამაფრთხილა. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც მასზე ღირსების შემლახავი სტატია დაიწერა. მანამდე კი მოხდა ის, რომ ჩემი და პრეზიდენტის მიერ წარდგენილმა კანდიდატმა ყველა კომიტეტის სხდომა უპრობლემოდ, ტაშით გაიარა. მათ შორის, ის ადამიანებიც უკრავდნენ ტაშს, რომლებიც მერე გამოვიდნენ ტელევიზით და თქვეს, რომ რაღაც ეჭვები ჰქონდათ. სულ ბოლო ეტაპზე კი მოვიდა ხმები, რომ კანდიდატურა ჩავარდებოდა. მინისტრისთვის პარლამენტის უმრავლესობის მიერ თავისი კანდიდატურის ჩაგდება გაუგებარი და პარადოქსულია. ეს ალბათ, პრეზიდენტისთვისაც ასეა. ამ სტატიის შემდეგ გომიაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება და თქვა, რომ სურს იყოს თავისუფალი, რათა ისე უპასუხოს, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ.

ვერ გავაკეთებ კომენტარს იმ ადამიანის განცხადებაზე, რომელიც აღარ არის ჩემი მოადგილე და გახდა პოლიტიკური ფიგურა. შემიძლია ვთქვა, რომ როგორც ჩემი მოადგილე, ღირსეულად მოიქცა. ეს არის გაგრძელება იმ ინტრიგებისა და შეტევისა, რომელზეც ზოგჯერ იგივე ემოციური რეაქცია მაქვს, მაგრამ გამოხატვის სხვა ფორმას ვირჩევ და გრძელ ვადაზე გათვლილ გადაწყვეტილებას ვიღებ.

- თქვენი და ელჩების ურთიერთობის საკითხი კურიოზს დაემსგავსა. ელჩების გამოწვევას თან რატომ სდევს სკანდალი?

- პირველი სკანდალით - გაერო-ში ხმის შეწყვეტით დავიწყოთ. მაშინ ეს საგარეო საქმეთა სამინიტროს შეცდომად მიიჩნიეს. შემიძლია ახლავე გითხრათ, რომ ამ წელსაც იგივე მოხდება, რაც შარშან. პირველი ივნისიდან შეგვიწყდება ხმა და ოქტომბერ-ნოემბერში დავიბრუნებთ. ეს ზუსტად იმავე მიზეზით, დავალიანების გამო მოხდება. ამ წელს არა მხოლოდ გაერო-ში, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებშიც დაწესებული გვაქვს გადახდის გრაფიკები და ვიხდით, როგორც შეგვიძლია. თუმცა, გაერო-სა და მთელ მის ინსტიტუტებში ასეთი წესია - თუ წინა დავალიანების 80 პროცენტი არ გადაიხადე, ვალის დაფარვად არ გეთვლება და ხმას არ დაგიბრუნებენ. იმისთვის, რომ ნორმალურ რეჟიმში დავბრუნდეთ, 5 მილიონი დოლარია საჭიროა. ეს თანხა ბიუჯეტში მთლიანად ყველა ორგანიზაციებისთვისაც არ გვქონდა. ასე რომ, ამ სიტუაციას ახლა ვერ შევცვლით და კიდევ უფრო ნაკლებად შევცვლიდი შარშან, როდესაც ახალმოსული ვიყავი. ამას არ ვაპროტესტებ, მაგრამ აღვნიშნავ, რომ ბიუჯეტი არც ერთი თეთრით არ გაზრდილა.

- არც თხოვნა გაგიგზავნიათ ფინანსთა სამინისტროში?

- მიმაჩნია, რომ დიპლომატიით ბევრი რამის გადაწყვეტა შეიძლება და მასში ფულის ჩადება მომგებიანია, მაგრამ ეს მას შემდეგ უნდა მოხდეს, როდესაც სხვა პრიორიტეტებს გადავწყვეტთ. როცა პენსიებია დასაროვებელი და სხვა ასეთი ხარჯებია, რთულია ვთქვა, საელჩოებისთვის მანქანები მჭირდება-მეთქი. სინდისმა საქმეა, რომ ასეთ დროს დაჟინებით მოითხოვო ფული, მაგრამ მომავალ წელს სხვა ტონით მოვითხოვთ, რადგან მიმაჩნია, რომ ზღვარზე მივედით.

- შემდეგი სკანდალი, თუ არ ვცდები, ზალდასტანიშვილისა და დომარესაც გადავეცით.

- აბა, რატომ ატყდა ხმაური?

- არ ვიცი. ეს იმ კომპლექსურ სიტუაციაში შედის, რომელიც არსებობს და ზოგჯერ თავსაც იჩენს ხოლმე.

რაც შეეხება, ლანა ღოღობერიძეს - მას ჩემს მინისტრობამდე, თედო ჯაფარიძის დროს დაუმთავრდა როტაცია სტრასბურგში და პარიზში ელჩად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე რომ მოვედი, პარიზიდან გამოვიწვიე და ეს პრეზიდენტთან შეთანხმებული იყო. არ მინდოდა, ლანა ღოღობერიძე პარიზში ელჩი ყოფილიყო, რადგან ყველა საელჩოში ახალი სურათის შექმნა მინდა და ის ჩემს მიერ წარმოდგენილ ახალ სურათში არ ჯდება. მაგრამ, რადგანაც ის ჩემს მინისტრად გახდომამდე ორი კვირით ადრე იყო დანიშნული, რადგანაც ასაკოვანი ქალბატონია, რადგანაც ლანა ღოღობერიძეა, გადავწყვიტეთ, ერთი წლით სტრასბურგში დაგვებრუნებინა. ასევე მოვექეცით საში ჩიკვაიძეს ჟენევაში, რომელსაც როტაციის ვადა კიდევ აქვს და 2007 წლამდე შეეძლო დარჩენა. ბატონ საშასაც ვუთხარით, რომ ის უნდა დაბრუნებულიყო, რადგან ახალ სისტემას არ ეკუთვნოდა, მაგრამ მისი დიდი დიპლომატიური წვლილის და პროფესიონალიზმის გამო ერთი წლით გავუგრძელეთ ვადა. ეს ერთი წელი 5 მაისს გავიდა.

ლანასთან და საშასთან მაშინ პრობლემა არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ლანამ ბოლო დროს ვადის ცოტათი გაგრძელება ითხოვა და ეს ჩემთვის გასაგები იყო... ამ პერიოდში ახალი ელჩი დავნიშნეთ ბრიუსელში, ჟენევაში და არ დავნიშნეთ სტრასბურგში. ამიტომაც, ალბათ, ჩათვალა, რომ მისი ვადა არც ისე დამთავრებული იყო. ამის შემდეგ, კიდევ ერთხელ გავუგრძელეთ ვადა, რადგან ვარშავაში სამიტი ტარდებოდა და არ შეიძლებოდა ვადაამოწურული ელჩის ყოფნა. იმ პერიოდში ლანა ღოღობერიძეს მიუვიდა პრეზიდენტის ხელმოწერილი ახალი ბრძანებულება, რომელშიც ეწერა "5 მაისი შეიცვალოს 1 ივნისით". ეს დოკუმენტი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მომზადდა და აქედან ავტომატურად გადაიგზავნა სტრასბურგში. ქალბატონი ლანა სწორედ ამ წერილმა გააღიზიანა.

- საერთაშორისო ურთიერთობების სხვა სკოლა გაიარეთ და სულ სხვა გამოცდილება გაქვთ. ქართულ საერთაშორისო ურთიერთობებს მხოლოდ 10 წლიანი ბიოგრაფია აქვს. პროფესიული თვალსაზრისით, რა ვერ დაძლიეს ქართველმა დიპლომატებმა?

- აქაური დიპლომატებისა და სისტემის მიმართ არც პრეტენზია მაქვს და არც პრობლემები. რა თქმა უნდა, ხარვეზებიც არის და პრობლემებიც - ერთ დღეს კმაყოფილ ვარ, მეორე დღეს ვყვირი, მაგრამ ჯამში, ვერ ვიტვი, რომ 10 წლიანი სისტემა არ მოქმედებს. რუსეთთან მოლაპარაკებებში ვერ ვიგრძენი, რომ ჩვენ რამენაირად სუსტები ვართ მათთან შედარებით. ზოგჯერ ვჯობდით კიდეც იმიტომ, რომ სხვა ფონი გვაქვს - ჩვენი სამხედროები მხარს გვიჭერენ და სხვა.

ასე რომ, ჩვენი პრობლემა დიპლომატები კი არა, არადიპლომატები არიან, რომლებიც გარედან ფიქრობენ, რომ დიპლომატები არიან. დიპლომატია იმდენად ადვილი საქმე ჰგონიათ, რომ ყველას აქვს იმის ამბიცია, რომ დიპლომატია იციან, რომ შეუძლიათ დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმართვა და ყველაფერში ერევიან. უფრო ეს არის პრობლემა, თორემ, შიგნიდან ნორმალური და მისაღები პროცესია. არც ისეთ დაბალ საფეხურზე ვართ და სულ უფრო წინ მივდივართ.

- როგორ გგონიათ, წინაპრებს სანუკვარ ოცნებას აუსრულებთ და თქვენ გააცილებთ საქართველოდან რუსის ჯარს?

- ეს არის ერთ-ერთი ნაწილი იმ მისიისა, რომელიც ვიკისრე და მინდა, რომ შევასრულო. ეს რომ მხოლოდ ჩემზე იყოს დამოკიდებული, რა თქმა უნდა, შევასრულებდი. მაგრამ ეს მისიის ერთ-ერთი ნაწილია, კიდევ სხვაც არის - ნატო, ევროკავშირი, სტაბილურობა რეგიონში... ამიტომ, აქ დიდ ხანს დავრჩები - დააახლოებით, ერთი საუკუნით...

გამომცემლობა "მერანი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა "მერანის" მთავარი რედაქტორი, ცნობილი მწერალი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

დავით მჭედლური

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თეატრები

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
შადიმან შამანაძე
"ღია შუშაბანდი"
რეჟისორი: დიმიტრი ღვთისიაშვილი
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
ნანა ჯანელიძე
"საჩუქრები დიდებს, როდესაც პატარები იყვნენ"
რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დასაწყისი: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
პრემიერა
"ბინა ყიფშიძის ქუჩაზე"
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
დას: 19:00 სთ.

სამეფო უბნის თეატრი
კახა ბაკურაძე
"ჩუმად, რეპეტიციაა!"
დადგმა: გიორგი თავაძე
დას: 19:00 სთ.

კინოთეატრები

ამირანი
"კონსტანტინე"
დას: 14:30; 20:00; 22:00 სთ.

"ჯვაროსნები"
დას: 17:00 სთ.

გამოფენები

თანამედროვე ხელოვნების გალერეა
იტალიელი მხატვრის ალბაკიარა პიზუტოს ნამუშევართა გამოფენის გახსნა

ქროსროუდი
(ირაკლი აბაშიძის 10)
ირინა აბჟანდაძის ფოტონამუშევრების პერსონალური გამოფენა

კოპალა
ეკა ნათენაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

ქარვასლა
"2004 წლის საუკეთესო ფოტო"
(სააგენტო "როიტერის" ფოტოგამოფენა)

ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

ეროვნული გალერეა
პაატა მოისწრაფიშვილის პერსონალური გამოფენა "მინდვრები"
(ფერწერა, გრაფიკა)

გოეთეს ინსტიტუტი
გერმანული და საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატების გამოფენა
"ომისდროინდელი პროპაგანდა კავკასიაში"

კლუბები

ნოა ნოა
მოსკოვის კლუბების JUSTO და SHANTI რეზიდენტი
DJ Natasha Beshenaia
დას: 23.00 სთ.
ფასი: 20 ლარი

ხელოვნების ნაციონალური ცენტრი
ფესტივალი "ხელოვნება თავისუფლებისთვის"
საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ღონისძიებები
დას: 15:00 და 20:00 სთ.

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

თბილისის წიგნის VII საერთაშორისო ფესტივალის პროგრამა

26 მაისი
სცენა IV პავილიონი

15.00 თბილისის წიგნის VII საერთაშორისო ფესტივალის ოფიციალური გახსნა
16.30 ლაშა ბუღაძის ინტერვიუ ანდრო ბუაჩიძესთან

საბავშვო ცენტრი
12.00-17.00 თოჯინების თეატრის წარმოდგენები

ზონა ლუქსი

თბილისის VII წიგნის ფესტივალი ახალ სივრცეში კავკასიელი სტუმრებით

ია ვეკუა

გია დარსალია

ფესტივალის სამზადისი

ვასიკო კეჟერაძე მთელი ცხოვრება (ყოველ შემთხვევაში, მოთხრობის განმავლობაში მაინც) კარცერ ლუქსებზე ოცნებობდა. წარმოდგენილი ჰქონდა, როგორ გამოკეტავდა ამ კარცერებში კითხვის მოძულეებს და ნელ-ნელა, თითქმის შეუმჩნევლად შეაყვარებდა ჯერ თხელი, შემდეგ კი სქელტანიანი წიგნების კითხვას. პატივცემული ვასიკო რეალური ადამიანი, თანაც ჩვენი თანამედროვე რომ იყოს, სიხარულით ცას ეწეოდა, როცა გაიგებდა, რომ დღეს თბილისში წიგნების კარცერი კი არა, მთელი ზონა გაიხსნა.

დიდუბის საგამოფენო ცენტრ "ექსპო-ჯორჯიის" ერთ-ერთ პავილიონში თბილისის VII წიგნის საერთაშორისო ფესტივალი დაიწყო და ოთხი დღის განმავლობაში საქართველოს საგამომცემლო სივრცეში მიმდინარე პროცესების სრულად ასახვას შეეცდება. შეგახსენებთ, რომ ფესტივალის ორგანიზატორია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია.

თბილისის წიგნის ფესტივალი ამ უკანასკნელის ინიციატივით პირველად 1997 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. როგორც ბაზრობის უცნობი მემატიანე იუწყება, ქართველ გამომცემელთა ეს შეკრება იმდენად მოკრძალებული იყო, რომ ერთ დარბაზშიც თავისუფლად განთავსდა და მოკრძალებული რეზონანსითაც ჩაიარა. ამის შემდეგ, სამი წლის განმავლობაში, გამომცემლების საქმიანობით ნაკლებად ინტერესდებოდნენ, ამიტომ მათთვის არც ბაზრობის გამართვით შეუწუხებიათ თავი.

2000 წელს ისინი კვლავ გაიხსენეს და სურათების ეროვნულ გალერეაში (ქალაქური ფოლკლორში "ცისფერ გალერეად" ცნობილი) გამომცემლები კვლავ შეახვედრეს ერთმანეთს და მკითხველს. 2001 წლიდან, ქართულ საგამომცემლო საქმიანობაში აღნიშნული მატების გამო, ბაზრობამ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გადაინაცვლა და მას შემდეგ ამ სივრცის მუდმივი ამთვისებელი იყო.

ვინც შარშანდელ ბაზრობას ესწრებოდა, აშკარად შეამჩნევდა, რომ სტენდებს შორის გზის გაკვლევის პროცესი რაღაცით თბილისურ პიკის საათს ჰგავდა, ამიტომ დღის წესრიგში ბაზრობის გასამართი ტერიტორიის შეცვლის აუცილებლობა დადგა. როგორც ბაზრობის ერთ-ერთი ორგანიზატორი გია დარსალია ამბობს, შარშან იძულებული იყვნენ, რამდენიმე გამომცემლობის სტენდი ფილარმონიის მეორე სართულზე განეთავსებინათ, რამაც ზოგიერთი დამკვეთის უკმაყოფილება გამოიწვია.

ამ მხრივ ყველაზე მოსახერხებელი და პროექტისთვის შესაფერისი "ექსპო-ჯორჯია" აღმოჩნდა. საგამოფენო კომპლექსის დირექციამ ნათელი და ფართო პავილიონის გარდა, საჭირო ტექნიკური ინვენტარითაც უზრუნველყო. გარდა ამისა, ბაზრობის "ექსპო-ჯორჯიაში" გამართვა იმ მხრივაც გამართლებულია, რომ შესაძლებელია პავილიონის მიმდებარე ღიაცისქვეშა ტერიტორიის ათვისება. სწორედ აქ განთავსებულ ორ სცენაზე გაიმართება ის დამატებითი ღონისძიებები, რომელთა ორგანიზებისთვის თავად გამომცემლობებმა უკვე იზრუნეს.

ამ ეტაპზე ცნობილია, რომ გამომცემლობა "არეტე" ბავშვებისთვის გაირჯება და "ტომ სოიერის თავგადასავალს" გაათამაშებს. მოხალისე ბავშვებს შეეძლებათ დროებით მაინც წარმოიდგინონ საკუთარი თავი მარკ ტვენის ნაწარმოების გმირებად და ფიცრულ მესერს თეთრად შეღებავენ. ამ სიამოვნებისთვის ისინი არც მინის ფერადი ბურთულებით დასაჩუქრდებიან და არც კუდზე თოკგამობმული მკვდარი ვირთხით, მაგრამ ამ გასართობით მიღებული სიამოვნება ნამდვილად დაამახსოვრდებათ.

საკუთარ ხელოვნებას წარმოადგენს თბილისის თოჯინების თეატრიც. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, ფესტივალისთვის ახალი სპექტაკლი დადგეს თუ არა, მაგრამ წარმოდგენა საბავშვო ლიტერატურის რომელიმე ნაწარმოების თეატრალური ვერსია ნამდვილად იქნება. თოჯინური წარმოდგენის ხილვა ბავშვებს ფესტივალის გახსნის დღის გარდა მომდევნო დღეებშიც, დილის თორმეტი საათიდან შეეძლებათ. საკუთარ ხელოვნებას ზღაპრის თეატრიც წარმოადგენს.

ლიტერატურული გართობა დიდებისთვისაც იგეგმება. ყოველ 23 აპრილს, წიგნის საერთაშორისო დღეს, მადრიდში "დონ კიხოტის" საჯარო კითხვა იმართება. მასში ნებისმიერი ასაკისა და სოციალური ფენის მსურველი მონაწილეობს (ზოგიერთი ტელეფონისა და ინტერნეტის საშუალებითაც). მსგავსი აქცია შარშანდელ თბილისის წიგნის ფესტივალზეც გაიმართა და უამრავმა მსურველმა რამდენიმე საათის განმავლობაში "ვეფხისტყაოსანი" წაიკითხა. წელს ეს ტრადიცია, სავარაუდოდ, კლავე გაგრძელდება. თუ ეს აქცია ამჯერადაც გამეორდება, "ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვა უფრო მასშტაბური იქნება და მასში ბევრი ცნობილი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.

საკუთარ მოთხოვნილებებს ისინიც დაიკმაყოფილებენ, ვისაც აინტერესებს, როგორ მუშაობენ ჟურნალისტები. საზოგადოებისთვის საინტერესო პიროვნებას (სავარაუდოდ, ლიტერატურულ მოღვაწეს) "ჟურნალისტი" პირდაპირ ღია ეთერში ანუ ღია ცის ქვეშ გამართულ იმპროვიზებულ "სტუდიაში" გაესაუბრება. წინასწარვე იყო ცნობილი, რომ ინტერვიუურ-რესპონდენტი საკმაოდ ცნობილი პიროვნებები იქნებოდნენ, მსმენელ-მაყურებელი კი ნაკლებად ჩაერთვებოდა საუბარში. ორიოდე დღის წინ კი გაირკვა, რომ ამ აქციის მთავარი გმირი ლაშა ბუღაძე იქნება. სწორედ ის წაუძღვება ინტერვიუებს ანდრო ბუაჩიძესთან, ზაზა ბურჭულაძესთან, რეზო თაბუკაშვილთან, დათო ქართველიშვილთან, ანა კორძაია-სამადაშვილთან, ვახუშტი კოტეტიშვილთან, ლევან ბერძენიშვილთან, გოჩა მანველიძესთან და მამუკა ხერხეულიძესთან. თუ ბუღაძის საუბრის მსუბუქ მანერას გავითვალისწინებთ, წინასწარ უნდა ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტებსაც და მსმენელსაც დიდი ხალისი ელის.

იგივე განწყობა იქნება 27 მაისსაც. "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" ამზადებს აქციას "კულინარიას", რომელშიც დროებით მზარეულებად ქცეული ზაალ სამადაშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, ბესო ხვედელიძე და ისევ ლაშა ბუღაძე (მოკლედ, თუ გინდათ გაერთოთ, ბუღაძეს მიმართეთ) გემრიელ ნუგბარს დაგვიმზადებენ. იმედია, ისინი ისევე კარგად ამზადებენ, როგორც წერენ და არც სულაკაურის გამომცემლობას არევია ინგრედიენტები ამ კულინარიული წიგნის დასტამბვისას.

წლევანდელ ბაზრობაზე კვლავ ელიან მეზობელი ქვეყნების გამომცემლობებს. აზერბაიჯანელი და სომეხი გამომცემლები თბილისს 2003 წელს სტუმრობდნენ, რითაც ბაზრობას საერთაშორისოს სტატუსი შესძინეს. თუმცა, სომეხმა გამომცემლებმა სრულიად გაუგებარი მიზეზით უარი თქვეს თბილისში ჩამობრძანებაზე, აზერბაიჯანელები და თურქები კი უკვე სტენდებს აწყობენ.

მთლიანობაში თბილისის VII წიგნის ფესტივალი 70-მდე გამომცემლობის მასპინძლობისთვის ემზადება. უკვე ცნობილია, რომ წერაკითხვის გავრცელებისთვის აუცილებელ ამ აქციაში აქტიურად ჩაებმება საქართველოში მოქმედი ყველა გამომცემლობა. გარდა ამისა, საკუთარ ბეჭდვით პროდუქციას საელჩოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამინისტროები და პერიოდული გამომცემლობებიც გამოიტანენ.

ამისთვის კი რამდენიმე მარტივი პროცედურა უკვე გაიარეს: საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციაში განაცხადის შეტანის შემდეგ სტენდის დასაქირავებელი თანხა გადაიხადეს. ორი კვადრატული მეტრი სტენდი გამომცემლობებისთვის 300 ლარი ღირს, დანარჩენი ორგანიზაციებისთვის - 400. სავალდებულოა ისიც, რომ ყველა პროდუქცია საგამომცემლო ფასში გაიყიდოს. ბაზრობის ორგანიზატორები ცენზორის როლში გამოსვლას არ აპირებენ, ამიტომ ნურავის გაუკვირდება, თუ სტენდებზე რელიგიური (ცხადია, არამართლმადიდებლური იგულისხმება), ზედმეტად ეროტიკული ან სკაბრეზული ლიტერატურა დახვდება.

თბილისის VII წიგნის ფესტივალი 29 მაისს ყოველგვარი საზეიმო ცერემონიალების გარეშე დაიხურება.

თამარ ლებანიძე, გამომცემლობა "დიოგენე": "ჩვენი გამომცემლობა თბილისის წიგნის ფესტივალზე ყოველწლიურად მონაწილეობს და ამ პროექტის ერთ-ერთი სულისჩამდგმელიც ვართ. წლევანდელი ფესტივალისთვის დიდი ენთუზიაზმით ვემზადებით. წლის განმავლობაში გამოცემული წიგნების გამოტანის გარდა, ვაპირებთ რამდენიმე ახალი გამოცემის პრეზენტაციას. მათ შორისაა ემილი დიკინსონის ლირიკა, მაია სახოკიას ლექსების კრებული, ნესტან კუპრავას საბავშვო წიგნი "ჯადოსნური სიტყვები" და კარლ იუნგის "ფსიქოლოგია და ალქიმია". ფესტივალის გახსნას ირანელი პროზაიკოსი გოლი თარაყი უნდა დასწრებოდა. იგი თბილისში რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა, თუმცა უკვე სამშობლოში დაბრუნდა. "დიოგენე" თარაყის წიგნის "სახლი ზეცაში" პრეზენტაციას შემოგთავაზებთ. მან რამდენიმე ეგზემპლარზე ავტოგრაფი დატოვა, რომლებიც ფესტივალის საპატიო სტუმრებისთვისაა განკუთვნილი. "სახლი ზეცაში" თეა შურღაიამ და მზია ბურჯანაძემ თარგმნეს და წარდგენილი იყო "საბას" წლის საუკეთესო თარგმანის ნომინაციაზე".

თინა მამულაშვილი, "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა": "წიგნის წლევანდელ ფესტივალზე რამდენიმე ახალი გამოცემის პრეზენტაციას ვგეგმავთ. ყველაზე მნიშვნელოვანია პაოლო კოელიოს "სახირი", რომელსაც ქართველები სხვა ქვეყნების მკითხველის პარალელურად იხილავენ. გარდა ამისა, ფესტივალის სტუმრებს წარვუდგენთ თეონა დოლენჯაშვილის "იანვრის მდინარეს", დათო ქარდავას მოთხრობების კრებულს, იუსტაინ გარდერის "სოფის სამყაროს", მიშა ანთაძის რომანს "ცოფი", რომელიც ყველა დროის საუკეთესო რომანის სერიის მეექვსე წიგნია. წარმოდგენილი იქნება აკა მორჩილაძის ახალი რომანი და თეა ლომაძის საბავშვო ნაწარმოები "ქარის მოტანილი ამბები". სწორედ ამ წიგნის პრეზენტაციისას ვგეგმავთ საბავშვო სანახაობის გამართვას - სპეციალისტები ბავშვებს ანიმაციური ნახატების შექმნას ასწავლიან. ხოლო კულინარიული სერიის მორიგ წიგნს წარმოადგენს რამდენიმე მწერალი, რომლებიც ფესტივალის სტუმრების თვალწინ კერძებს დაამზადებენ."

ლევან თითმერია, "საარი": "წიგნის ფესტივალის მთავარი დანიშნულება გამომცემლებისთვის სტიმულის მიცემაა. ეს ჩვენი დღეისწაულია და მისთვის ყველა სერიოზულად ვემზადებით. წელს წარმოვადგენთ ხუთ წიგნს სერიიდან "ქართული ბიბლიოთეკა". ვგეგმავთ საბავშვო ღონისძიებებს. პატარა მსახიობები სხვადასხვა ლიტერატურული გმირების როლში მოგვევლინებიან. ძალიან მინდა, რომ ფესტივალზე ოჯახებით იარონ და ყველა ასაკის სტუმარმა მაქსიმალური სიამოვნება მიიღოს. საბავშვო ნაწილის გარდა, ჩავატარებთ შეხვედრებს მწერლებთან, გავარჩევთ ნაწარმოებებს და მოვაწყობთ მათ მხატვრულ კითხვას."

ქართული არტის საზღვრებს გარეთ გასატანად

ანანიაშვილის პირადი კონტაქტებიც ამუშავდა

ვერა ნეფარიძე

"საუკეთესო კულტურული ელჩი საქართველოსთვის", - ასეთი შეფასება ნინო ანანიაშვილმა გუშინ საჯაროდ მიიღო გიორგი გაბაშვილისგან. მართალია, ცნობილი ბალერინა მიჩვეულია ქვეყნის პირველი პირებისგან სახალხოდ კომპლიმენტებსა და აღიარებას, მაგრამ გუშინდელ შემთხვევას უფრო კონკრეტული მიზეზი ჰქონდა.

ნინო ანანიაშვილი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გუშინდელი სტუმრიანობის (რომელიც სამდღიანია) მთავარი "დამნაშავე" გახლავთ. სახელგანთქმულმა ბალერინამ თბილისში მოიწვია ერთ-ერთი ამერიკელი პარტნიორი, რომელმაც, თავის მხრივ, ქართული შემოქმედებითი კოლექტივების ახლოს გასაცნობად საკუთარი კოლეგებიც ჩამოიყვანა საქართველოში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ის თორმეტი ადამიანია, ვინც ამერიკის სხვადასხვა შტატში კულტურული ამინდის შექმნაში დიდ როლს ასრულებს, მაშინ ალბათ მათ მასპინძლებს ფაქტის შეფასებისას გადაჭარბებას ვერ დავწამებთ.

ამერიკელთა ჩამოსვლა, თავისი მიზეზების გათვალისწინებით, უპრეცედენტოდ აღიარა მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა. მართალია, ცალკეული შემოქმედებითი კოლექტივები აქამდეც გადიოდნენ ოკეანისგაღმა, მართავდნენ კონცერტებს, წარმოდგენებს, მაგრამ ეს იყო ცალკეული შემთხვევები და არა ფართომასშტაბიანი, სერიოზულად ორგანიზებული (მით უმეტეს, სამინისტროს ჩარევით) თანამშრომლობა. თუმცა, ეს "წვრილ-წვრილი" გასვლები რომ არ ყოფილიყო, მაშინ ვერც გუშინდელი სტუმარი იტყოდა, რომ წლების განმავლობაში თვალს ადევნებს ქართულ კულტურულ ცხოვრებას. "მრავალი ფილმი მინახავს საქართველოს შესახებ. რობერტ სტურუას შემოქმედება ჩემთვის ღირებულია", - გვითხრა პროდიუსერმა დევიდ ედენმა, ადამიანმა, რომელიც შეერთებულ შტატებში გამართული ქართული ხელოვნების წარმოსაჩენი არაერთი ღონისძიების ორგანიზატორი ყოფილა. სწორედ მან შეკრიბა ამერიკელი კოლეგები: ბრედ ბატერსონი (რუზველტის უნივერსიტეტის "აუდიტორიუმ თეატრის" აღმასრულებელი პროდიუსერი), ტემბრა დილონი (ნიუ იორკის ბარდ კოლეჯის, ფიშერ ცენტრის ხელმძღვანელი), ჯოზეფ მელილო (ბრუკლინის მუსიკალური აკადემიის აღმასრულებელი პროდიუსერი), ჯუდი მორი (წარმოდგენითი ხელოვნების, ორინჯ კაუნტის ვიცე-პრეზიდენტი), მაიკლ რიდი (არიზონის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საზოგადოებრივი მოვლენების, კულტურული მონაწილეობისა და პროგრამების ხელმძღვანელი), რიჩარდ აიზეკსი (თეატრალური სკოლის ეროვნული კავშირისა და უნივერსიტეტ "რეზიდენტ თეატრის" კავშირის წევრი), ჯასტინ მაკდონელი (მაიამის ახალი ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელი), ჰაროლდ ნორისი (H არტის ხელმძღვანელი), ემილ მალტსი (მიდვესტის ცოდნისა და ხელოვნების რესურსების ხელმძღვანელი), დეილ შაცლეინი (ნორთჰოპის აუდიტორიუმის ხელმძღვანელი, მინესოტას უნივერსიტეტი), მარისია ოსტაფინი (რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სწავლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი). სტუმრები თბილისში სამ დღეს დარჩებიან და გაეცნობიან ქართულ ოპერას, თეატრსა და ფოლკლორს. უკვე ნახეს ოპერისა და ბალეტის თეატრში პრემიერა "ბალანჩინი" (რომლის შესახებაც დადებითი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა დევიდ ედენმა); დაინტერესდნენ რამდენიმე ფოლკლორული კოლექტივით. ამ ეტაპზე კონკრეტულ პროექტებზე საუბარი ცოტა ნაადრევია. თუმცა, გამონაკლისი არსებობს. როგორც ნინო ანანიაშვილისგან შევიტყვეთ, მისი საბალეტო დასი ამერიკელი პროდიუსერების მიწვევით მომავალი წლის ივნისში ყოველწლიურ ფესტივალ "ჯეკობს ფილოუზე" გაემგზავრება.

ქართულ-ესტონური პროექტი ბავშვებს

"იავნანა" ქველმოქმედებას აგრძელებს

სოფო კილასონია

27 მაისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება ქართული და ესტონური მრავალხმიანი სიმღერის კონცერტი. მისი ორგანიზატორია პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდი "იავნანა". კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი შემსრულებლები და საგანგებოდ ამ დღისთვის თბილისში ჩამოსული სტუმრები. თამრიკო ჭოხონელიძე, ნუკრი კაპანაძე, მარიამ როინიშვილი, "ქართული ხმები", "თბილისი" და ესტონური გუნდი "საკალა" მზრუნველობას მოკლებული ქართველი ბავშვების დასახმარებლად ამღერდებიან და საკუთარ წვლილს შეიტანენ ფონდ "იავნანას" საქველმოქმედო საქმიანობაში. გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი ფონდის პრეზიდენტ პაატა ბურჭულაძესთან ერთად ესტონურ დელეგაციას სამინისტროში მასპინძლობდა. მინისტრმა და ბატონმა პაატამ გამართეს ერთობლივი პრესკონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ "საკალას" წარმომადგენლები, ანსამბლ "თბილისის" წევრი ზაზა მამალაძე და საქველმოქმედო ფონდ "იავნანას" სამხატვრო ხელმძღვანელი თეონა ჯორბენაძე.

მინისტრი გიორგი გაბაშვილი ფონდის პრეზიდენტ პაატა ბურჭულაძესთან ერთად ესტონურ დელეგაციას მასპინძლობს

ფოტო ლაშა ბესელიას

პრესკონფერენციის დაწყებამდე, პაატა ბურჭულაძის სპეციალური მიმართვა გადავიკითხეთ: "ჩვენი ფონდი მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დასახმარებლად კიდევ ერთ საქველმოქმედო საღამოს მართავს. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ არა მარტო ქართველი, არამედ მსოფლიო აღიარების მქონე უცხოელი მომღერლები პირველი შეთავაზებისთანავე თანხმდებიან საქართველოში ჩამოსვლას და ჩვენი ბავშვების დასახმარებლად სრულიად უანგაროდ იღებენ მონაწილეობას "იავნანას" საქველმოქმედო აქციაში.

მოხარული ვარ, რომ თითქმის ყოველდღე ვხვდები ადამიანებს, ვისაც სიკეთის კეთების დიდი სურვილი აქვთ და რითაც შეუძლიათ ცდილობენ გვერდით დაუდგნენ ბედის ანაბარა დარჩენილ ბავშვებს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ესტონური გუნდი "საკალა" საქართველოში საკუთარი ხარჯებით ჩამოვიდა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს სტუმრებს, მთელ ესტონურ დელეგაციას და ყველა იმ ადამიანს, ვისი თანადგომითაც ჩვენმა ფონდმა უკვე არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. ასეთი ერთობით და ძალისხმევით ჩვენ მართლა შევძლებთ ჩვენი ბავშვების მომავლის გადარჩენას".

"ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის" - დიუმას გმირების ცნობილი დევიზი სტუდენტ ვაჟთა საზოგადოებას "საკალას" საკუთარ კრედოდ ჯერ კიდევ 1909 წელს აურჩევია. პირობებიც იგივეა: "საკალას" წევრი რომ გახდე, უნდა იყო ტარტუს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ან მისი სტუდენტი, რაც მთავარია, უნდა იყო ეროვნული სულისკვეთების მატარებელი და იქცეოდე, როგორც ნამდვილი ჯენტლმენი.

ვაჟთა გუნდი "საკალა" მონაწილეობას იღებს ესტონეთში გამართულ საგუნდო მუსიკის ფესტივალებსა და სხვა კულტურულ ღონისძიებებში. გუნდის რეპერტუარშია ტრადიციული სტუდენტური სიმღერები და ესტონელ კომპოზიტორთა კლასიკური ნაწარმოებები. ხელმძღვანელია მუსიკოსი და ფოლკლორისტი ანდრო კივიბერგი. იგი ამავდროულად ვილიანდის ფოლკლორისტიკის ცნობილი საერთაშორისო ფესტივალის მენეჯერი და ესტონეთის ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დირექტორია. რაც შეეხება დირიჟორს კალევ ლინდალის, იგი ტარტუს პრემიის მრავალგზის ლაურეატი და ესტონეთის ახალგაზრდული ფესტივალის მთავარი დირიჟორი ყოფილა.

"მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ პაატას, რადგან ის აგრძელებს იმ ტრადიციას, რომელიც თავად დაამკვიდრა, ანუ საქველმოქმედო კონცერტების სერიას. ამ კონცერტებიდან შემოსულ თანხას ფონდი "იავნანა" ახმარს უმწვავეს სოციალურ და საგანმანათლებლო თემებს. ეს არის უბრწყინვალესი მაგალითი იმისა, თუ დიდი ხელოვანი საზოგადოებრივი აქტივობით როგორ ეხმარება თავად საზოგადოებას. 27 მაისს ფილარმონიის სცენაზე გამოვა ძალიან საინტერესო ესტონური გუნდი. ეს ემსახურება როგორც ჩვენი კულტურების დაახლოებას, ისე საქველმოქმედო მიზნებს. დიდ მადლობას ვუხდი მათ ჩამობრძანებისა და იმ აქციაში მონაწილეობისთვის, რომლის ბენეფიციარებიც ისევ ჩვენი ბავშვები იქნებიან", - კულტურის მინისტრის ამ სიტყვებით დაიწყო პრეს-კონფერენცია. მას შემდეგ, რაც ბატონი გიორგი გაბაშვილი სტუმრებს კიდევ ერთხელ, ახლა უკვე მედიის წინაშე მიესალმა, სიტყვა ქართველ ბანს გადასცა.

პაატა ბურჭულაძემ მადლობა გადაუხადა ყველას მისი ფონდისა და სტუმრების მიმართ გამომჟღავნებული ყურადღების გამო. ისიც დასძინა, რომ სასურველი იქნებოდა, დახმარების სურვილი სხვა სამინისტროებსაც გამოეთქვათ, რადგან ფონდი ამას ნამდვილად საჭიროებს: "ჩვენი ფონდისთვის მოწყობილი ღონისძიებები უკვე საერთაშორისო ხასიათს იღებს. ალბათ გახსოვთ ქეთი მელუას კონცერტი ბერლინში, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტების გასტროლი თბილისში, წინ არის მომავალი კონცერტი ფილარმონიაში, სექტემბერში კი ისეთი ვარსკვლავთცვენა იქნება, როგორსაც ვერ ინატრებს ბევრი ევროპული ქალაქი. ყველას, ვინც დღეისთვის ჩამოვიდა და ვინც საქართველოს სამომავლოდ ესტუმრება, ერთი მიზანი ამოძრავებს - დახმარების ხელი გაუწოდონ ჩვენს ბავშვებს."

როგორც ფონდ "იავნანას" სამხატვრო ხელმძღვანელმა თეონა ჯორბენაძემ გვამცნო, სექტემბერში ოპერისა და ბალეტის თეატრში "იავნანას" ეგიდით კონცერტს გამართავენ მსოფლიო მეგავარსკვლავები დოლორა ზაიჩი (სოპრანო) და რენე პაპი (ბანი), 17 სექტემბერს კი თბილისელ მსმენელს "დონ-კარლოსის" მართლაც არაჩვეულებრივი წარმოდგენა ელის. პაატა ბურჭულაძე ინკვიზიტორის პარტიას შეასრულებს, ფილიპის პარტიას კი ქართველი ბანი ცნობილ იტალიელ ბანს ფერუჩიო ფურლანეტოს დაუთმობს.

პრესკონფერენცია "საკალას" მიერ შესრულებული "ციცინათელათი" დასრულდა. თუმცა, ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა. ხვალ ერთ სცენაზე პირველად გაისმება ქართული და ესტონური მრავალხმიანობა. გვპირდებიან არაერთ მოულოდნელ მუსიკალურ ნომერს და, საერთოდ, არაჩვეულებრივ საღამოს.

ხავერდოვანი ხმა თბილისს ესტუმრება

4 ივნისი - ლადო ათანელის კონცერტი

4 ივნისს ოპერისა და კლასიკური მუსიკის მოყვარულთ არაჩვეულებრივი საღამო ელით. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი ზაზა აზმაიფარაშვილის დირიჟორობით, ლადო ათანელისა და გეორგინა ლუკაჩის მონაწილეობით კონცერტს წარმოგვიდგენს.

ლადო ათანელი

ლადო ათანელმა 1989 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო სიმღერის ფაკულტეტი (ჯემალ ლორთქიფანიძის კლასში). შემდეგ სტაჟირება გაიარა პროფესორ ნოდარ ანდღულაძის ხელმძღვანელობით. 1989 წელს შედგა მისი დებიუტი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში რენატოს პარტიით ვერდის ოპერაში "ბალ-მასკარადი". 1991 წელს მოიპოვა გრან-პრი და პირველი პრემია ბარსელონას ფრანსისკო ვინიასის სახელობის ვოკალისტთა კონკურსზე, 1996 წელს - პირველი პრემია ვენის ბელვედერის საერთაშორისო კონკურსზე, იმავე წელს - პირველი პრემია კიოლნის საერთაშორისო კონკურსზე "იჩესტელლი".

ფართო რეზონანსი გამოიწვია მომღერლის გამოსვლამ ლა სკალას სცენაზე ვერდის ოპერაში "მაკბეტი", რომელშიც ის მთავარ პარტიას ასრულებდა. პრესამ მაღალი შეფასება მისცა ლადო ათანელის მაკბეტს.

2002 წელს ცნობილმა ინგლისურმა ხმისჩამწერმა ფირმამ "ემი კლასიკმა" კომპაქტ-დისკზე ჩაწერა პონკიელის ოპერა "ჯოკონდა", რომელშიც ათანელი ბარნაბას პარტიას ასრულებდა. მასთან ერთად მღერის პლასიდო დომინგო, დირიჟორია მარჩელო ვიოტი. 2005 წლის მაისში ლადო ათანელმა გერმანიაში ჩაწერა სოლო ალბომი.

ის მღერის მსოფლიოს საუკეთესო საოპერო თეატრებში: მილანის ლა სკალაში, პარიზის ოპერა ბასტილიაში, ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერაში, ვენის შტაატს ოპერაში, ლონდონის კოვენტ გარდენში, ციურიხის, ბერლინის, მიუნხენის, ლოს ანჯელესის საოპერო თეატრებში და ა.შ.

ლადო ათანელის რეპერტუარი მოიცავს მრავალ მთავარ საოპერო პარტიას კლასიკური და თანამედროვე რეპერტუარებიდან.

ქართველი ბარიტონი თანამშრომლობს საოპერო ვარსკვლავებთან: პლასიდო დომინგოსთან, ხოსე კარერასთან, ჯუზეპე ჯაკომინისთან, სალვატორე ლიჩიტრასთან, ნეილ შიკოფთან, მარჩელო ალვანისთან, სუზენ ნევესთან, ანჯელა გეორგიუსთან, რობერტო ალანიასთან, გეორგინა ლუკაჩთან და სხვებთან.

ლადო ათანელს შემოქმედებითი კავშირი ჰქონდა და აქვს გამოჩენილ დირიჟორებთან: ჯეიმს ლივაინთან, რიკარდო მუტისთან, ჯუზეპე სინოპოლთან, მარჩელო ვიოტისთან, ფაბიო ლუიზისთან, ანტონიო პაპანოსთან, დანიელ ორენთან, ჯეიმს კონლონთან, კრისტიან ტიელემანთან და სხვებთან.

"პლანეტის ყველაზე ძლიერი, ხავერდოვანი და სასიამოვნო ხმა" ("ლოს ანჯელეს თაიმსი") 4 ივნისს თბილისელი მსმენელისთვის უკვე ლეგენდად ქცეულ სოპრანოსთან გეორგინა ლუკაჩთან ერთად იმღერებს.

გეორგინა ლუკაჩი დაიბადა დიორში (უნგრეთი), დაამთავრა მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ჯერ სოლო სიმღერის, შემდეგ კი კომპოზიციის ფაკულტეტები, აგრეთვე ბუდაპეშტის კონსერვატორია. მომღერლის დებიუტი შედგა ლეონორას როლში (ვერდის "ტრუბადური") ბუდაპეშტის სახელმწიფო საოპერო თეატრის სცენაზე, რასაც მოჰყვა მომღერლის გამოსვლა ათენის ფესტივალზე.

ლუკაჩმა მალე მიიღო მიწვევები ევროპის ცნობილი საოპერო თეატრებიდან.

საერთაშორისო აღიარება მომღერალმა ლეონორასა (ვერდის "ბედის ძალა") და ამელიას (ვერდის "ბალ-მასკარადი") პარტიების შესრულებით მოიპოვა მილანის ლა სკალაში (დირიჟორი რიკარდო მუტი). სხვადასხვა წლებში მან შეასრულა ტოსკას პარტია (პუჩინის "ტოსკა") სან ფრანცისკოს, ვენის, ბერლინისა და ჰამბურგის საოპერო თეატრების სცენებზე, ელისაბედის პარტია (ვერდის "დონ კარლოსი") ზალცბურგის ფესტივალზე, ლადი მაკბეტის პარტია (ვერდის "მაკბეტი") ლონდონში, ტოკიოში, ბუდაპეშტის სახელმწიფო საოპერო თეატრში, აბიგაელის პარტია (ვერდის "ნაბუქო") ჰამბურგის შტაატს ოპერაში, ამელიას პარტია ("ბალ-მასკარადი") მიუნხენში, ჰამბურგში, მადალენას პარტია (ჯორდანოს "ანდრე შენიე") ტოკიოში.

4 ივნისის კონცერტზე, რომელსაც ზაზა აზმაიფარაშვილი უდირიჟორებს, ლადო ათანელისთან და გეორგინა ლუკაჩთან ერთად მაყურებელი თეატრის სიმფონიურ ორკესტრსა და გუნდსაც მოუსმენს.

კონცერტი ორმოქმედებიანი იქნება. საოპერო რეპერტუარიდან შესრულდება ცნობილი და მელომანთათვის საყვარელი თითქმის ყველა არია ბარიტონისა და სოპრანოსთვის. ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრი და ვოკალისტები შეასრულებენ ნაწყვეტებს ოპერებიდან: "ჯამბაზები", "ჯოკონდა", "ოტელო", "ტრუბადური", "ბედის ძალა", "მაკბეტი", "სოფლის ღირსება", "ანდრე შენიე", "მანონ ლესკო" და "ტოსკა".

თუ მკითხველს ლადო ათანელისთვის ერთხელ მაინც მოუსმენია ან გაუგონია, რას წერს მასზე და გეორგინა ლუკაჩის შესაძლებლობებზე ევროპული კრიტიკა, ნამდვილად დამეთანხმება, რომ 4 ივნისს ოპერას თეატრში ამ წლის ერთ-ერთი მშვენიერი და მაღალი დონის საოპერო საღამო გაიმართება.

ფოტოთემა - ქალი

წარმავალობით ნიშანდებული ექსპოზიცია

ვერა ნეფარიძე

"ამ ფოტოებში ავტოპორტრეტებიცაა", - ამბობს ირინა აბჟანდაძე უკანასკნელ ფოტოსერიასთან დაკავშირებით, რომელიც ფოტოგრაფის უკანასკნელი ექვსი თვის მუშაობის შედეგად შეიქმნა. გუშინ გალერეა "ქროსროუდმა" ირინა აბჟანდაძის ქალის თემაზე შექმნილ ექსპოზიციას უმასპინძლა.

ირინა აბჟანდაძე (მარჯვნივ) ფოტოსერიის გმირთან ერთად

ფოტო ლაშა ბესელიას

ვინც ირინა აბჟანდაძის ბოლო წლებში გამართულ გამოფენებს თვალს ადევნებს, დამეთანხმება, რომ ეს ავტორი მუდამ ადამიანურ თემატიკას ეხება. არც იმას დავმალავ, რომ ძირითადად მძიმეა ისინი. ამჯერად ფოტოგრაფს ექვსთვიანი ფოტოექსპერიმენტის გმირად ქალი შეურჩევია. "თანამედროვე ხელოვნებაში ქალთა შინაგანი სამყაროს პრობლემები ერთ-ერთი გავრცელებული და მოგებიანი თემაა, - გვეუბნება სერიის ავტორი და განმარტავს, - ქართულ კულტურას ტიპური მასკულინური ხასიათი აქვს. ამის მიუხედავად, ჩემი დაინტერესება ქალით, როგორც ძირითადი ფოტოთემით, არც ქართული კულტურის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, არც მსოფლიო არტ-სივრცეში ეფექტურად ჩაწერის სურვილი".

ირინა აბჟანდაძის ფოტოსერია დროისგან ტრანსფორმირებული ერთი ადამიანის სახეს გვაჩვენებს. ობიექტი გადაღებულია სხვადასხვა ადგილას - იქნება ეს სამსახური (ამ შემთხვევაში, კლინიკა), სახლი, სოფელი, საფლაო, ეკლესია, ქალაქგარეთ, კინოში, - სადაც კი გმირს რეალურად უწევს დროის გარკვეული პერიოდის გატარება. სერია ისედაც მკაცრია და მშრალი, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს თითოეულ კადრზე მითითებული დრო და თარიღი; დრო ერთი და იგივეა: 15 საათი და 30 წუთი. "ეს, გარკვეულწილად, წარმავალობის მინიშნებაა", - ამბობს ავტორი.

ფოტოგრაფს ამ ფოტოსერიის კონცეფცია დაახლოებით სამი წლის წინათ მოუფიქრებია. მაგრამ განხორციელდა სრულიად შემთხვევით, როდესაც სერიის გმირს ქალბატონ მარინას დაუახლოვდა. "იდეაზე ადრეც ვფიქრობდი, მაგრამ არ მქონდა შესაძლებლობა, შესაბამისი იმპულსი", - იხსენებს ირინა, - "მარინა იმიტომ ავარჩიე, რომ ჩვენ მაინც თანაბარ განზომილებებში ვართ". აქ ავტორი იმას გულისხმობს, რომ ამ სერიაში ბევრგან ავტოპორტრეტს ხედავს. მისი აზრით, სხვანაირად შეუძლებელია, რადგან როგორიცაა ფოტოგრაფი, ფოტოებიც ისეთი გამოსდის. "ადამიანის ფოტოგრაფირება ნიშნავს, აიძულო შეიძინოს ისეთი ხედვა, ისეთი ცოდნა საკუთარი თავის შესახებ, როგორიც არასდროს ჰქონია. ჩემს შემთხვევაშიც მსგავსი რამ მოხდა. ექვსი თვის განმავლობაში ვცდილობდი, ყოველდღიურად დამეფიქსირებინა დროისა და ჩემი ობიექტივის გამომცდელი ზეგავლენა კონკრეტულ ადამიანზე", - ამბობს ფოტოგრაფი და იმასაც ამხელს, რომ სერიის მომზადებისას საკუთარ ობიექტივს ძალადობის იარაღადაც აღიქვამდა. როგორია ირინა აბჟანდაძის გმირი ქალი, - ახლა ამაზე საუბარი არ ღირს, რადგან გაცილებით უმჯობესია სერიის დათვალიერება.

ვაულო კოელიოს სვეტი

სიკვდილით ნიშანდებული



წესით, 2004 წლის 22 აგვისტოს უნდა მოვმკვდარიყავი, 22:30-ზე, ჩემს დაბადების დღემდე 48 საათით ადრე. ჩემი სიკვდილისწინა სცენარის დადგმისთვის, თამაშში ფაქტორების მთელი სერია ჩაერთო:

ა. თავისი ბოლო ფილმის პრემიერის შემდეგ უილ სმიტმა თითქმის ყოველ ინტერვიუში ახსენა ჩემი წიგნი "ალქიმიკოსი".

ბ. სმიტის ფილმი ერთი წიგნის მიხედვით იყო გადაღებული, რომელიც მე ადრე წავიკითხე და დღემდე ძალიან მომწონდა: აიზეკ აზიმოვის "მე, რობოტი". გადავწყვიტე, წავსულიყავი და მენახა ფილმი უილ სმიტისა და აზიმოვის პატივსაცემად.

გ. ფილმს სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის პატარა ქალაქში აგვისტოს პირველ კვირას აჩვენებდნენ. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში იმდენი წვრილ-წვრილი პრობლემები გამოჩნდა, რომ კინოში წასვლა ვერაფრით მოვახერხე, ამ კვირა დღემდე.

ნაადრევად ვისადილე, მეუღლესთან ერთად ნახევარი ბოთლი ღვინო დავლიე და კინოში ჩვენი მოახლეც დავპატიჟე (ცოტა იყოყმანა, მაგრამ ბოლოს მიწვევა მაინც მიიღო). კინოში დროულად მივედით, ვიყიდეთ პოპკორნი და ვნახეთ ფილმი. მოგვეწონა. უკან მანქანით ვბრუნდებოდით. ათიოდე წუთში უკვე ძველ წისქვილში ვიყავით, რომელიც უკვე ჩვენი სახლია. მანქანაში კომპაქტ-დისკი ჩავრთე ბრაზილიური მუსიკით და სიჩქარე მაქსიმალურად დავაგდე, რომ შინ მისვლამდე სამიოდე სიმღერა მაინც მოგვესმინა.

ორმხრივი გზა პატარ-პატარა მძინარე ქალაქებს სერავდა. უცებ დაბურულ ფანჯარაში ავტომანქანის წყვილი ფარის შუქი დავინახე. საიდან გამოტყვრა, ვერც მივხვდი. მივდივარ წინ, გზაჯვარედინისკენ, ორივე მხარეს ბოძები დგას. ვცდილობ, მანქანა დავამუხრუჭო, რადგან სხვა შემთხვევაში ბოძს უნდა შევეჯახო. დაბნეულობა ერთ წამს გრძელდება. მახსოვს, გამიელვა: "ეს კაცი გიჟია!" - მაგრამ ვერაფერი ვთქვი. მანქანის მძღოლმა (სამუდამოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში, რომ მანქანა "მერსედესი" იყო, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს) შენიშნა ბოძები, სიჩქარეს უმატა, ცხვირწინ გვერდი ამიქცია და, სანამ საჭის გასწორებას ცდილობდა, ამოტრიალდა...

ამ წუთიდან ყველაფერი შენელებული კადრივით მახსოვს: მანქანა გადატრიალდა ჯერ ერთხელ, მერე მეორედ, მესამედ... მერე გზის ერთ მხარეს გადავარდა, კიდევ ერთხელ მკვეთრი მოძრაობით ავარდა ზევით და საქარე მინებით დაეხარკვა მიწას...

ჩემი მანქანის ფარებმა მთელი სცენა წამიერად გაანათა. გაშეშებული ვზივარ და ისე ვუყურებ მანქანის განწირულ ტრიალს, როგორც რამდენიმე ხნის წინ ფილმს ვუყურებდი. განსხვავება მხოლოდ ერთი იყო - ის იყო ფილმი, ეს რეალობა!

დალეწილი მანქანა უკვე მიწაზე გდია, მარჯვენა ფერდით - ზევით. მძღოლის მაისურს ვარჩევ. იქვე, კუთხეში ვაჩერებ მანქანას და ერთადერთი აზრი, რაც თავში მიტრიალებს, ის არის, რომ ძალები უნდა მოვიკრიბო, მანქანიდან გადავიდე და მძღოლს მივეხმარო. უცებ ვგრძნობ, თურმე, როგორ მიჭერდა თითებს ჩემი მეუღლე მკლავზე, ხორცში ლამის ფრჩხილებით ჩამფრენია. თან მევედრებოდა: ღვთის გულისთვის, ცოტა წინ გააჩერე, რადგან შეიძლება დალეწილი მანქანა აფეთქდეს და ნაკუწებად გვაქციოს.

ავარიის ადგილს რამდენიმე ასეული მეტრით ვცილდები და იქ ვჩერდები. მაგნიტოფონში კვლავაც გაისმის ბრაზილიური მუსიკის ჰანგები, თითქოს, არც არაფერი მომხდარიყოს. სცენა საშინლად სიურეალისტურია და შორეული. მეორე მხრიდან მომავალი მანქანა ჩერდება. ქალი გადმოდის, ერთიანად კანკალებს, მისი მანქანის ფარებსაც ეს დანტესებური სცენა ბოლომდე გაუნათებია. მეკითხება, მობილური ტელეფონი თუ მაქვს. ვპასუხობ, რომ მაქვს. "მერე, რაღას უცდით, დაურეკეთ სასწრაფო დახმარებას!"

რა ნომერია სასწრაფო დახმარება? გაოცებული მიყურებს: ეგ ყველამ იცის! სამჯერ 51! მობილური ტელეფონი გამორთულია: ფილმის დაწყებამდე ხომ ყოველთვის გვთხოვენ ამას. ჯერ პინის ნომერი შემყავს და შემდეგ სასწრაფოში ვრეკავ - 51 51 51. ზუსტად ვიცი შემთხვევის ადგილი: სოფლებს - ალუბერსა და ორგს შორის.

ჩემი მეუღლე და მოახლე უკან ბრუნდებიან: ახალგაზრდა კაცი საკმაოდ დაშავებულია, ჭრილობები და დაჟეჟილობები მთელ ტანზე აქვს. თუმცა, სერიოზული არაფერი ჩანს. არ ვიჯერებ. როგორ, მას შემდეგ, რაც მანქანა ჩემს თვალწინ ექვსჯერ ამოტრიალდა, მძღოლი სერიოზულად არ არის დაშავებული? არადა, მართლაც ასეა - მძღოლი ძლივს გადმოლასლადა მანქანიდან. ამასობაში გამვლელებიც მოგროვდნენ. ხუთ წუთში სახანძრო მოვიდა და გადარჩენის იმედიც გაჩნდა. ესე იგი, შეიძლება, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდეს! არადა, ერთი წამით გვიან რომ მომხდარიყო, დაშავებული ჩემს მანქანას შეეჯახებოდა, გზიდან გადამაგდებდა და ორივე დავილუპებოდით.

შინ დავბრუნდი, ეზოში შევედი და ვარსკვლავებს ავხედე. ხდება ხოლმე ასე - გზად სირთულეები გვხვდება, ძალიან მნიშვნელოვანი და მტკივნეული სირთულეებიც, მაგრამ რადგან იმ მომენტისთვის ჩვენი დრო ჯერ არ დამდგარა, ეს სახიფათო წუთები ვერაფერს გვაკლებს. არადა, იმ წუთებში ყველაფერი ისე რეალურია, საოცარი სიცხადით ხვედავთ საფრთხეს, თითქმის ხელითაც ვეხებით სიკვდილს...

მადლიერი ვარ ღმერთის, რომ ამის გაგება შევძელი. როგორც ჩემი მეგობარი ამბობს ხოლმე: ყველაფერი, რაც უნდა მომხდარიყო, მოხდა და არც არაფერი დაშავებულა.

ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.

მოკლედ

ესკერო "ბარსელონაში" ოთხ წელიწადს გაატარებს

"ბარსელონას" ხელმძღვანელობა უახლოეს დღეებში ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს "ატლეტიკოს" თავდამსხმელის სანტიაგო ესკეროსთან კონტრაქტის გაფორმების შესახებ. ივნისში ფეხბურთელს თავის აწ უკვე ყოფილ კლუბთან თამაშის ვადა გასდის და ისიც მაშინვე გადავა ესპანეთის ახლად გამომცხვარი ჩემპიონი გუნდის შემადგენლობაში. კატალონიელთა მთავარმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა ესკეროსთან უკვე განიხილა და შეათანხმა მოედანზე მისი პოზიცია. მწვრთნელის აზრით, ესკერო თავდასხმის მარცხენა ფლანგზე ითამაშებს.

აღსანიშნავია, რომ "ბარსელონაში" გადასვლის გამო ადრე ფორვარდმა "ვალენსიასა" და "ტოტენჰემის" წინადადება არ მიიღო. იტყობინებიან, რომ "ბარსასთან" დადებული მისი კონტრაქტი ოთხ წელიწადს ითვალისწინებს.

ფედერაციამ ეტო'ო დააჯარიმა

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, 12 ათას ევროდ დაეჯარიმებინა "ბარსელონას" ფორვარდი სამუელ ეტო'ო, რომელმაც კატალონიელების მიერ ჩემპიონობის აღნიშვნის დროს შეურაცხმყოფელი ფრაზები გამოიყენა მადრიდის "რეალის" მისამართით. ისიც აღსანიშნავია, რომ "ნოუ კამპის" სტადიონზე თავიანთი საყვარელი გუნდის მისალოცად მისული გულშემატკივრების უმრავლესობამ მოინონა ეტო'ოს საქციელი. მოგვიანებით, როცა საქმე განსახილველად გადაეცა ფედერაციას, ეტო'ომ საჯაროდ ბოდიში მოიხადა, მაგრამ, როგორც ხედავთ, დასჯას მაინც ვერ გადაურჩა.

გრემ ლე სო ფეხბურთს დაემშვიდობა

"საუთჰემპტონის" მცველმა გრემ ლე სომ, რომლის გუნდმაც ჩემპიონატის შედეგების მიხედვით პრემიერ-ლიგა დატოვა, გუშინ სპორტული კარიერის დამთავრების შესახებ გააკეთა განცხადება.

"ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში გადავწყვიტე, რომ იგი ჩემთვის უკანასკნელი გახდებოდა. უფრო ბედნიერი წავიდოდი, "საუთჰემპტონი" რომ პრემიერ-ლიგაში დარჩენილიყო. სამწუხაროა, რომ ასე არ ხდება", - განაცხადა ლე სომ.

თავისი კარიერის დიდი ნაწილი 36 წლის ფეხბურთელმა "ჩელსიში" გაატარა. მხოლოდ ორი წლის წინათ გადავიდა "საუთჰემპტონში". ლე სო 36-ჯერ გამოვიდა მოედანზე ინგლისის ეროვნული ნაკრების მაისურით.

ფლეტჩერი მზადაა, ითამაშოს

"მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველმა დარენ ფლეტჩერმა შეიძლება მონაწილეობა მიიღოს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში - დაეხმაროს შოტლანდიის ნაკრებს მოლდოვას წინააღმდეგ თამაშისას.

შაბათს, ინგლისის თასის ფინალურ მატჩში, ფეხბურთელი მოედანზე ტრავმირებული მუხლით გავიდა. იგი მეორე ტაიმში შეცვალეს.

"მალე სამედიცინო შემოწმებას გავივლი. მისი შედეგების მიხედვით საბოლოოდ დადგინდება, შევძლებ თუ არა დავეხმარო ჩემს გუნდს. ბოლომდე გამოჯანმრთელებულიც რომ არ ვიყო, ძალიან მინდა ვითამაშო", - განაცხადა ფლეტჩერმა.

"ევერტონი" პარკერის შეძენისთვის მოლაპარაკებას აწარმოებს

Tribalfootball-ის ცნობით, "ევერტონის" აღმასრულებელმა დირექტორმა დაადასტურა, რომ მოლაპარაკებას აწარმოებს "ჩელსისთან" ნახევარმცველის სკოტ პარკერის შეძენასთან დაკავშირებით. "ევერტონის" მთავარ მწვრთნელს დევიდ მოიესს მიაჩნია, რომ პარკერი უნდა გახდეს ამ ზაფხულს კლუბის მთავარი შენაძენი და იმედი აქვს, რომ მომავალ სეზონზე ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის აზრმა ("ევერტონი" მონაწილეობას მიიღებს საკვალიფიკაციო რაუნდში!) შეიძლება მოხიბლოს ნახევარმცველი.

"ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ პარკერთან. ამავე დროს მისი შეძენა უნდათ "ტოტენჰემს", "ნიუკასლსა" და "ასტონ ვილას", - განაცხადა დირექტორმა.

მოიეს ჯერ კიდევ ორი წლის წინათ უნდოდა გუნდში პარკერის მოწვევა. მაშინ ეს ფეხბურთელი "ჩარლტონში" თამაშობდა, თუმცა, "ევერტონს" "ჩელსი" ამჯობინა - ლონდონის გუნდმა 16 თვის წინათ ფეხბურთელი 10 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა. ინგლისის მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, პარკერის ყოველკვირეული შემოსავალი რომან აბრამოვიჩის კლუბში 55 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენს. "ევერტონის" ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ პარკერის შესაძენად გამართულ ბრძოლაში უკან ჩამოიტოვებს "ასტონ ვილას", "ტოტენჰემსა" და "ნიუკასლს". ცნობილია "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს პოზიციაც. მას არ უნდა გუნდიდან პარკერის გაშვება, მით უმეტეს, მისი კონკურენტების გუნდში.

ტოტი წელიწადში თითქმის ოთხ მილიონს მიიღებს

იტალიური პრესის ცნობით, უახლოეს მომავალში "რომას" ხელმძღვანელობა გუნდის კაპიტანთან ფრანჩესკო ტოტისთან ახალი კონტრაქტის შესახებ გააკეთებს განცხადებას. კონტრაქტის თანახმად, ფეხბურთელი კლუბში 2011 წლამდე ითამაშებს და წელიწადში 3,9 გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

ფიგუ ლუშემბურგოსგან ახსნას ელოდება

მადრიდის "რეალის" ნახევარმცველმა ლუიშ ფიგუმ განაცხადა, რომ მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ ამ დრომდე არ აუხსნა, რატომ იჯდა ბოლო შვიდ მატჩში სათადარიგო სკამზე. უკანასკნელად ფიგუ "რეალის" შემადგენლობაში 4 აპრილს გამოვიდა მოედანზე, რის შემდეგაც, ფეხბურთელის თქმით, მწვრთნელი მის მიმართ ძალიან შეიცვალა.

"ყოველთვის კლუბის ერთგული ვიყავი და იმედი მქონდა, რომ "რეალსაც" იგივე გრძნობა ჰქონდა ჩემს მიმართ. იმედგაცრუებული ვარ იმით, რასაც მეუბნებიან: "მისმინე, დღეს არ ითამაშებ". ყოველთვის ასი პროცენტით ვიხარჯებოდი, ვარჯიში იქნებოდა ეს თუ სათამაშო მოედანი. როგორც ჩანს, ყოველი ფეხბურთელის კარიერაში დგება რთული მომენტები, თუმცა, არ მესმის, რატომ უნდა დამტოვონ სათადარიგო შემადგენლობაში ისე, რომ არაფერი ამიხსნან," - განაცხადა ფიგუმ.

პორტუგალიელი ფეხბურთელი ვერაფერს ამბობს თავის მომავალზე მადრიდში. კონტრაქტს 2006 წლამდე აქვს ვადა, თუმცა, ხელმძღვანელობისგან არავის მიუმართავს მისთვის კონტრაქტის გაგრძელების ან სხვა კლუბში გადასვლის წინადადებით. ზოგიერთი ინფორმაციით, ფიგუს შეძენა "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ატლეტიკოს" უნდათ.

"თუ ისინი კვლავაც არაფერს მეტყვიან, მაშინ კონტრაქტის მიხედვით გუნდში 2006 წლამდე დავრჩები. "რეალის" დატოვების შემთხვევაში გადავალ ისეთ პრესტიჟულ კლუბში, რომელსაც "სამეფო კლუბზე" ნაკლები ტრადიცია არა აქვს", - აღნიშნა ნახევარმცველმა.

ტონი ადამსს სამშობლოს გარეთ უნდა ძალების მოსინჯვა

ლონდონის "არსენალისა" და ინგლისის ეროვნული ნაკრების წარსულში ცნობილი მცველი ტონი ადამსი თავისი სამწვრთნელო კარიერის გაგრძელებას იტალიაში გეგმავს. ამ დღეებში იგი ამ საკითხზე ესაუბრა იტალიის სერია B-ს ორი კლუბის "ვერონასა" და "ტორინოს", ასევე "იუვენტუსის" ხელმძღვანელობას.

38 წლის სპეციალისტმა არაერთხელ გამოთქვა საზღვარგარეთ მუშაობის სურვილი. აღსანიშნავია, რომ ადამსისთვის იტალიაში მუშაობის ერთადერთი პრობლემა იტალიური ენის არცოდნაა.

რიო ფერდინანდს მართვის მოწმობა ჩამოართვეს

ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველს რიო ფერდინანდს, იმის გამო, რომ მანქანას გადაჭარბებული სიჩქარით მართავდა, მართვის მოწმობა ჩამოართვეს. პოლიციის წარმომადგენლის განცხადებით, ფერდინანდი საჭესთან 28 დღე ვერ დაჯდება. გარდა ამისა, მას დარღვევისთვის ჯარიმის სახით 1500 გირვანქა სტერლინგის გადახდა მოუწევს.

ფეხბურთი

LIVERPOOL!!!

მილანი - ლივერპული 3:3 (2:3-პენ)

ექვსი წუთი, რომელმაც შესძრა "მილანი" - ასე შეიძლება დახასიათდეს ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი. უაღრესად დრამატული და თვალსასაჩირო, რომლის მსგავსი ჩემპიონთა ლიგის ისტორიას არ ახსოვს.

ყველაფერი კი პაოლო მალდინის გოლით დაიწყო, რომელიც უსწრაფესია ტურნირის არსებობის ისტორიაში. მალდინის 87 მატჩი აქვს ლიგაში ჩატარებული და აქამდე გოლი არ გაეტანა, მაგრამ გუშინდელ ფინალში მან უაღრესად მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა, რომელმაც დიდ ფინალს მისცა დასაბამი და პირწმინდად გააქარწყლა ფეხბურთის ბევრი სპეციალისტის აზრი, რომ თამაში უხვგოლიანი არ გამოვიდოდა.

"ლივერპულს" დასაკარგი არაფერი ჰქონდა, ამიტომ უკანმოუხედავად შეუტია მეტოქეს, მაგრამ უკუშედეგი მიიღო და პირველ ტაიმში საკუთარ კარში კრესპოსგან კიდევ ორი გოლი მიიღო. მეორე ტაიმში "მილანი" უაღრესად თვითდაჯერებული ჩანდა. საქმე მოთავებულად მიიჩნია და ექვს წუთში სამი საპასუხო გოლიც იგება. სწორედ ეს ექვსი წუთი გახდა "ლივერპულის" დიდი ტრიუმფის დასაწყისი. ამ გოლების შემდეგ ინგლისელებს უმართლებდათ. "მილანს" კი პირიქით ფორტუნამ ზურგი აქცია და ამის დასტური იყო, რომ ანდრეი შევჩენკოს ორი დარტყმული ბურთი ინგლისელებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს. ერთხელ ტრაორემ, მეორედ კი დუდეკმა იხსნა საკუთარი კარი. ეს ყველაფერი დამატებით დროში მოხდა და იმას ასახავდა, რომ "მილანს" ფორტუნა არ სწყალობდა.

მართლაც ასე მოხდა. პენალტების სერიაში ირჟი დუდეკმა ორჯერ მოიგერია ბურთი. ჯერ პირლოს დარტყმული, შემდეგ კი ანდრეი შევჩენკოსი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა და "ლივერპულს" თავისი არსებობის ისტორიაში მეხუთე ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა.

რაგბი

ქართველების ალმა-დალმა სვლა

რუსეთი კი ჭაბუკთა დონეზეც არ გვასვენებს

ჰაატა თოთაძე

სიახლეებს რა დალევს ქართულ რაგბიში. ჰოდა, ჩვენც ისღა დაგვრჩენია, გიამბოთ ამის შესახებ. დავიწყოთ 20 წლამდე ჭაბუკებით, რომლებიც ესპანეთში არიან ევროპის ჩემპიონატზე. პირველ მატჩში ჩვენი გუნდის მეტოქე პოლონეთის ნაკრები იყო. პოლონელებთან მოგება, იქაური სარაგბო დონიდან გამომდინარე, ქართველებს არ გასჭირვებიათ (49:0), თუმცა, პოლონელები, რაკი თამაშით ვერაფერი მოგვიხერხეს, უხეშობაზე გადავიდნენ. ამას ორი ქართველის - ბაირამაშვილისა და ურჯუკაშვილის ტრავმა მოჰყვა. ამის გამო მათ გუშინ, რუსეთთან გამართული მეორე მატჩი გამოტოვეს. ნაკრების ხელმძღვანელობის თქმით, ფინალამდე ორივე მორაგბე გამოჯანმრთელდება, მთავარია, კიდევ ვინმემ არ მიიღოს ტრავმაო. ევროპის ჩემპიონატი ხომ თავისთავად მნიშვნელოვანი ტურნირია, მაგრამ ეს შეჯიბრება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიცაა. მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის უფლებას პირველ ადგილზე გასული გუნდი მიიღებს.

ლევან მგელაძის განცხადებით, გუნდი თავიდან ცოტა არეულად თამაშობდა, რამდენიმე დერეფანი წააგო, მაგრამ შემდეგ ბიჭებმა დაალაგეს თამაში და ყველაფერი მათი კარნახით წავიდა. იმძლავრა ქართულმა შერკინებამ, რამაც უპირატესობა მისცა ხაზსაც. ეს უპირატესობა ქართველებმა ექვსი გატანილი ლელოთი გამოხატეს.

დასრულდა რეგულარული ჩემპიონატი საფრანგეთშიც. უმაღლესი დივიზიონიდან ქართველ მორაგბეთა ორი კლუბი გავარდა - "ბეზიე" და "გრენობლი". ბეზიელი ხინჩაგიშვილის ბედი გარკვეულია - მომავალ სეზონს ის კვლავაც ელიტაში, ოღონდ სხვა კლუბში - "ბურგუნში" გაატარებს, ტარიელ რატიანიძე კი ალბათ ისევ "ბეზიეში" დარჩება. სავარაუდოდ, კლუბს არ შეიცვლის არც ლევან ღვაბერიძე, რომელიც მომავალ წელსაც "გრენობლში" დარჩება. მათ ნაცვლად უმაღლეს დივიზიონში ითამაშებს გია ლაბაძე. მისმა "ტულონმა" პირველ დივიზიონში გაიმარჯვა. ბოლო ტურში "ტულონი" "ტარბს" ეთამაშა და 30:16 მოუგო. ამ მატჩში ქართველი მორკინალი მეტოქესთან ჩხუბის გამო პირველ ნახევარში გააძევეს მოედნიდან. პლეიოფში მოსახვედრად ორი ქულა დააკლდა გრეგ იაშვილის "ბორდოს". პლეიოფში ოთხი გუნდი ითამაშებს, მათგან საუკეთესო კი უმაღლეს დივიზიონში მე-13 ადგილზე გასულ "პოს" ეთამაშება გადასასვლელ მატჩში. ჯერჯერობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამის უფლება "მონტობანს" ერგება. ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონატის განმავლობაში ის სხვებზე უკეთ გამოიყურებოდა.

დასრულდა "ჰაინეკენის" თასიც. წლეულს ეს ჯილდო მესამედ ისტორიაში "ტულუზს" ერგო. ფინალი ფრანგული იყო - "ტულუზს" ჯილდოს "სტად ფრანსე" ეცილებოდა. თამაში რომ საინტერესო და დაძაბული გამოდგა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ გუნდებმა ძირითად დროში ვერ გამოავლინეს გამარჯვებული. მატჩის გმირი ფრედერიკ მიშალაკი გახდა. "ტულუზის" ნახევარმცველმა მატჩის მიწურულს გაათანაბრა ანგარიში, დამატებით დროში კი კიდევ ჯარიმა და არეკნი გაიტანა და საბოლოოდ გუნდს 18:12 მოაგებინა.

მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა რუსეთშიც. მოულოდნელად დასრულდა მატჩი მოსკოვში, სადაც "სლავამ" ჩემპიონობის ერთ-ერთი მაძიებელი "კრასნი იარი" დაამარცხა 19:18. კრასნოიარსკელებმა რამდენიმე წამყვანი მორაგბის გარეშე ითამაშეს. როგორც ჩანს, იოლ მოგებას ელოდნენ, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. მეორე ტაიმის დასაწყისში მოსკოველთა უპირატესობამ 14 ქულას მიაღწია (20:6). ამის შემდეგ სტუმრები კი გააქტიურდნენ, მაგრამ მატჩის გადარჩენა ვერ შეძლეს. ამაში დავით კიკნაძესაც მიუძღვის ბრალი - "იარის" დამრტყმელმა ბოლო წუთზე საჯარიმო ააცილა. დამრტყმელმა დააღალატა კრასნოარსკის მეორე კლუბი "ენისეიც", რომელიც "მონინოს" სტუმრობდა. კრასნოიარსკელები მატჩის მიწურულისთვის 12:9-ს იგებდნენ. ამ დროს "ენისეის" დამრტყმელმა ზედიზედ ორი საჯარიმო ააცილა ხელსაყრელი პოზიციიდან, სამაგიეროდ ზუსტი იყო მასპინძელი კაზანცევი და "მონინომაც" 15:12 მოიგო.

თამაში დაიწყეს "ბრიტანელმა და ირლანდიელმა ლომებმა". პირველ მატჩში "ლომებმა" კარდიფში "პუმებს" უმასპინძლეს. მატჩი ფრედ 25:25 დასრულდა. კვლავაც გაიბრწყინა ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებულმა ჯონი ვილკინსონმა - 6 საჯარიმო და 1 გარდასხვა. ეს "ლომების" გენერალური რეპეტიცია იყო ზელნდიური ტურნეს წინ. პირველი მატჩი შაბათს, 4 ივნისს გაიმართება.

ფორმულა 1

მიხაელ მებრძოლი

სამეფო რბოლების ექვსი ეტაპი და 12 ქულა. სულ ესაა, რაც "ფერარის" გერმანელმა მრბოლმა მიხაელ შუმახერმა აქამდე შეძლო. ის, რომ მიხაელის მსგავსი მესაჭისთვის ასეთი შედეგი, რბილად რომ ვთქვათ, შეუფერებელია, ვფიქრობთ, საკამათო არ უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი არ ნებდება, ბოლომდე ბრძოლა განუზრახავს და საკუთარ გუნდსაც ამისკენ მოუწოდებს.

"მონაკოს დიდ პრიზზე" ასპარეზობისას გამოჩნდა, რომ კვლავაც კონკურენტუნარიანები ვართ (მონაკოში გერმანელმა მრბოლმა მეშვიდემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი.-რედ.). ჩვენი ძალა არსად წასულა, კვლავაც ჩვენთანაა და ამას მალე დაგიმტკიცებთ.

შემიძლია გაუთავებლად ვიმეორო, რომ ბოლომდე ვიბრძოლებ. უკან დახევას არ ვაპირებ. ეს ლოზუნგები არაა. მართლაც ასე ვფიქრობ. მე მებრძოლი სულის პატრონი ვარ და საქმესაც ბოლომდე მივიყვან. საფეხბურთო მატჩი 90 წუთს გრძელდება და ხშირია შემთხვევა, როცა მატჩის ბედი ბოლო წუთებზე წყდება...

შემდგომი რბოლისთვის საუკეთესოდ მოვემზადებით. აღმოვფხვრით სუსტ მხარეებს. ახლა ჩვენი სუსტი წერტილი და გასაჭირი კვალიფიკაციაა, რაშიც მონაკოში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. ამ მხრივ მუშაობა გვამრთებს. თუ ჩამორჩენას აღმოვფხვრით, გაგვიჩნდება რეალური შანსი იმისა, რომ კვლავაც წინ ვიყოთ და რბოლები მოვიგოთ.

რა თქმა უნდა, იმედი მაქვს, რომ ასეთი შანსი ნიურბურგრინგზე ("ევროპის დიდი პრიზი". 29 მაისი.) გვექნება, სადაც ყოველთვის ძლიერად გამოვდივართ. სწორედ ამ გამოსვლას უნდა დაუკავშირონ თავიანთი იმედები ჩვენმა გულშემატკივრებმა. ჩვენს მომავალზე განსაკუთრებულ გავლენას მოახდენს ახალი კვალიფიკაცია: საკუთარ ჩამორჩენას სტრატეგიასთან თამაშით აღმოვფხვრით".

რაც შეეხება კვალიფიკაციებს ანუ რბოლათა ახალ ფორმატს, ამასთან დაკავშირებით ბევრი იმსჯელა მსოფლიო ჩემპიონატის ათი საჯინიბოს შეფობამ და მწვანე შუქი აუნთო კვალიფიკაციათა შეცვლილ ფორმატს. იგივე ცვლილებას დაეთანხმა ფორმულა 1-ის კომისიაც. ორშაბათს ოფიციალურად გაცხადდა, რომ ნიურბურგრინგის სტარტზე სხვაგვარად განლაგდებიან ბოლიდები. კერძოდ, კვირას გასათამაშებელი მეორე კვალიფიკაცია, რომელიც ძირითად რბოლამდე რამდენიმე საათით ადრე ტარდებოდა, შაბათისთვის გადაიტანეს, რაც იმავე დღეს გამოავლენს პოულის მომგების ვინაობას. მრბოლთა თანმიმდევრული განლაგება, როგორც ეს ადრე იყო, განისაზღვრება არა წინა ეტაპის, არამედ შაბათის კვალიფიკაციის შედეგების მიხედვით.

"ევროპის დიდ პრიზამდე" რამდენიმე დღეა დარჩენილი. ახლა გამოჩნდება, თუ რა გავლენას იქონიებს მიხაელზე ახალი კვალიფიკაცია.

ინფოთეკა

"დეპორტივო" ბაიანოს ყიდვას აპირებს

ესპანური კლუბის "მალაგას" თავდამსხმელი ფერნანდო ბაიანო მალე "დეპორტივოში" გადავა. გასულ სეზონზე ფორვარდმა, რომელიც "მალაგას" შემადგენლობაში იჯარის წესითაა, თავისი შესანიშნავი თამაშით დიდი ინტერესი გამოიწვია. ესპანეთის ჩემპიონატის 16 მატჩში მის ანგარიშზე რვა გოლია. ადგილობრივი პრესის ცნობით, "დეპორტივო" მზადაა, იგი ბრაზილიური "საოკაეტანოსგან" გამოისყიდოს. იტალიური კლუბი გეგმავს, ფეხბურთელს ოთხწლიანი კონტრაქტი შესთავაზოს.

მუტუ ბრუნდება

კოკაინის მოხმარებისთვის შვიდთვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ უახლოეს კვირას "იუვენტუსის" რუმინელი თავდამსხმელი ადრიან მუტუ მოედანზე დაბრუნდება. როგორც ცნობილია, დანაშაულის გამოაშკარავების შემდეგ ფორვარდი "ჩელსიმ" კლუბიდან გააძევა - კონტრაქტი დროზე ადრე გაუწყვიტა.

ახლა კი, ალბათ, ფეხბურთელი "იუვენტუსს" იტალიის ჩემპიონატში "კალიარის" წინააღმდეგ მატჩის დროს დაეხმარება. ამის შესახებ განცხადება გააკეთა "იუვეს" მთავარმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელიომ.

"ვფიქრობ, მიმდინარე სეზონის უკანასკნელი ტურის მატჩში მისთვის ადგილი მოიძებნება", - აღნიშნა მწვრთნელმა.

გარდა ამისა, უახლოეს ხანში მუტუ ეროვნული გუნდის მაისურსაც მოირგებს. რუმინეთის ნაკრებმა იგი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურში ჰოლანდიისა და სომხეთის წინააღმდეგ სათამაშოდ მიიპატიჟა.

მოამზადა ნინო ტიკარაძემ

TV-სპორტი

ხუთშაბათი. 26 მაისი

NTV+ФУТБОЛ
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "სანტოსი" (ბრაზილია) - "უნივერსიდად დე ჩილე" (ჩილე). საპასუხო მატჩი
14:00 უკრაინის ჩემპიონატი. "ვოლინი" - "დინამო"
15:35 რუსეთის ჩემპიონატი. ნახევარფინალი. ცსკა - "ზენიტი". საპასუხო მატჩი
17:15 ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. "მილანი" - "ლივერპული"
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 საუკენდო მატჩების ანონსი
20:00 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
20:30 უეფას თასი. სეზონის შედეგები
21:00 "ფუტბოლისტიკა"
21:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:25 თავისუფალი დარტყმა
22:40 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "სანტოსი" (ბრაზილია) - "უნივერსიდად დე ჩილე" (ჩილე). საპასუხო მატჩი
00:25 უკრაინის ჩემპიონატი. "ვოლინი" - "დინამო"

NTV+ПЛЮС
10:00, 13:00, 16:00, 19:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი"
13:30 საავტომობილო სპორტი. ჩემპიონატი და რუსეთის თასი წრიულ რბოლებში. პირველი ეტაპი
15:00 ფიგურული სრიალი. კენი ლოგინსის შოუ
16:15 "სპორტის აკვატორია"
16:45 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2002 წელი. 1/4 ფინალი. "MONTREAL CANADIENS" - "CAROLINA HURRICANES". მე-3 მატჩი
19:15 სპორტული ტანვარჯიში. "სტელა ზახაროვას თასი"
20:15 "მოტოვებული კვირა"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
22:00 ჭადრაკი. ქალთა რუსეთის ჩემპიონატი. სუპერფინალი
22:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
23:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". შედეგები
00:05 ახალი ამბები
00:20 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
00:50 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი

EUROSPORT
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 სპიდვეი - შვედეთის დიდი პრიზი
12:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი"
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 ველორბოლა. იტალიის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". მიმოხილვა
02:00 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი მაროკოში
02:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი. ფინალი

ქალაქ ბათუმის ზღვისპირა ზოლში მოქმედი კაფე-ბარების (შვიდი ერთეული) მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები

1. შესავალი

ზღვისპირა ზოლის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 24 მაისის N107 დადგენილების შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ბათუმის ზღვისპირა ზოლში მოქმედი კაფე-ბარების (შვიდი ერთეული) მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემაზე.

2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, რისთვისაც გათვალისწინებულია მოქმედი კაფე-ბარების მიწის ნაკვეთების 10 წლიანი ვადით იჯარით გაცემა და მათი არქიტექტურული იერსახის გაუმჯობესება.

3. ინფორმაცია საიჯარო ნაკვეთის შესახებ

მიწის ნაკვეთების მდებარეობა: საიჯარო ნაკვეთები განთავსებულია ბათუმის ზღვისპირა ზოლის ტერიტორიაზე;
ნაკვეთების გაცემის ფორმა: კონკურსი;
ნაკვეთების სარგებლობის ფორმა: იჯარა;
1 კვ.მ. მიწის იჯარის წლიური ღირებულება: 10 ლარი.
თანდართულ სქემაში მითითებული იჯარით გასაცემი ნაკვეთების ფარ-თობებია:

4. საკონკურსო პირობები

კონკურსის ძირითადი პირობაა კაფე-ბარების არქიტექტურული იერსახის გაუმჯობესება.

N	საიჯარო ფართი	იჯარის წლიური ღირებულება	კონკურსში მონაწილეობისათვის "ბე"-ს ოდენობა (5%)
1	104 მ²	1040 ლარი	52 ლარი
2	200 მ²	2000 ლარი	100 ლარი
3	200 მ²	2000 ლარი	100 ლარი
4	117 მ²	1170 ლარი	58 ლარი
5	200 მ²	2000 ლარი	100 ლარი
6	200 მ²	2000 ლარი	100 ლარი
7	200 მ²	2000 ლარი	100 ლარი

თუ კაფე-ბარის მფლობელი არ მიიღებს მონაწილეობას კონკურსში და/ან გაიმარჯვებს მეორე პირი, ასეთ შემთხვევაში გამარჯვებული ოპერატორი გადაუხდის კაფე-ბარის მფლობელს ობიექტის ღირებულებას აუდიტის დასკვნის შესაბამისად.
გამარჯვებული პრეტენდენტი (შემდგომში მოიჯარე - ოპერატორი) ვალდე-ბულია განახორციელოს კაფე-ბარის მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონო-ბა.
გამარჯვებული პრეტედენტები (შემდგომში მოიჯარეები) იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ:
- არსებული კაფე-ბარების რეკონსტრუქციის პროექტების წარმოდგენა და ქალაქის არქიტექტურულ სამსახურში სათანადო შეთანხმების შემდეგ მათი რეალიზება.

5. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

- პრეტენდენტის მიერ საკონკურსო ნაკვეთში მაქსიმალური საიჯარო თანხის შემოთავაზება.
- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, შემოთავა-ზებული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომელიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

6. კონკურსში მონაწილეობის პირობები

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის ადგილობრივ თვითმმართვე-ლობასთან;
კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარე-დგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) პრეტენდენტის განაცხადი;
b) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები ცალკე დალუქულ კონვერტში;
გ) ქ. ბათუმის მთავრობის საანგარიშსწორებო ანგარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებელი საბუთი;
დ) პირადობის მოწმობის მონაცემები;
ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტედენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ვ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ქსეროასლებს.
ზ) საპროექტო წინადადება - ესკიზური ვარიანტი.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება განაცხადების მიღების ვადის გასვლი-დან არაუგვიანეს 5 დღისა, კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავ-ლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.
საიჯარო ქირის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველი საანგარიშო წლის მე-ექვსე თვის ბოლოს.
იჯარის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლებელია ხელშეკრულების გაგრძელება 5 წლით ან ახალი საიჯარო ურთიერთობების გამოცხადების შემთხვევაში თანაბარი პირობების არსებობისას მოიჯარეს ეძლევა უპირატესი უფლება სხვა კონკურენტებთან შედარებით. საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარე ათავისუფლებს დაკავებულ ტერიტორიას.
პრეტენდენტს კონკურსში მონაწილეობისათვის მთავრობის მიერ მითითე-ბულ ანგარიშზე შეაქვს საწყისი პირველი წლის საიჯარო ქირის 5%, რომელიც გამარჯვებულ პრედენდენტს ჩაეთვლება პირველი წლის გადასახდელ საიჯარო ქირაში, ხოლო დამარცხებულს (დამარცხებულებს) - ერთი კვირის ვადაში დაუბრუნდებათ იმავე წესით.
სახელმწიფო ან მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც პრეტენდენტები გასწევენ საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.
გამარჯვებულ პრეტენდენტთან, რომელიც შემდგომში მოიხსენიება როგორც მოიჯარე, მთავრობა ერთი თვის ვადაში გააფორმებს იჯარის ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) და წინამდებარე პირობების შესაბამისად გა-დასცემს საიჯარო ქონებას. ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება საქართვე-ლოში მოქმედი კანონმდებლობის, გამოცხადებული კონკურსის პირობების და შემოტანილი განაცხადის საფუძველზე.
ოპერატორს (მოიჯარე) ხელშეკრულებით დაეკისრება საკონკურსო პირობე-ბისა და აღებული ვალდებულების შესრულება. ხელშეკრულების ნებისმიერი პუნქტის დარღვევა შეიძლება გახდეს მისი გაუქმების საფუძველი.
ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ოპერატორი (მოიჯარე).
მთავრობა არ ჩაერევა ოპერატორის საქმიანობაში, მისცემს მას საშუალე-ბას, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ოპერირებისა და სხვა საკითხები.
მთავრობა იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გაასხვისებს, ან რაიმე სხვა ფორმით არ გადასცემს სხვა პირს, იმ ნაკვეთს, რომელიც ოპერატორს (მოიჯარეს) გადაეცემა იჯარით.
განაცხადი უნდა შევიდეს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, შ. რუსთაველის N1, ტელ: 7-26-45.

განაცხადების მიღება შეწყდება 2005 წლის 30 ივნისს 17 სთ-ზე.
კონკურსზე წარმოდგენილი მასალების საჯარო განხილვა მოხდება 2005 წლის 5 ივლისს 14 სთ-ზე.
კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:
აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N 000142402

სახელი _____ მისამართი

გვარი _____

ასაკი _____ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები _____

სიმაღლე _____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და რომლის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და რომლის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა_____ თარიღი_____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !

გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსპორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო გჭონდეთ მხოლოდ ზომიერი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვეით ბლანკი უფასოა

საბავშვო კომპანია "რუსთავი 2" არ არის პასუხისმგებელი, განსაზღვრულ, მითითებულ ან არა მოწვდომილად ინფორმაციაზე გამოცხადებული "ქუდიანი რგოლი". ასევე ვერ ვიქნებით პასუხისმგებელი, შეცდომებზე, რომლებიც დაშვებულია კონკურსანტის მიერ. ამ განაცხადის შევსებით თქვენ ავტომატურად ინფორმაციას გამოცხადებული "ქუდიანი რგოლი" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

საბავშვო კომპანია "რუსთავი 2" / ინფორმაციული გამოცხადებული "ქუდიანი რგოლი" / ვაჟა-ფშაველას 45, 0177 თბილისი

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგრეთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადმოგებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

განცხადება

გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 29 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებაში ტენდერის შესახებ შეტანილი ცვლილებების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს შემდეგ ტექნიკურ მომსახურებაზე: - გარდაბნის რაიონის სახელმწიფო ტყის ფონდის 11075 ჰა ფართობზე ტყეთმოწყობის (ინვენტარიზაცია და მონაცემთა დამუშავება) სამუშაოების ჩასატარებლად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 25 დეკემბრისათვის.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 27 მაისის 12 საათიდან 6 ივნისის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მინდელის ქ. №9, IV სართული.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობები შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

გ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 7 ივნისის 13 საათიდან 10 ივნისის 13 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, მინდელის ქ. №9, IV სართული.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ვასილ ჩალაძე, მისამართზე: ქ7 თბილისი, მინდელის ქ. №9, ტელ: (822) 32-01-53, (899)90-51-41.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ.N10, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ენერგეტიკული სექტორის სუბსიდირებისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" რეაბილიტაციის პროგრამების ღონისძიებებზე ***შემდეგი ლოტების მიხედვით:***

ლოტი I - გამრიცხველიანების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შემდეგი საქონლის შესყიდვა-მოწოდების განხორციელებას:

ცალფაზიანი მრიცხველი	რაოდენობა 105440 ცალი
სამფაზიანი მრიცხველი	რაოდენობა 300 ცალი
ერთმრიცხველიანი მრიცხველის კარადა თავისი სამაგრით 1 ფაზა (წყალგამძლე)	რაოდენობა 60859 ცალი
სამმრიცხველიანი მრიცხველის კარადა თავისი სამაგრით 1 ფაზა (წყალგამძლე)	რაოდენობა 5964 ცალი
ცხრამრიცხველიანი მრიცხველის კარადა 1 ფაზა (წყალგამძლე)	რაოდენობა 310 ცალი
თორმეტმრიცხველიანი მრიცხველის კარადა 1 ფაზა (წყალგამძლე)	რაოდენობა 536 ცალი
თექვსმეტმრიცხველიანი მრიცხველის კარადა 1 ფაზა (წყალგამძლე)	რაოდენობა 449 ცალი
ოცდაოთხმრიცხველიანი მრიცხველის კარადა 1 ფაზა (წყალგამძლე)	რაოდენობა 441 ცალი
63 ამპერიანი ორფაზა ავტომატური ამომრთველი	რაოდენობა 104990 ცალი
100 ამპერიანი სამფაზა ავტომატური ამომრთველი	რაოდენობა 846 ცალი
200 ამ პერიანი სამფაზა ავტომატური ამომრთველი	რაოდენობა 860 ცალი

ლოტი II - გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შემდეგი საქონლის შესყიდვა-მოწოდების განხორციელებას:

გამანაწილებელი საგები 2X6მმ² (სპილენძის)	1290000 მეტრი;
საგები ძალოვანი კარადიდან მრიცხველის კარადამდე 4X35მმ² (ალუმინი)	21700 მეტრი;
საგები ძალოვანი კარადიდან მრიცხველის კარადამდე 4X50მმ² (ალუმინი)	22000 მეტრი;
ძალოვანი საგების 4X35მმ²-ის (ალუმინი) ბუნიკი	7000 ცალი;
ძალოვანი საგების 4X50მმ²-ის (ალუმინი) ბუნიკი	7300 ცალი;
საგების სამაგრო ჩამჭერები 2X6მმ²-ისათვის	164300 ცალი;
დახლი ძაბვის იზოლატორები თავისი სამაგრით	79200 ცალი;
გამანაწილებელი საგების 2X6მმ²- სამაგრები (სპილენძის)	1290000 ცალი;
ძალოვანი საგების 4X35მმ²-ის (ალუმინი) სამაგრი	21700 ცალი;
ძალოვანი საგების 4X50მმ²-ის (ალუმინი) სამაგრი	22000 ცალი;
ფეხტი 150 მმ-ის	65000 ცალი;
ფეხტი 1000 მმ-ის	290000 ცალი;
პოლიეთილენის (მილსატარის) მილი D=100	27300 მეტრი;
პოლიეთილენის მილის სამაგრები 50მმ²-ის	27300 ცალი;
დამიწების საგები D=6მმ (ალუმინი)	191000 მეტრი;
პროფილური რკინა D=18მმ	135700 მეტრი;
ძალოვანი კაბელები:	
3X50 - 10 კვ	10 კმ
3X70 - 10 კვ	10 კმ
3X95 - 10 კვ	30 კმ
3X120 - 10 კვ	40 კმ
3X185 - 10 კვ	25 კმ
3X240 - 10 კვ	5 კმ
3X25+1X16 - 0.4 კვ	20 კმ
3X50+1X25 - 0.4 კვ	15 კმ
3X70+1X35 - 0.4 კვ	15 კმ
3X95+1X50 - 0.4 კვ	10 კმ
3X120+1X70 - 0.4 კვ	5 კმ
ოთხძარღვა იზოლირებული კაბელი 4X16 0.4კვ	40კმ
ოთხძარღვა იზოლირებული კაბელი 3X25+1X54 - 0.4კვ	50კმ
მაშველი ალუმინის გამტარები:	
80-იანი AC-35	10 ტონა
50-იანი AC-35	30 ტონა
70-იანი AC-35	15 ტონა
საყრდენები და იზოლატორები:	
რკინაბეტონის ბოძი 10 კვ	4000 ცალი
რკინაბეტონის ბოძი 0.4 კვ	1000 ცალი
იზოლატორი 10 კვ	10000 ცალი
იზოლატორი 0.4 კვ	4000 ცალი

ლოტი III - ძვესადგურებისა და ტრანსფორმატორების შესყიდვა-მოწოდების პროგრამა

ძალოვანი ტრანსფორმატორები

ტიპი	სიმძლავრე (კვ)	რაოდენობა
160 კვა	10/0.4	50 ცალი
400 კვა	10/0.4	30 ცალი
630 კვა	10.04	25 ცალი
160 კვა	6/0.4	50 ცალი
400 კვა	6/0.4	30 ცალი
630 კვა	6/0.4	25 ცალი

სიმძლავრე (კვ)	რაოდენობა
6	100 კომპლექტი
10	100 კომპლექტი
35	10 კომპლექტი
110	10 კომპლექტი

ტიპი	სიმძლავრე (კვ)	რაოდენობა
400 კვამპ	10	30 ცალი
400 კვა	6	20 ცალი

ის

ტიპი	სიმძლავრე (კვ)	რაოდენობა
ცკ ტიპის ან მსგავსი	220 VDC	3 ცალი
დამტენი მოწყობილობა საკუმულატორი ბატარეებისათვის	380 V	4 ცალი

სატრანსფორმატორო ქვესადგური 10/0.4-ზე და 6/0.4 კვ-ზე აკუმულატორი

ლოტი IV - კომპიუტერული (საბილინგო) მოწყობილობების შეძენა-

N	სპეციფიკაცია	რაოდენობა
1	პერსონალური კომპიუტერი, 17"მონიტორი, უწყვეტი კვების ბლოკი (UPS)	361
2	მცირე სიმძლავრის სერვერი (Workstation) და უწყვეტი კვების ბლოკი	48
3	სერვერი	6
4	უწყვეტი კვების წყარო მომუშავე Online რეჟიმში	28
5	გენერატორი	28
6	ქსელური პრინტერი	86
7	ქსელური პრინტერი	36
8	სკანერი	41
9	ასლის გადასაღები აპარატი	65
10	ფაქსის აპარატი	65
11	ლეპტოპი თავისი ჩანთით	22
12	სისკოს დამცავი გადამრთველი (Switch)	28
13	სისკოს როუტერი	1
14	საკასო აპარატი	51
15	ქსელის გადამრთველი (Switch)	44
16	ქსელური როუტერი	28
17	პროგრამული უზრუნველყოფა ბილინგის სისტემისათვის	1

მოწოდების პროგრამა

ლოტი V - სპეციალური ტექნიკის შეძენა-მოწოდების პროგრამა

ტიპი	რაოდენობა
ელექტრო ლაბორატორია საკაბელო ხაზების დაზიანების აღმოჩენის მოწყობილობით	12 ცალი
მრიცხველების ლაბორატორია	20 ცალი
ავტომანქანა სახურდა დასაფყარით	12 ცალი
ამწე კალათა 22 მეტრიანი	18 ცალი
ამწე კრანი 5 ტონიანი	6 ცალი
ამწე კრანი 10 ტონიანი	6 ცალი
ავტო კარი სატრანსფორმატორო და სასანყობო მეურნეობისათვის	20 ცალი
ზეთის რეგენერაციის მობილური მოწყობილობა (წარმადობა საათში 3 ტონა)	6 ცალი
ექსკავატორი	12 ცალი
საგზაო მანქანა 10 ტონიანი	12 ცალი

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერში შესაძლებელია თითოეულ ლოტზე ერთი გამარჯვებულის გამოვლენა. თითოეულ ლოტზე, დასაშვებია მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენა დახურულ კონვერტში, რომელშიც უნდა მიეთითოს შემოთავაზებული ლოტის დასახელება და წინადადების ფასი ამ ლოტზე. კომისია მოახდენს წინადადების შეფასებას თითოეული ლოტის მიხედვით.

2. სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა 2005 წლის 15 ნოემბერი, მიწოდების ადგილი - დანიშნულების ადგილი.

- დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე ან საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში აღიარებულ უცხო ენიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი ნოტარიულად დამოწმებული სახით უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 14 ივნისიდან 17 ივნისის 17.00. სთ-მდე მისამართზე, ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ.N10, სამინისტროს კანცელარიაში სატენდერო კომისიის აპარატი - მე-4 სართული ქ-ნ ი. მშვიდობაძესთან.

- სხვა ინფორმაციას, რის წარმოდგენასაც საჭიროდ ჩათვლის პრეტენდენტი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ლოტისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული რეზიდენტი იურიდიული პირისათვის:

ა) რაიონული სასამართლოდან ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) რაიონული სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

ე) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას საბიუჯეტო ვალდებულებების შესახებ.

3.2. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის:

ა) შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან ცნობას რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) რაიონული სასამართლოდან ცნობას რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას საბიუჯეტო ვალდებულებების შესახებ.

3.3. ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ ზემოხსენებული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან.

4. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო მოსაკრებლის სპეციალურ სალარე ანგარიშზე: ბანკის კოდი 220101107 ა/ა. 000141408 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 2005 წლის 22 ივნისის 17 სთ.-მდე მისამართზე: ენერგეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ.N10., სატენდერო კომისიის აპარატი.

6. სატენდერო კომისიაში დასაშვებია თითოეულ ლოტზე ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენა, რომელშიც უნდა მიეთითოს შემოთავაზებული ლოტის დასახელება და წინადადების ფასი ამ ლოტზე. კომისია მოახდენს წინადადების შეფასებას თითოეული ლოტის მიხედვით. ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა ტენდერში გათვალისწინებული არ არის.

7. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შესაძლოა ითვალისწინებდეს წინასწარ ანგარიშსწორებას. Aამ შემთხვევაში მან უნდა წარადგინოს საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია, როგორც ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალება სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პირობების დაცვით.

8. დასაშვებია პრეტენდენტმა (გამარჯვებულმა) სატენდერო დოკუმენტაციაში (ხელშეკრულებაში) განსაზღვრული მისი ვალდებულებების დაკისრება ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე დაავალოს სუბკონტრაქტორს, რომელიც აგრეთვე უნდა აკმაყოფილებდეს ზემოხსენებული მე-5 მუხლის მოთხოვნებს და სატენდერო დოკუმენტაციის საერთო პირობების მოთხოვნების დაცვით დადგენილი წესით ეს უნდა შეთანხმდეს სატენდერო კომისიასთან.

9. სატენდერო კომისია ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად გამოიყენებს შეფასების შემდეგ კრიტერიუმებს:

I ლოტის პრეტენდენტებისთვის

10 დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: იზოლდა მშვიდობაძე მისამართზე: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ.N10., საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო სატენდერო კომისიის აპარატი, მე-4 სართული; ტელ: 99 60 98.

შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტი
სატენდერო წინადადების ღირებულება	0.55
შესასყიდი საქონლის ტექნიკური მახასიათებელი და დონე	0.25
სამუშაოს შესრულების ვადები	0,15
ანგარიშსწორების ფორმები და პირობები	0.05
სულ	1.0

II, III, IV და V ლოტის პრეტენდენტებისთვის

cxr 7

შეფასების კრიტერიუმები	პრიორიტეტულობის კოეფიციენტი
სატენდერო წინადადების ღირებულება	0,70
სამუშაოს შესრულების ვადები	0,20
ანგარიშსწორების ფორმები და პირობები	0.10
სულ	1,0

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია

სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი

ქ. თბილისი, 0112 აღმაშენებლის გამზირი N 182, საიდენტიფიკაციო ნომერი 201948928 "ინტელექტბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი 220101933 ანგარიშსწორების ანგარიში 360801034 აცხადებს ღია ტენდერს თეატრალური დადგმებისათვის მხატვრული განათების აპარატურის შესყიდვაზე, კერძოდ:

N	დასახელება	აღწერილობა	ოდენ.
1.	მრავალფუნქციონალური ციფრული მართვის მოძრავთავიანი სანათი (ნათურითა და შუშაფრთებლით)	სიმძლავრე HMI 575, მრავალტრანსფერტიანი ნათების მოძატება - მოკლების სამუალება, სტროპორება, პრიზმა ეფექტი, ხხეის დაეინროებისა და გაშლის სამუალება, ფერის ტემპერატურის 6000° - დან 3200° - მდე გადაცვანის სამუალება, სხივის მოძრაობის მინიმუმ 420° - 270°, მრავალფეროვანი, ნათური HMI 575	20 ერთ.
2.	პროფილური სანათი ნათურითა და აქსესუარებით	სხივის დაშლა-დაეინროების სამუალება, ფერადი ფილტრის დამაგრების სამუალება, სხივის გაშლის კუთხე 25° - 50°, ნათურის სიმძლავრე 750 w, zoom- ეფექტი	6 ერთ.
3.	მრავალარხიანი ციფრული მართვის პულტი	მინიმუმ 96 ციფრული არხი	1 ერთ.
4.	ანალოგური სიგნალის ციფრულ სიგნალად გარდამქმნელი 72 არხიანი		1 ერთ.
5.	ნისლის ციფრული მართვის აპარატი	სიმძლავრე მინიმუმ 1500 w.	1. ერთ.
6.	ნისლის ციფრული მართვის აპარატის ხითხე		100 ლიტრი
7.	სანათის ფერადი ფილტრები	ლურჯი, წითელი, ყვითელი, მწვანე	20 ზეელი
8.	სანათის მეტალო კონსტრუქციაზე დასამონტაჟებელი სამაგრი	ალუმინის, პოლტებიანი, პროფესიონალური სამაგრი (Half Coupler - ტიპის)	60 ცალი

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი მომსახურების შესახებ სრული ინფორმაციის შეეძლებათ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრის სატენდერო კომისიაში.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 9 ივნისიდან 13 ივნისის 18 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, აღმაშენებლის გამზირი N 182.

იურიდიული პირისთვის:

1. ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორცილდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
2. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
3. ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
4. საქმიანობის განხორციელებაზე ლიცენზია.

ფიზიკური პირისთვის:

1. ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
2. ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
3. ცნობები სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შრეჩევას, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება **2005 წლის 14 ივნისს** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთაღნიშნული მოთხოვნათა შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არაუგვიანეს **2005 წლის 21 ივნისს 16 საათისა**, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, აღმაშენებლის გამზირი N 182.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთან დასწრებით 2005 წლის **28 ივნისს 15 საათზე**. ტენდერში გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ტენდერის საგნის შესრულება არაუგვიანეს **2005 წლის 1 სექტემბრისა**.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ვიტალი ნოდია, მისამართზე: ქ.თბილისი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, აღმაშენებლის გამზირი N 182 ტელ: 34 80 90.

განცხადება ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატისათვის ციფრული სატელეფონო სადგურის (მინი-ა.ს.ს) შესასყიდად ტენდერის გამოცხადების შესახებ

1. ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატი აცხადებს ღია ტენდერს აპარატისათვის საჭირო ციფრული სატელეფონო სადგურის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობისათვის ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდია:

ციფრული ავტომატური სატელეფონო სადგური, რომელიც საშუალებას იძლევა ავტომატურ რეჟიმში ამოქმედოს 100 საქალაქო სატელეფონო ხაზი და 200 შიდა სატელეფონო საკავშირო ხაზი, თავისი აუცილებელი აღჭურვილობით (სრული პროგრამული უზრუნველყოფა; ტარიფიკაციის პროგრამა; სისტემის დასაპროგრამებელი 2 ცალი სისტემური ტელეფონი მინიმუმ 24 ღილაკიანი; ყველა სააბონენტო ხაზზე 8-იანზე გასასვლელი კოდი; დენის მარეგულირებელი სტაბილიზატორის (150V - 300V-მდე) ქსელური პორტი; აკუმულატორ(ებ)ი), ინსტალაციითა და მონტაჟით.

2. მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 35 დღისა.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 10 ივნისის 1000 სთ-დან 14 ივნისის 1600 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მათი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) ცნობა იურიდიული პირის დირექტორის იდენტიფიკაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან).

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3 როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირისათვის:

ა) ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის სახით, ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების მითითებით;

5. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არა უგვიანეს 20 ივნისის 1000 საათიდან 23 ივნისის 1700 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რუსუდან გელბახიანი - 995326 და ოთარ ჩომახიძე 933790, მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი, ოთახი N6.

სატენდერო კომისია

განცხადება ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატისათვის საჭირო საოფისე ავეჯის შესასყიდად ტენდერის გამოცხადების შესახებ

1. ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატი აცხადებს ღია ტენდერს აპარატისათვის საჭირო საოფისე ავეჯის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

შესყიდვა ხორციელდება შემდეგი პოზიციების (ლოტების) მიხედვით:

I ლოტი: ლამინატისაგან დამზადებული საოფისე მაგიდები და თაროები, რომლის ზედაპირის სისქე უნდა იყოს არანაკლებ 20 მმ, ხოლო დანარჩენი შემადგენელი ნაწილების (ლამინატი) სისქე - არანაკლებ 16 მმ.

კომპიუტერის მაგიდა: ა) 39 ცალი (140/70/75), ბ) 11 ცალი (155/70/75), გ) 2 ცალი (170/70/75), დ) 2 ცალი (160/85/78), ე) 2 ცალი (180/70/75); 1 ცალი მაგიდა, შუაში გამყოფით (120/80/75); 1 ცალი კარადა/თარო (50/100/130); 1 ცალი მაგიდა მისადგმელი თაროთი (მაგიდა 185/80/75, მისადგმელი თარო 130/30/65+10 სმ. საყრდენი ფეხი, წინიდან მისადგმელი 100/80/75); 1 ცალი 6 (ექვს) საფეხურიანი თარო, ტანსაცმლის კარადის სათავსოთი (50/155/230); 1 ცალი კარადა/თარო (ქვემოდან 80 სმ. სიმაღლის, ერთ ფრთიანი კარებით, კარადა, ზედა 105 სმ. სიმაღლე - 3 თარო, 30/60/185); 1 ცალი კარებიანი კარადა/ორი თაროთი, გორგოლაჭებზე (50/50/90); 1 ცალი 2-განყოფილებიანი კარადა, ქვედა სიმაღლე 80 სმ, ზედა - 150 სმ, ორივე განყოფილებაზე ორ ფრთიანი კარებით (50/100/230); 1 ცალი კუთხის მაგიდა, მარცხენა მხარეს 3 უჯრიანი სათავსოთი (55/(130;85)/75); 1 ცალი მისადგმელი მაგიდა (135/55/75); 1 ცალი მისადგმელი კარადა/თარო, ქვედა ნაწილი 80 სმ. კარებიანი კარადა, ზედა 140 სმ - 4 თარო (50/100/220); 1 ცალი ჩვეულებრივი მაგიდა (120/75/75); 1 ცალი კუთხის მაგიდა, 3 უჯრის სათავსოთი მარჯვენა მხარეს ვერტიკალური განლაგებით (ამოჭრილი კვადრატი) (70;52)/(150;170)/75); 1 ცალი ჩვეულებრივი მაგიდა (230/80/75); 1 ცალი მაგიდა კლავიატურის მოძრავი (გორგოლაჭიანი) დასადებით მაგიდის ცენტრში, სამი უჯრა ვერტიკალური განლაგებით მაგიდის ერთ-ერთი (მარჯვენა ან მარცხენა) გვერდის გაყოლებაზე, ტევადობა არანაკლებ 30-40 სმ (სიგანეში). შესაბამისად, მაგიდის მეორე მხარეს კომპიუტერის პროცესორის ჩასადები ნიშა. მარჯვნიდან მისადგმელი თარო, თარო 10 სმ-იან ფეხზე (მაგიდა 170/75/70, მისადგმელი 130/25/60 (სიგრ/სიღრმ/სიმაღ) +10სმ); 2 (ორი) საფეხურიანი თარო, 6 სათავსოთი, ქვედა შუა სათავსოს ნახევარზე განთავსებული ერთ ფრთიანი კარებით, 12 ცალი (30/80/70); 1 ცალი 6 საფეხურიანი კარადა/თარო. პირველ საფეხურზე (66 სმ) 3 ფრთიანი კარები და ზედა საფეხურზე (40 სმ) 2 ფრთიანი კარები, შუაში 4 საფეხური თანაბრ ორ ნაწილად გაყოფილი ღია თარო (50/123/242); 1 ცალი სასადილო მაგიდა (130/80/(75 ან 80); 1 ცალი კედელზე მისადგმელი 6 საფეხურიანი კარადა/თარო. ზედა ორი 3-ფრთიანი კარებებით, ზედა ერთი საფეხური 2-ფრთიანი კარებით, შუა 3 საფეხური ღია თარო ვერტიკალურად შუაზე გაყოფილი (50/130/282); 1 ცალი კედლზე მისადგმელი კარადა 3 საფეხურიანი, ქვევით და ზევით ორ-ორ ფრთიანი კარებით, შუაში კი ტანსაცმლის სათავსო 70 სმ სიგანით, დარჩენილ 40 სმ 3 საფეხურიანი თარო (50/110/215); 1 ცალი მაგიდა კლავიატურის მოძრავი (გორგოლაჭიანი) კლავიატურის დასადებით მაგიდის ცენტრში, სამი უჯრა ვერტიკალური განლაგებით მაგიდის ორივე გვერდის გაყოლებაზე, ტევადობა არანაკლებ 30-40 სმ. (სიგანეში). მარცხნიდან მისადგმელი თარო, თარო 15 სმ-იან ფეხზე (მაგიდა 170/70/75, მისადგმელი 130/50/60); 10 ცალი 3 (სამი) უჯრიანი ტუმბო გორგოლაჭებზე (45/50/64); 1 ცალი კომპიუტერული მაგიდა კლავიატურის მოძრავი (გორგოლაჭიანი) დასადებით მაგიდის ცენტრში, სამი უჯრა ვერტიკალური განლაგებით მაგიდის ერთ-ერთი (მარჯვენა ან მარცხენა) გვერდის ჩაყოლებაზე, ტევადობა არანაკლებ 30-40 სმ (სიგანეში). შესაბამისად მაგიდის მეორე მხარეს კომპიუტერის პროცესორის ჩასადები სათავსო (140/70/78); 1 ცალი თარო კედელზე ჩამოსაკიდი კიდურებზე გამოწეული 10 სმ. კანტებით (30/(100+10+10)/(40+10+10); 1 ცალი კუთხის კარადა, მისადგმელი 90 გრად. კუთხის კარადა, ორ-ორ ფრთიანი კარადებით ორივე მხარეს (კედლის (სიგრძე) მხარე (130-130) შიდა (90-90)/ სიმა(90) სიგა(40); 1 ცალი 3 (სამი) უჯრიანი ტუმბო მარცხენა ნახევარზე, ხოლო მარჯვნივ ღია სათავსო, გორგოლაჭებზე (70/40/64); 1 ცალი 4 საფეხურიანი კარადა შუშის კარებებით ზედა ორ საფეხურზე, შუაში ტელევიზორის ჩასადები სათავსო, ქვევით ორფრთიანი კარები (70/70/200); 1 ცალი 3 გამყოფილებიანი კარადა/სათავსო, შუშის კარებით ორ ფრთაზე, დანარჩენი 4 კარი ჩვეულებრივი (70/150/180); 1 ცალი 5 საფეხურიანი კარადა, ქვემოდან ორი საფეხური დაყოფილი უჯრებად, ზედა 3 საფეხური დაყოფილი ღია თაროებად (50/210/255); 1 ცალი 6 საფეხურიანი კარადა, ქვედა ორი სათავსო კარებით, ქვემოდან მესამე გაყოფილი თანაბრად, მარჯვენა მხარე კარებით, ზედა სამი ღია თარო (40/100/240); 1 ცალი კარადა თაროებით სეიფით და სათავსოებით (40/100/240); 1 ცალი კარადა თაროებით, სეიფით და სათავსოებით, მარცხენა მხარეს ქვემოდან 150 სმ. სიმაღლის, 65 სმ. სიგანის, 60 სმ. სიღრმის სეიფი, სეიფის მარჯვენა ჩამოყოლებაზე თაროები (60/210/255).

II ლოტი: 40 რბილი სკამი - სასურველია სახელურებით; 20 რბილი სკამი - სასურველია მოძრავი ზურგითა და სახელურებით; 10 რბილი სკამი - მბრუნავი, გორგოლაჭებით, მოძრავი მთლიანი ზურგითა და სახელურებით.

III ლოტი: 6 ცალი სამეული - თანამედროვე, ხარისხიანი ნაჭრის ზედაპირით.

2. მიწოდების სავალდებულო ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 დღით. ტენდერში გამარჯვებულის მიერ საოფისე ავეჯის (რომლის აღწერილობა საკვალიფიკაციო მონაცემების შემოტანამდე შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე: თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი) მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეთანხმების საფუძველზე. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისის მერია.

3. სატენდერო კომისიის მიერ წინასწარ შერჩეულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 10 ივნისის 10:00 სთ-დან 14 ივნისის 16:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი, ოთახი N014.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მათი ხელმძღვანელები ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) ცნობა იურიდიული პირის დირექტორის იდენტიფიკაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან).

4.2 ფიზიკური პირისათვის:

a) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

b) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ.

5. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არა უგვიანეს 2005 წლის 20 ივნისის 1000 საათიდან 23 ივნისის 1700 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: **რუსუდან გელბახიანი - 995326 და ოთარ ჩომახიძე 933790**, მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი, ოთახი N014.

სატენდერო კომისია

რევოლიკა

ცოცხალი და "მკვდარი" პოეტების შესახებ

გაზეთ "24 საათის" 23 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ია ვეკუას წერილი ("ცოცხალი პოეტებისა და მწერლების საზოგადოება"), რომელიც ლიტერატურული პრემიის **- საბას** - ახალი, წლევანდელი ლაურეატების თემას ეძღვნება.

წერილს თან ახლავს 4 ლაურეატის პორტრეტები. არ ვიცით, რვა ლაურეატიდან რა ნიშნით შეარჩიეს ოთხი! ან იქნებ ამ ჯერზე გამოტოვებული ოთხი ლაურეატის პორტრეტები გაზეთის მომდევნო ნომერში ვიხილოთ! ვერ გეტყვით, თუმცა ეს არ არის ახლა ჩვენი სათქმელი! ჩვენ სახტად დავრჩით, როცა ი.ვეკუას წერილში ასეთი რამ წავიკითხეთ:

"ყოველწლიური ლიტერატურული პრემია საბა სამი წლის წინ... დაარსდა. აღსანიშნავია, რომ მანამდე საქართველოში არ არსებობდა სტაბილური პრემია, რომელიც ყოველწლიურად საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს გამოავლენდა, შეაფასებდა და დააჯილდოებდა".

ახლა ი. ვეკუას ვეკითხებით: თუ **საბას** დაარსებამდე საქართველოში მართლა არ არსებობდა სტაბილური პრემია, რომელიც ყოველწლიურად საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს გამოავლენდა, შეაფასებდა და დააჯილდოებდა, მაშინ როგორ მოხდა, რომ იმ ოთხი მწერლიდან, რომელთა პორტრეტებიც გაზეთშია მოთავსებული, ერთმა - ნუგზარ შატაიძემ 1996 წელს, მეორემ კი - ირაკლი სამსონაძემ 2001 წელს, მიიღეს საქართველოს სახელმწიფო პრემიები! ან კიდევ, **საბას** პრემიის ჟიურის ერთ-ერთი წევრი გივი ალხაზიშვილი არ არის სათვალავში ჩასაგდები? - ბატონი გივიც ხომ დაჯილდოვდა სახელმწიფო პრემიით 1999 წელს! ან იქნებ სახელმწიფო პრემიის კომიტეტი იმაშია დამნაშავე, რომ იგი სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს ფულად ჯილდოდ გადასცემს არა 2000 ლარს, როგორც საბას ლაურეატებს ეძლევათ ეს, არამედ თითოეულს - 7000 ლარს!

იმდენად არაკომპეტენტურია კონტექსტი, რომელიც სახელმწიფო პრემიებსა და მის კომიტეტს ეხება, რომ დაწვრილებით ამ თემაზე საუბარს, კაცმა თქვას, აზრი არცა აქვს.

სახელმწიფო პრემიების კომიტეტი მიესალმება საქართველოში კიდევ ერთი ლიტერატურული პრემიის დაარსებას და სულით და გულით ულოცავს **საბას** ახალ ლაურეატებს ჯილდოს, მაგრამ არ შეგვიძლია, არ გავიხსენოთ მარინა ცვეტაევას ერთი ლამაზი ფრაზა: ბუდიდან ჩამოვარდნილ ბარტყს არ უნდა ეგონოს, რომ ციდან ჩამოვარდა, მას სულ უნდა ახსოვდეს დედა ჩიტი და მამა ჩიტი...

არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ი.ვეკუამ სახელმწიფო თუ რუსთაველის პრემიაზე სხვადასხვა დროს ხელმოცარულ ნომინანტთა დაკვეთა შეასრულა.

დაბოლოს, ერთი ლოგიკური შეკითხვაც: თუკი ახალმა პრემიამ ასე გააცოცხლა ჩვენი პოეტებისა და მწერლების საზოგადოება (წერილის სათაურიდან მხოლოდ ამ დასკვნის გამოტანა შეიძლება), საინტერესოა, **საბას** ამჟამინდელი ლაურეატები იმ წლებში, როცა მათ სახელმწიფო პრემია მიენიჭათ, იყვნენ თუ არა ცოცხლები?!.

საქართველოს
პრეზიდენტთან არსებული
ლიტერატურის, ხელოვნებისა და
არქიტექტურის სახელმწიფო
პრემიების კომიტეტი

სკანდალი ხელოვნების ბაზარზე

ნათია ლურსმანაშვილი

იმ ანტიკვარების უმეტესობა, რაც დიდ ბრიტანეთში იყიდება, ან მოპარულია ან ყალბი. ამის შესახებ ხელოვნების სფეროში დანაშაულის პრობლემისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე ბრიტანეთის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა განაცხადა.

პოლ კრედოკის ინფორმაციით (მისი მოვალეობა არტეფაქტების შემოწმებაა), ჯერჯერობით საერთაშორისო კანონებით ეს პრობლემა არ რეგულირდება. **"კანონიერი ნიმუშების რაოდენობა ბაზარზე ძალიან მცირეა, - აღნიშნა კრედოკმა, - დღეს სიძველეების უმრავლესობა ან მოპარულია, ან ყალბი".**

ამ განცხადებას შეუძლია, ლონდონის ბაზრის შემოსავალს ესროზული ზიანი მიაყენოს. როგორც ცნობილია, ბრიტანეთის ხელოვნების ბაზარს ამ სფეროდან 500 მილიონ ფუნტზე მეტი შემოსავალი აქვს. 2000 წელს პოლიციამ მარტო ლონდონში 22 მილიონი ფუნტის ღირებულების მოპარული და ყალბი ნიმუშები აღმოაჩინა.

კრედოკის კომენტარი კონფერენციის ზოგიერთმა დელეგატმა გააპროტესტა. **"დარწმუნებული ვარ, არავის შეჰქმნია ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ბაზარზე წარმოდგენილი ყველა ნიმუში ყალბია"**, - განაცხადა ხულიგნობასთან ბრძოლის კომისიის წარმომადგენელმა როს რაიტმა.

უკანასკნელ წლებში ლონდონის გალერეებმა და აუქციონის სახლებმა უსაფრთხოების ზომები გაამკაცრეს, ხოლო 2003 წელს მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც იკრძალება საეჭვო ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობა. აუქციონის სახლებმა და ბანკებმა იმის გარანტია უნდა გასცენ, რომ არ მონაწილეობენ სიაში მითითებული საგნების რეალიზაციაში. "შავი სია" ლონდონში არსებულმა ორგანიზაცია Art Loss Register-მა შეადგინა და ის 160 ათასი პუნქტისგან შედგება. ამ ინიციატივამ აუქციონებზე მოპარული ნივთების რაოდენობა მკვეთრად შეამცირა.

თუმცა, კრედოკის განცხადებით, პრობლემის მასშტაბები იმდენად დიდია, რომ ნივთის შეძენამდე თვითონაც ეცდება გაარკვიოს მისი სრული და დეტალური ისტორია. მაგალითისთვის მოიყვანა ერთ-ერთი ამერიკელი მილიონერი, რომელმაც სულ რაღაც ორ წელიწადში შეძლო და ახლო აღმოსავლეთის საიუველირო ნაწარმის საკმაოდ დიდი კოლექცია შეაგროვა. თუმცა, როცა კოლექცია მუზეუმში მიიტანეს, აღმოჩნდა, რომ სამკაულების უმეტესობა ყალბია. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ყალბი ნიმუში, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმმა 1897 წელს შეიძინა, Crystal Skull იყო, რომელიც სიკვდილის ასკეტურ სიმბოლოდ გაასაღეს. თანამედროვე ანალიზმა აჩვენა, რომ ის XIX საუკუნის ევროპისთვის დამახასიათებელი ინსტრუმენტებით იყო დამუშავებული.

Art Loss Register-ის წარმომადგენელმა ალექსანდრა სმიტმა განაცხადა, რომ ხელოვნების ნიმუშების ძარცვის რეალური მასშტაბები უცნობია. **"ძალიან ძნელია იმის თქმა, რამდენს იპარავენ, რადგან ძარცვაზე თითქმის არავინ გვამცნობს. ამას წინათ ერთ-ერთმა მუზეუმმა 300 ნამუშევარი დაკარგა, თუმცა ამის შესახებ არც კი განუცხადებია".**

მოპარული ხელოვნების ნიმუში საკმაოდ გრძელ გზას გადის, სანამ ახალ მფლობელამდე მიაღწევს. მანუსკრიპტები, ქანდაკებები და სხვა ნამუშევრები მანამდე იცვლიან მფლობელს, სანამ შავი ბაზრიდან ხელოვნების ლეგიტიმურ საერთაშორისო ბაზარზე არ მოხვდებიან. ბოლოს კი საკმაოდ შეძლებული მფიდველთან იდებენ ბინას, რომელსაც წარმოდგენაც კი არა აქვს ამ უკანონო გზაზე.

თუმცა, კანონმდებლობის შეცვლამ და პოლიციის მიერ განხორციელებულმა სამუშაოებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ ხელოვნების მოპარულ ნიმუშში დიდ თანხას აღარავინ იხდის. შავი ბაზარი უფრო მეტად გაიწელა, - აღნიშნა სადაზღვევო კომპანია Tyler and Co-ს დირექტორმა მარკ დალრიმპლმა. ღია ბაზარზე დაბრუნების ნაცვლად ხელოვნების ნიმუშები ფინანსური გარანტიის, ნარკოტიკებზე და იარაღზე ანგარიშსწორების საგნებად იქცა.

გალერეები თავს არ იწუხებენ იმის ახსნით, თუ საიდან გაჩნდა მათთან ესა თუ ის სურათი. მაგალითად, გალერეა "ტეიტი" აცხადებს, რომ მის მფლობელობაშია ფრანკფურტის მუზეუმიდან 1994 წელს მოპარული ტერნერის ორი ნამუშევარი. თუმცა, საიდან გაჩნდა სურათები "ტეიტში", დღემდე გამოცანად რჩება.

მპოვნელი დასაჩუქრდება

$200!

მთაწმინდაზე დაიკარგა თაფლისფერი შოტლანდიური სპანიელი, ძალიან მოკლედ შეკრეჭილი. უკეთია წითელი საყელური.

ტელ: 92 11 02; 92 11 03 (დღე) ან 877 744 018.

რეგისტრირებულია "საქართველოს სათამაშო ბიზნესის განვითარების კავშირი"

რომლის ძირითადი მიზანია სათამაშო აპარატებით, სამორინეებით (კაზინოებით), ტოტალიზატორებით, მომგებიანი ლატარიებით დასაქმებულ ბიზნესმენთა გაერთიანება, მათი ლობირება და უფლებების დაცვა, როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ორგანოების წინაშე. მსურველებს შეგიძლიათ გახდეთ კავშირის წევრი.

დამატებითი ინფორმაციისათვის
მოგვმართეთ მისამართზე: პუშკინის ქ. 5.
ტელ. 98-54-16.
ელ.ფოსტა: Ngardava@mail.ru

საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის მემსწავლეო კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე სუფთად აკრეფის ტექნიკა.
■ საქმიანი დოკუმენტების წარმოება – MS Word.
■ ალრიცხვა-საანგარიშო-ანალიტიკური ამოცანები – MS Excel.
■ ელექტრონული ფოსტა, ინტერნეტი.
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოემსედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: გ.ეზნაძის N70 ტელ:89-48-61
ვებ-გვერდი: www.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE
შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:
■ ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
■ რბილი ავეჯის, სამოსელი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
■ ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
■ ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
■ მანქანის სალონის წმენდა.
■ აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
■ კაფელის, მეტლახის და ლინოლიუმის წმენდა და გაპრიალება.
■ ავეჯის რესტავრაცია.
მის. ლესელიძის ქუჩა - ყავლაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge